# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 სექტემბერი 1999 №170 (943) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**5** იაშვილი ფრაიბურგს გოლით დაუბრუნდა

**11** ანელკა ფეხბურთიდან წასვლით იმუქრება



აშკარაა, ფრანგი მადრიდში ცუდ ფეხზე ჩავიდა

**13** აკოცა! ვითომ შერიგდნენ?

US OPEN

მარტინა ჰინგისმა და უილიამსების მამამ ერთმანეთს ჩაკოცნეს

## ახალი რეკორდი სევდიანი კონტექსტით

კვირას იტალიის ქალაქ რიეტიში ერთ-ერთი უძველესი მძლეოსნური რეკორდი დაემხო. ერთდღიან ტურნირზე კენიელმა ნოა ნგენიმ 1000 მეტრი 2 წუთსა და 16,96 წამში გაირბინა და 0,22 წამი ჩამოაკლო 70-იანი წლების დამლევისა და 80-იანების დამდეგის გამოჩენილი მძლეოსნის, ბრიტანელი სებასტიან კოეს 1981 წლის 11 ივლისს დამყარებულ ან უკვე ექს-რეკორდს. უდიდესი მორბენალი კოე თავისი უამრავი რეკორდიდან ერთსაც აღარ ფლობს — კენიელმა ეს ბოლოც „წაართვა". ნგენიმ სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 1500 მეტრზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.



ნოა ნგენი

# სტადიონი დაიწვა, სტადიონი იქნება!

## ტორპედო აეკ-ს მაინც ქუთაისში ეთამაშება, ირწმუნებიან კლუბის ხელმძღვანელები



მალხაზ [illegible] ქუთაისიდან

ქუთაისი. 5 სექტემბერი. მეხანძრეებმა „გივი კილაძის" სტადიონი მთლიანად გადაწვას გადაარჩინეს

**ბერძნების ჩამოსვლამდე თერთმეტი დღით ადრე ქუთაისის „გივი კილაძის" სტადიონი დღემდე შემორჩენილ ქველბერძნულ ნაგებობას დაემსგავსა. კვირა დილით გაჩენილმა ხანძარმა ნახევარი სტადიონი და დაცვის უფროსის, ელდარ ცერცვაძის სიცოცხლე შეიწირა**

იხილეთ მეოთხე გვერდი

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IX ტური

## საქართველო — ლატვია

8 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

# ძოძუაშვილი: ყინულმჭრელი უდაბნოში

*სიმართლე ვთქვათ. საქართველოს ეროვნული ნაკრების ბელგია-ჰოლანდიაში მოხვედრის შანსის დასამარება ლატვიის მიწაზე დაიწყო. რევაზ ძოძუაშვილის დამოძღვრილმა ბალტიისპირელებმა ცივი წყალი გადაგვასხეს ჯგუფში ფავორიტობის ამბიციით შეპყრობილ ქართველებს და მას შემდეგ თამაში არ მოგვივიდა.*

*მანამდე კი... ლატვიელები კონკურენტებს ქულებს დააკარგვინებენ, ჩვენი მოკავშირეები იქნებიან, ნორვეგიაში ცარიელი თოფივით გაუვარდათ და არც ბერძნებთან დაუყანდებათ ჩხმახი, ელაპარაკობდით საჩვენოდ და მეხივით რომ დაგვატყდა რიგაში დამარცხება, სრულიად ლოგიკური და კანონზომიერი მოვლენა ყოფილა. მართალია, ლატვიელებმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს წარმატებული სვლა, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრისას მათი ბურთულა ალბათ მესამე კალათაში დაიბუდებს, საქართველოსი კი... უჰ, კალათებს რა დალევს ევროპაში...*

*შანსთან და წარმატებულ სვლასთან ერთად ვერც ძოძუაშვილი შეინარჩუნეს ლატვიელებმა. ახალი თავკაცის, ინგლისელი გარი ჯონსონის დებიუტი კი არც ისე შთამბეჭდავი გამოდგა. ამას მათი შანსის შემცირების გამო ვამბობ, თორემ ალბანეთში ნათამაშევი 3:3 შეიძლება ქართველებს სასურველ შედეგადაც ჩაეთვალოთ...*

*ასეა თუ ისე, ლატვიელები თბილისს პირდაპირ ტირანიდან ესტუმრნენ და სულაც არ ფიქრობენ ქართველებს რევანში იოლად აღებინონ. „შერატონ მეტეხში" დაბანაკებული 60-კაციანი დელეგაცია მშვენიერ ხასიათზეა და დაძაბული ორთაბრძოლის მოლოდინით ცხოვრობს.*

*გუშინ დილით გარი ჯონსონმა შეგირდები დიღმის ბაზაზე მსუბუქად ავარჯიშა, უმალ სასტუმროში დააბრუნა და ნასადილევს 2 საათით მოასვენა.*

იხილეთ მეექვსე გვერდი

# სლოვენიამ თამაშამდე მოგვიგო

## ანგარიში თითქმის ყველამ იცოდა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. VIII ტური
4 სექტემბერი. 23 საათი. ლიუბლიანა. ბეჟიგრადი. 8 000 მაყურებელი

## სლოვენია 2:1 საქართველო

1:0 აჩიმოვიჩი (48), 1:1 შ. არველაძე (56), 2:1 ზაჰოვიჩი (81)

**სლოვენია**

1. სიმეუნოვიჩი
5. გალიჩი
4. მილინოვიჩი
6. კნავსი
8. ჩეჰი
11. პავლინი
7. ნოვაკი
3. რუდონია
10. ზაჰოვიჩი
9. უდოვიჩი
2. ოსტერცი

**საქართველო**

11. შ. არველაძე
10. ა. არველაძე
9. ყაველაშვილი
8. ფოცხვერია
2. კობიაშვილი
5. სიჭინავა
3. ცქიტიშვილი
7. კალაძე
4. დიდავა
6. ახვლედიანი
1. გვარამაძე

შეცვლა: ოსტერცი — 18. აჩიმოვიჩი (46), ახვლედიანი — 17. შეყილაძე (46), უდოვიჩი — 17. კარიჩი (76), ზაჰოვიჩი — 15. ისტენიჩი (90)

გაფრთხილება: გალიჩი, ცქიტიშვილი, ახვლედიანი

გაძევება: კატანეცი (სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი, 56)

მსაჯები: ი. ვეგერეეფი; ჰ. ფუურმანი, ი. ვან დაიკი; დ. ვან ეგმონდი (ყველა ჰოლანდია)

უეფას დელეგატი: ჯ. კამინგი (შოტლანდია)

მერაბ რატიშვილი

ლიუბლიანიდან



ერთი წლის წინ, 1998 წლის 5 სექტემბერს, საქართველოს ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში პირველი და ჯერჯერობით ბოლო მატჩი მოიგო. საქართველო — ალბანეთი 1:0.

ხუთი თვის წინ, 1999 წლის 27 მარტს, საქართველოს ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში პირველ და ჯერჯერობით უკანასკნელ ფრეს მიაღწია. საქართველო — სლოვენია 1:1.

სამი დღის წინ, 1999 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში მესამედ და, კაცმა არ იცის, უკანასკნელად თუ არა, დამარცხდა ჰოლანდიელი მწვრთნელის, იოჰან ბოსკამპის ხელმძღვანელობით. წინა ორი მარცხის მსგავსად, ამჯერადაც მინიმალური სხვაობით, ოღონდ მოგების შანსი რომ არ იყო, ისე. მეტიც, არათუ მოგების, მეორე გოლის გატანის პერსპექტივაც არ გამოჩენილა. საქართველოს ნაკრებმა ექვსჯერ დაარტყა კარის მიმართულებით, აქედან სლოვენიელთა მეკარე ორჯერ ჩაერთო თამაშში. სლოვენია — საქართველო 2:1.

და მოხდა რაიმე განსაკუთრებული? არაფერი ისეთი, რაც ამ ბოლო დროს არ მომხდარა. საქართველოს ნაკრებმა, ლამის ტრადიციულად, წააგო, უკვე ზედიზედ მეოთხედ, ხოლო ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში — მეექვსედ. სატურნირო ცხრილის ფსკერზე გავმაგრდით, მავანთა აზრით კი, მიმდინარეობს მზადება და გუნდის კეთება მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს დაანაწილებს. ამასობაში, ნაკრები აგებს, მისი რეიტინგი დაბლა მიექანება და ვინ იცის, მომავალი ციკლის კენჭისყრისას იქნებ უსუსტესთა კალათაშიც აღმოვჩნდეთ. თუ ასე გაგრძელდა, ეს ამბავი სრულიადაც არ იქნება გასაკვირი. ის, რაც ჩვენთვის დიდი ხნის მიუწვდომელია, სომხეთს, აზერბაიჯანს, კვიპროსს და ლიხტენშტაინს აღარ უკვირთ. ისე, საინტერესო იქნებოდა ამნაირებთან შეხვედრა, ნეტავ ბევრით ვჯობივართ?

სლოვენიას კი რეალურად გასჩენია ევრო 2000-ზე გასვლის (დამატებითი მატჩის მაინც) შანსი. თავდაპირველი პროგნოზით მეტისმეტად თანაბარ ჯგუფში იგი გაერია ფავორიტებში, რადგან ქართველები ბედოვლათობენ, ბერძნები ერთმანეთს სჭამენ, ხოლო ლატვია რაც აქვს, იმითაც კმაყოფილია. ერთი სიტყვით, სლოვენიელებს წამითაც არ უფიქრიათ ბედის წყალობის ქარისთვის გატანება. ამიტომაც იყო, რომ 4 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდა არცთუ ბრწყინვალე და არცთუ ვარსკვლავებით განებივრებულ, სამაგიეროდ კარგად გაწვრთნილ-ნამეცადინევი, მწვრთნელის ხელდატყობილი და რეალური მიზნისკენ მიმართული გუნდი.

საქართველოს დამარცხება, თუნდაც მინიმალური სხვაობით და უეჭველი სამი ქულა — აი, ეს იყო სრეჩკო კატანეცის და მისი გუნდის მიზანი. მატჩის დღეს პრესაში გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, სლოვენიის ნაკრების თვრამეტი ფეხბურთელიდან თორმეტმა თავის გუნდს ერთბურთიანი მოგება უწინასწარმეტყველა (ექვსი ფეხბურთელის აზრით, სლოვენია 2:1 მოიგებდა). ეს ერთადერთ რამეს ადასტურებს: სლოვენიელებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი საქართველოს განახლებული ნაკრების სათამაშო სტილი და მეტოქის სუსტ-ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, მოეფიქრებინათ სათამაშო ტაქტიკა. ამას დაემატა საკუთარი შესაძლებლობების გადაუჭარბებელი შეფასება და ის ანგარიშიც მივიღეთ, რასაც სლოვენიელ მობურთალთა უმეტესი ნაწილი ელოდა. და ჩვენ? ჩვენ სამომავლოდ ვაკეთებთ გუნდს, ოღონდ კონკრეტული მიზანი ჯერ ვერ დაგვიდგენია.

სლოვენიელთა ტაქტიკა დასაწყისშივე გამოიკვეთა: ფლანგების მაქსიმალური გამოყენებით ბურთის ჩაკიდება საჯარიმოში, სადაც ბედი უდოვიჩსა და ოსტერცს უნდა ეძებნათ. ცენტრიდან განვითარებული შეტევები კი ზაჰოვიჩზე იყო აწყობილი. სლოვენიელთა ბომბარდირს სათამაშო სიტუაციებიდან დიდი საფრთხე არ შეუქმნია, რადგან მიწაზე გაგორებულ ბურთზე ბრძოლისას გივი დიდავა და კახა კალაძე ყოჩაღობდნენ. სამაგიეროდ, ზაჰოვიჩის კუთხურებმა და საჯარიმოებმა ქართველებს თავსატეხი გაუჩინა: სლოვენიელები აშკარად იგებდნენ თავით თამაშს და ერთი-ორჯერ მიზანთანაც ახლოს იყვნენ.

შემადგენლობაში ნოვაკის გამოჩენით სლოვენიელთა შეტევები ორივე ფლანგიდან სახიფათო გახდა. მარჯვნივ ლევან ცქიტიშვილი ეთამაშებოდა ნოვაკს და პირველ ტაიმში საკმაოდ წარმატებითაც. ერთი ეგ იყო, ნოვაკის შეჩერება ხანდახან ჯარიმებით იყო საჭირო და ამის გამო დანიშნულ ზაჰოვიჩის საჯარიმოებს არეულობა შეჰქონდა ქართველთა საჯარიმოში.

სამაგიეროდ, რუდონიამ მთლად აგვიოხრა მარცხენა ფლანგი. მისი შეჩერება ვერაფრით მოხერხდა. ბადრი ახვლედიანი ვერ უმკლავდებოდა სლოვენიელ გარემარბს და ამასაც მრავალჯერ მიეცა ბურთის საჯარიმოში ჩაკიდების თუ ჩაწოდების შანსი. ქართველთა ბედად, უდოვიჩი და განსაკუთრებით ოსტერცი ვერ ირჯებოდნენ სათანადოდ, თორემ ანგარიშის გახსნა პირველივე ტაიმში მოუხერხდებოდათ.

შესვენებამდე საქართველოს ნაკრების რიგებში ყველაზე აქტიური ლევან კობიაშვილი იყო. იგი ხშირად იცვლიდა ადგილს და არც თამაშის გამწვავებას ერიდებოდა. ერთხანს კარში დარტყმებიც მოსინჯა, მაგრამ უშედეგოდ. სამწუხაროდ, ლევანმა მეორე ტაიმი უარესად ჩაატარა, რამდენჯერმე პოზიციურად შეცდა, რომელთაგან ერთ-ერთიც გოლად დაგვიჯდა.

სიმართლე ითქვას და, კობიაშვილის გასაკრიტიკებლად ენა ბოლომდე არ მიბრუნდება. არჩეული ტაქტიკისა და სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე, ლევანი ნახევარდაცვაში პრაქტიკულად მარტო იყო დარჩენილი. ასეთ რთულ პოზიციაზე ერთი კაცი ყველაფერს ნამდვილად ვერ გასწვდება. დანარჩენები სადღა იყვნენო, იკითხავთ. თითქმის არ ჩანდა თენგიზ სიჭინავა. ეს ამბავი ნაკრებში მის დებიუტს უნდა დავაბრალოთ.

მარჯვენა ფლანგზე მთლად დაიკარგა მიხეილ ფოცხვერია. საერთოდ, ეს კაცი ცხოვრებაში პირველად თამაშობდა ამ ადგილზე. იგი ბურთით იშვიათად იყო, რადგან შეტევები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, იმ მიმართულებით არ ვითარდებოდა და მისასაც უქმად უწევდა ყოფნა. მეორე ტაიმში ბურთის მარჯვნივ გორების ინტენსივობა კი გახშირდა, მაგრამ მიშამ ღირებული ვერაფერი შექმნა: ამ ფართო დიაპაზონის ფეხბურთელისთვის სამოქმედო სივრცის შეზღუდვამ გუნდს ხეირი ვერ დააყარა. ისე, ფოცხვერიას თუ ბევრი არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი გაუფუჭებია.

მიხეილ ყაველაშვილის თამაშს პირველ ტაიმში უფრო ეთქმოდა უკეთესი. მიშა მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა და სანამ ამ ფლანგზე შედარებით სიწყნარე იყო, რამდენჯერმე შეტევაშიც ჩაერთო და თავდამსხმელებსაც მიეხმარა. მეორე ტაიმში კი ჩვენს მარცხენა ფლანგზე აიწყვიტა ნოვაკმა და ყაველაშვილმა დაცვასთან, ანუ დიდ ჯაფადამდგარ ცქიტიშვილთან კავშირი დაკარგა. ამან კი მისი თამაშიდან ერთგვარი მოწყვეტა გამოიწვია.

დიდი შრომა გასწიეს თავდამსხმელებმა. ოღონდ შოთა და არჩილ არველაძეები, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მხოლოდ კარში დარტყმაზე არ ფიქრობდნენ. ბოსკამპმა იმ დღეს ნაკრები გამთამაშებლის გარეშე ათამაშა (ჯამარაულის ყოფნის შემთხვევაში, იქნებ, სხვაგვარადაც ყოფილიყო). აქედან გამომდინარე, არ იყო კაცი, რომელიც ტყუპებს პასებით მოამარაგებდა. ამიტომაც, არველაძეები ხშირად იხევდნენ უკან, საკუთარ ნახევარზეც და თავად იწყებდნენ შეტევებს. ტყუპების გარჯა, დიახაც რომ სანაქებო იყო, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ მეტოქის ხაჯარიმოში ჩასულები უმეტესად ან ბურთს კარგავდნენ, ან შეტევას სიმწვავეს ვეღარ მატებდნენ. ამაში გასაკვირი არაფერია: თავდამსხმელი კარზე უნდა იყოს დაგეშილი და არა მოედნის შუაში პასების განაწილებაზე. ამისთვის სხვა ხალხი არსებობს, რომელიც იმ დღეს საქართველოს ნაკრებს არ ჰყავდა.

სხვათა შორის, შოთას უშუალოდ კარზე შეტევის შანსი ორჯერ მიეცა და ერთ-ერთი გოლად აქცია. მან სწორედ გამოიცნო კონტრშეტევის მიმართულება და არჩილის პასს ოპტიმალურ ადგილზე დახვდა. შემდეგ იგი ცივსისხლიანად მოიქცა — ბურთის მიღებისას თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირების მოლოდინში აქეთ-იქით ყურება არ დაუწყია, არც სლოვენიელთა აწეულ ხელებს და ატეხილ ღრიალს ათხოვა თვალ-ყური და საქმე მშვიდად გააკეთა: მეკარე დააწვინა და სანამ მეტოქე მსაჯთან დავაში იყო გართული, ანგარიშის გათანაბრებას ზეიმობდა. სხვაფრივ კი, როგორ უნდა მოუწონო გუნდს კარის მიმართულებით მხოლოდ ექვსჯერ დარტყმა. ისე, რა გასაკვირია, ვინც კარში დამრტყმელი და გამტანი იყო, იმას ნაკრებს სათოფეზეც აღარ აკარებენ — ეტყობა, ბოსკამპის პედაგოგიური ექსპერიმენტი მხოლოდ ამ ერთ კაცზე ვრცელდება.

ბოსკამპს უნდა მოვუწონოთ შესვენებაზე გაკეთებული ცვლილება. ახვლედიანის გაყვანამ და მის ნაცვლად გელა შეყილაძის გამოსვლამ ჩვენი დაცვის მარჯვენა ფლანგზე სიმშვიდე მოიტანა. გელა თავდაჯერებულად ჩაერთო თამაშში და პირწმინდად ალკვეთა რუდონიას პარპაში. მატჩი ისე დასრულდა, ამ მხრიდან საფრთხე აღარ ყოფილა, სამაგიეროდ, თითქოს ზიარი ჭურჭელიაო, რაც რუდონიას დააკლდა, საპირისპირო მხარეჭ ჯონი ნოვაკს მიემატა.

თუმცა, მანამდე იყო შესვენება და იქ კატანეცმაც გააკეთა ცვლილება: უნიათო ოსტერცის ნაცვლად მილენკო აჩიმოვიჩი შეუშვა. სხვათა შორის, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ რიგებში ფოთის „კოლხეთის“ გამამწარებელი აჩიმოვიჩი ერთადერთი იყო, ვინც ამბობდა, სლოვენია 3:0 მოიგებსო. პროგნოზი არ გაუმართლდა, მაგრამ სასტარტო შემადგენლობაში რომ ეთამაშა, იქნებ მართლაც ასე მომხდარიყო. აჩიმოვიჩმა თავად წამოიწყო, გააგრძელა და დაასრულა პირველი საგოლე შეტევა. მერეც, მისი ბურთთან ლამის ნებისმიერი შეხება ხიფათის მომტანი იყო. თანაგუნდელებს რომ ემარჯვათ და აჩიმოვიჩის ყველა პასი გამოეყენებინათ, იქნებ დიდი ანგარიშითაც დავმარცხებულიყავით.

ახლა კი იმას მივადექით, რაც ბოსკამპმა ·პირველად იქადაგა საქართველოში. ლაპარაკია დაცვის ერთ ხაზზე თამაშზე, რომელიც, ჰოლანდიელის აზრით, პროგრესიული და ყველაზე მისაღები სისტემაა. არ ვიცი, როგორი ქადაგია (ამ შემთხვევაში, მასწავლებელი) ბოსკამპი, მაგრამ შედეგი სახეზეა: დაცვის ერთ ხაზზე თამაშს საქართველოს გუნდებისთვის, გნებავთ, ნაკრებისთვის, გნებავთ, კლუბისთვის, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. უბრალო, საქართველოს ჩემპიონატის საშუალო გუნდის საშუალო ლიბერო რომ ყოფილიყო მოედანზე ასეთ კრიტიკულ ეპიზოდებში, არც ერთი გოლი არ გავიდოდა, არც რუდონია და ნოვაკი დარჩებოდნენ მეკარესთან პირისპირ და არც გვარამაძე დალევრიდა ჭირის ოფლს. რა თქმა უნდა, ადვილია ყველაფრის გადაბრალება „ჯორჯიან მენტალიტისთვის“, მაგრამ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე პირველ რიგში მასწავლებლის დონის მიხედვით მსჯელობენ.

ისე, თუ საქართველოს ნაკრების დღევანდელი მოთამაშეებიდან მომავალში ვინმე მწვრთნელობას მოინდომებს, ვურჩევ, პრესასთან ურთიერთობაში ახლანდელი მასწავლებლის გზას ნუ დაადგება. ბოსკამპი არც ამჯერად გამოცხადდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე და ეს აბსურდული მიზეზით ახსნა: გუშინ მე ველოდე კატანეცს და არ მოვიდა, ახლა ის მელოდოს და მე არ მივალო. სასაცილოა, ღმერთმანი: მატჩის წინა დღეს კატანეცი დათქმულ დროს გამოცხადდა პრესკონფერენციაზე და ბოსკამპი რომ არ გამოჩნდა, ჟურნალისტებს გაესაუბრა და წავიდა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ამ დროს რესტორანში სადილობდა და პრესკონფერენციაზეც ნახევარი საათი დაიგვიანა.

სხვათა შორის, ბოსკამპი პირველად არ აცდენს მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას. უეფა-ს რეგლამენტში კი გარკვევით წერია, რომ ამგვარ ღონისძიებას უნდა დაესწროს მხოლოდ და მხოლოდ გუნდის მთავარი მწვრთნელი. ბოსკამპის საქციელს იურიდიულად უეფა-ს რეგლამენტის შეუსრულებლობა, ხოლო ჩვეულებრივად — პრესის (ესე იგი, საზოგადოების) და მეტოქე გუნდის მწვრთნელის (თავისივე კოლეგის) უპატივცემულობა, უფრო ზუსტად კი, უზრდელობა ჰქვია. ბოსკამპის ზრდილობა მისმა გამზრდელმა და ოჯახმა იკითხოს, უეფა-სადმი დაუმორჩილებლობა კი ქართული ფეხბურთის გადასახდელი იქნება. ადგება ერთხელაც ბოსკამპის თავნებობით შეურაცხყოფილი რომელიმე ფედერაციის წარმომადგენელი და მოახსენებს უეფა-ს დელეგატს მის პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობის ამბავს. უეფა სანქციებს არასდროს აგვიანებს, ოღონდ, საეჭვოა, ჯარიმა ბოსკამპმა თავის ჯიბიდან გადაიხადოს, ამიტომაც თანხის გაღება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მოუწევს.

ეს იურიდიულად. რაც შეეხება მორალურ მხარეს, არა მგონია, ბოსკამპის თანაშემწეს, პრესკონფერენციაზე მის ნაცვლად მოსულ გია გეგუჩაძეს კარგად დაამახსოვრდეს ის სალამო. გეგუჩაძემ მხოლოდ კატანეცს მიულოცა გამარჯვება, სლოვენიელმა ჟურნალისტებმა მას კითხვაც არ დაუსვეს. მანამდე კი, ბოსკამპის მოუსვლელობის ამბავს სტვენა-ყვირილით შეხვდნენ, ძალიან ხშირად ისმოდა ერთი სლავური სიტყვა, რომელიც ასო „კ“-ზე იწყება და რუსულად სიტყვა „ქათმის“ მსგავსად გამოითქმის. ვისი იმიჯი ილახება ამით? ქართული ფეხბურთის, რადგან ბოსკამპი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია და ამ შემთხვევაში მისი ჰოლანდიელობა ბევრს არავის გაახსენდება.

ამ თამაშზე სასიამოვნოც იყო. გადარეული სლოვენიელი გულშემატკივრების ღრიანცელში ქართველ ფეხბურთელებს ტრიბუნიდან თვისტომები ქომაგობდნენ და არცთუ ხმადაბლა. სლოვენიის კლუბებში მოთამაშე ქართველი კალათბურთელები აქაც იყვნენ და ახალგაზრდული ნაკრების თამაშზეც, ხოლო ავსტრიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ელჩის, ლევან მიქელაძის მეთაურობით, ოჯახებით ჩამოვიდნენ ლამის ერთი დღის სავალზე და ჯერ ლიუბლიანის ქუჩებში მოძრაობდნენ საქართველოს დროშებით გაწყობილი მანქანებით, მერე კი თამაშისას არ მოაკლეს მხარდაჭერა თანამემამულეებს.

კიდევ ის არის კარგი, რომ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს წიგნის კითხვა უყვარს. თვითმფრინავში იგი დიდხანს უტრიალებდა სქელტანიან ჰოლანდიურ წიგნს. ისე, კარგი იქნებოდა, ბოსკამპს რომანის ნაცვლად ჰოლანდიურადვე დაწერილი კრუიფის ან ვან გაალის კონსპექტები ან მოგონებები გადაეკითხა. იქ ბევრი რამ წერია მოთამაშეებთან დამოკიდებულებაზე, პრესასთან ურთიერთობაზე და, რაც მთავარია, ფეხბურთზე.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | | | 1:3 | 1:0 | 1:0 | 2:2 | 15:8 | 19 |
| 2 | სლოვენია | 1:2 | | 1:0 | | 2:1 | 2:0 | 12:7 | 17 |
| 3 | ლატვია | | 1:2 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | 10:8 | 12 |
| 4 | საბერძნეთი | 0:2 | 2:2 | 1:2 | | 3:0 | | 8:8 | 9 |
| 5 | საქართველო | 1:4 | 1:1 | | 1:2 | | 1:0 | 5:14 | 4 |
| 6 | ალბანეთი | 1:2 | 0:1 | 3:3 | 0:0 | | | 6:11 | 4 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩის სტენოგრამა

მე-4 წუთი. დიდავამ კარის გასწვრივ, საჯარიმოს სიახლოვეს მოცელა ზაჰოვიჩი. თავად დაზარალებულის დარტყმული გვარამაძემ აილო.

10. კობიაშვილის ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა კალაძემ სუსტად დაარტყა. სიმეუნოვიჩი იოლად დაეუფლა ბურთს.

14. ზაჰოვიჩმა მარჯვნიდან ჩააწოდა. გვარამაძე გამოსვლისას შეცდა, მაგრამ ახვლედიანის მოგერიებული დიდავამ საჯარიმოდან გამოიტანა.

21. ზაჰოვიჩს უკან დაუბრუნდა თავის მიერვე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი. მანაც ხელმეორედ ჩააწოდა, უდოვიჩის თავური კარს გვერდიდან აცდა.

23. რუდონია ახვლედიანს გაექცა და მარცხნიდან ჩააწოდა. მოგერიებული ბურთი ნოვაკს მოუვიდა, მან კი კარს გადააცილა.

29. ქართველებმა მეორედ დაარტყეს კარის მიმართულებით: ფოცხვერიას დაგორებული ბურთი კობიაშვილმა კარს ზემოდან აცილა.

32. ზაჰოვიჩმა მარჯვნიდან ჩააწოდა საჯარიმო. კნავსმა მეკარის მოედნიდან დარტყმული თავური აცილა.

34. კობიაშვილმა 30 მეტრიდან დაარტყა. კვლავ ზემოთ.

38. არჩილ არველაძემ საჯარიმოდან ჩაწოდებისას ბურთი კედელში მდგარ ზაჰოვიჩს მოარტყა. არჩილისვე განმეორებითი დარტყმა კარს გვერდიდან აცდა.

48. ახალშემოსულმა მილენკო აჩიმოვიჩმა მოედნის საკუთარი ნახევრის შუაში აილო სლოვენიელი მცველების მიერ კუთხურიდან მოგერიებული ბურთი. აჩიმოვიჩი სწრაფად გაცდა კობიაშვილს და დიდავას პირისპირ აღმოჩნდა. სლოვენიელმა მარჯვნივ გაიგდო ბურთი, დიდავას მარცხნიდან შემოურბინა და გვარამაძესთან ერთი-ერთზე დარჩა. ქართველმა მეკარემ ფეხით აილო აჩიმოვიჩის დარტყმული, მაგრამ სლოვენიელი ვარდნაში მისწვდა პირით ხაზისკენ გაგორებულ ბურთს და ანგარიში გახსნა.

53. ნოვაკმა სახტად დატოვა ცქიტიშვილი და ბურთი მეკარის მოედანზე ჩაჰკიდა. პავლინმა თავური აცილა.

56. შოთა არველაძემ, საჯარიმოს ხაზთან, მარტო მდგომმა, მიიღო არჩილ არველაძის პასი. სლოვენიელებს თამაშგარე ეგონათ, მაგრამ მსაჯმა არ დაუსტვინა. შოთამ მშვიდად მოატყუა სიმეუნოვიჩი და ანგარიში გაათანაბრა. სლოვენიელი ფეხბურთელები ჯერ არბიტრს მისცვივდნენ, მერე — თანამსაჯს: თამაშგარეს დაფიქსირებას ითხოვდნენ. სლოვენიის მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა ჯერ შეაგინა მსაჯებს, მერე კი მათზე გაიწია. იან ვეგერეეფმა კატანეცი მოედნიდან გააძევა.

58. ნოვაკის ჩაწოდებულს უდოვიჩმა ფეხი დაუხვედრა — ბურთი ზევით წავიდა.

74. არჩილმა ორი მეტოქე მოიშორა და ბურთს საჯარიმოში შეჰყვა. მარჯვნიდან ჩააწოდა, შოთას კი თავური აექცა.

81. ნოვაკი ფლანგზე გაიჭრა და ბურთი საჯარიმოში შეუგდო ზაჰოვიჩს. სლოვენიელთა უპირველესი ბომბარდირი პირისპირ დარჩა გვარამაძესთან და შორ კუთხეში დაურტყა — 2:1.

83. აჩიმოვიჩმა კობიაშვილს ბურთზე ფეხი წაუკრა, შეტევა რუდონიამ გააგრძელა. საჯარიმოში შეჭრილი სლოვენიელის დარტყმული კალაძემ კუთხურზე მოიგერია.

86. ნოვაკმა, აგერ უკვე მერამდენედ, გაილალა მარჯვენა ფლანგზე და ბურთი კარის სიახლოვეს ჩაჰკიდა. რუდონიამ თავური აცილა.

89. აჩიმოვიჩმა დიდავას დაასწრო და სწრაფი პასით ნოვაკი გვარამაძეს შეატოვა. სლოვენიელმა გაუგებრად ითამაშა: მოატყუა მეკარე და ცარიელ კარში დარტყმა დააგვიანა. მერე ცუდად გადააწოდა ბურთი ზაჰოვიჩს, ამის დარტყმული კი გვარამაძემ აილო.

90. სლოვენიელთა კარიდან 40 მეტრში ქართველებმა საჯარიმოს უფლება მიიღეს. ბურთთან დიდავა დარჩა, დანარჩენები კი სლოვენიელთა საჯარიმოში ჩავიდნენ. მაღალ ბურთს ყველამ თვალი გააყოლა, ამასობაში კი მსაჯმაც საფინალო დაუსტვინა.

ლიუბლიანა
4 სექტემბერი
15 საათი
კოდელიევო
2 000 (ტევადობა 2 500)

## სლოვენია 2:2 საქართველო

### ახალგაზრდულები

1:0 სანკოვიჩი (21), 1:1 შენგელია (45), 1:2 ალექსიძე (65), 2:2 პიტამიცი (85)

**სლოვენია:** ნემეცი, შნოფლი, სანკოვიჩი, ჟუგდალიჩი, მირტიჩი (პიტამიცი 75), ჟლოგარი, ფილეკოვიჩი, პრეგელი, რისტიჩი, ნ. ჩეპი, პეკიჩი (იოჟეფი 68)

*სათადარიგონი:* ჰანდანოვიჩი; პრედნიკი, ჟნუდერლი, გობეცი, რადოსავლევიჩი

**საქართველო:** ბათიაშვილი, რუხაძე, ხიზანეიშვილი, აბრამიძე, ე. საჯაია, ა. სახვაძე, ზ. ხიზანიშვილი (გველესიანი 74), ალექსიძე, შაშიაშვილი, იმედაძე, გ. შენგელია (ვალერი გაგუა 82)

*სათადარიგონი:* ლომაია; ბურდული, ბაქრაძე, შავგულიძე, ჩაჩუა

**გაფრთხილება:** სანკოვიჩი, ჟლოგარი; ხიზანეიშვილი, საჯაია, გაგუა

**გაძევება:** რისტიჩი (37), აბრამიძე (37), სანკოვიჩი (53)

**მსაჯები:** პ. დიდერიხი; ფ. კრელო, ა. ტუსენი; ა. ვილტგენი (ყველა ლუქსემბურგი)

**უეფას დელეგატი:** ჯ. კამინგი (შოტლანდია)

**მერაბ რატიშვილი** ლიუბლიანიდან

ლიუბლიანას სპორტკლუბი „სლოვანი“ და ქართული სპორტი, კერძოდ, კალათბურთი, ერთმანეთისთვის უცხონი არ არიან. სწორედ „სლოვანის“ საკალათბურთო გუნდში დაიწყო ვლადიმერ სტეფანიას საერთაშორისო კარიერა. ამჟამად „სლოვანში“ ოთხი ქართველი კალათბურთელი თამაშობს და ვარჯიშობს: ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე და ირაკლი კეიდია.

ამიერიდან „სლოვანს“ ქართულ ფეხბურთთანაც ექნება საერთო. მიზეზი სლოვენიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩია, რომელიც კოდელიევოს სპორტულ პარკში გაიმართა. ეს პარკი, საფეხბურთო სტადიონით, საკალათბურთო დარბაზით, ჩოგბურთის კორტებით, აუზით და დანარჩენი რამე-რუმეებით სპორტკლუბ „სლოვანის“ საკუთრებაა.

ჰოდა, ამ სტადიონის შესანიშნავ გაზონზე სატურნირო ცხრილში მეზობლების, ჯგუფიდან გასვლის შანსდაკარგული მეტოქეების მატჩი, ცოტა არ იყოს, უფერულად დაიწყო. ახალგაზრდა ქართველების შეტევებს ერთფეროვნების იერი დაჰკრავდა — ბურთი, ძირითადად, მისდიოდა წინ ეულად მდგომ გია იმედაძეს, რომელიც ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას. მასპინძლებმა კი თამაშის გაშლა სცადეს, ფლანგებიდან შეტევებს მიეძალნენ, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ფლანგები თორნიკე რუხაძეს და არჩილ სახვაძეს ჩააბარა, ლიბეროდ გიორგი შაშიაშვილი გაამწესა, ხოლო ედიკ საჯაია და ვალერი აბრამიძე პერსონალურად აადევნა, შესაბამისად, პეკიჩსა და რისტიჩს. საჯაია, როგორც ყველაზე გემრიელი ლუკმა, ბოლოსთვის შემოვინახოთ, აბრამიძეზე კი ის ვთქვათ, რომ მისი და რისტიჩის მოედანზე ყოფნამ სულ 37 წუთს გასტანა. მატჩის დაწყებისთანავე ისინი ეჯახებოდნენ ერთმანეთს, დავობდნენ, კამათობდნენ, ჯიკაობდნენ. ბოლოს მათი ურთიერთობის გარკვევას გუნდური გაწევ-გამოწევა მოჰყვა და გაბრაზებულმა მსაჯმა მოედნიდან ორივე მიაბრძანა.

ხურცილავამ საყრდენად ოთარ ხიზანეიშვილი დააყენა, რაც მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე აუცილებლობით ახსნა. ოთარმა, ამპლუით მცველმა, მოედნის შუაში საკმაოდ საიმედო კედელი აღმართა, საერთოდ, კარგად შეასრულა ახალი მოვალეობა, თუმცა რამდენჯერმე წინ წასულმა შეტევის საუკეთესო გაგრძელება ვეღარ იპოვა — გამოცდილება არ ეყო.

ხიზანეიშვილის მხარდამხარ ზურაბ ხიზანიშვილი და რატი ალექსიძე თამაშობდნენ. ხიზანიშვილმა ბევრი იმუშავა და მნიშვნელოვნად განაპირობა კავშირი დაცვასა და წინწაწეულ გიორგი შენგელიასა და იმედაძეს შორის. ალექსიძე კი გამთამაშებლობასაც ითავსებდა და შორეული დარტყმებიც ითავა. მან რამდენჯერმე დაურტყა ნემეცს და აღმოჩნდა, რომ სლოვენიელთა მეკარე მთლად დამაჯერებლად ვერ იდგა.

# უკვე ჩვენი კარგი უკვირთ

პირველი გოლი კი სლოვენიელებმა გაიტანეს. ნასტია ჩეჰმა მარჯვნიდან ჩააწოდა საჯარიმო და ბურთი უხეიროდ დაყენებულ ორკაციან კედელს გადაატარა. საჯარიმოში ჩასულმა ტანმაღალმა მცველმა გორან სანკოვიჩმა თავური დაჰკრა, ბურთი მიწაზე დაეცა და ისე შევარდა ბათიაშვილის კარში.

ვერ ვიტყვი, ინიციატივას დაეუფლნენ-მეთქი, მაგრამ ქართველები ბურთს უფრო მეტად ფლობდნენ. ეგ იყო, გამწვავებას ერიდებოდნენ. მერე აბრამიძე და რისტიჩი გააძევეს. კაცის მოკლებამ მასპინძლებზე უფრო იმოქმედა, თამაში აერიათ, რითაც უმალ ისარგებლეს ქართველებმა და ახლა უკვე ფლანგებიდან გადაწყვიტეს მეტოქის კარისკენ გზის გაკვალვა. დროის მცირე მონაკვეთში რუხაძე, იმედაძე და ალექსიძე ზედიზედ შეიჭრნენ საჯარიმოში. სამივე იდეალურად გაისარჯა იმ მომენტამდე, როცა დარტყმა იყო საჭირო. თუმცა, ჩვენებურებს შრომა დაუფასდათ — მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთზე იმედაძემ კარს ზურგშექცეულმა მიიღო ბურთი და სწრაფად გადააწოდა ალექსიძეს. რატიმ დროული პასით ორი კაცი მოქმედებიდან გამოთიშა და შენგელია მეკარესთან პირისპირ დატოვა. გოლი გავიდა და ტაიმიც მორჩა.

მეორე ტაიმის დაწყებისას კინაღამ მეორე გოლი მივიღეთ. ჯარიმა ისევ ჩეჰმა შეასრულა, კედელი ამჯერადაც ცუდად იდგა და ბათიაშვილი ძელმა გადაარჩინა. მალე მასპინძლები ცხრანი დარჩნენ: სანკოვიჩმა უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

კაცნაკლულობამ სლოვენიელები გამოაფხიზლა და მართალია, ქაოტურად, მაგრამ მაინც შემოუტიეს ქართველებს. ჩვენებურებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და სწორედ ამის გამო დაარხეინდნენ. მოხშირდა ბურთის თრევა, მისი გადაჭარბებული ფლობა. ეს უფრო იმედაძესა და ალექსიძეზე ითქმოდა.

ქართველთა უპირატესობა მალე ციფრებშიც აისახა. ალექსიძემ თითქმის პირითი ხაზიდან მიიღო ბურთი. თავად საჯარიმოს ხაზზე იდგა და ის იყო, შემოტრიალებას აპირებდა, რომ სახეში მეტოქის ხელი მოხვდა. დაინიშნა ჯარიმა. რუხაძემ მარჯვნივ ჩაურბინა ბურთს, ალექსიძემ კი კედელს მარცხნიდან შემოატარა და მეკარემ თვალის გაყოლებაღა მოახერხა.

რაც დრო გადიოდა, ჩვენებს მით უფრო ეტყობოდათ დაღლა, განსაკუთრებით დაცვას. სლოვენიელები გაუშინაურდნენ ქართველთა საჯარიმოს და ერთხელ იოჟეფი ბათიაშვილთან პირისპირ გავიდა. შაშიაშვილმა იყოჩაღა და ვარდნაში გააგდებინა ბურთი სლოვენიელ თავდამსხმელს. ამასობაში მასპინძლები მიხვდნენ, რომ ფლანგებზე ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობა ხვდებოდათ და შეტევები იქითკენ მიმართეს. ხიფათიც შექმნეს, მაგრამ გოლს ვერ იტანდნენ.

84-ე წუთზე მატჩის ბედის საბოლოოდ გადაწყვეტა შეიძლებოდა: ალექსიძემ 40 მეტრი ირბინა, გზად სამი კაცი მოატყუა, მაგრამ პასი დაუგვიანა მარტო მდგომ იმედაძეს. თავად რატიმ კი დარტყმა ვეღარ მოახერხა. სლოვენიელებმა წამოიღეს ბურთი, პიტამიცმა უძლიერესად დაარტყა და ბათიაშვილმა კუთხურზე მოიგერია. გოლი კი ამ კუთხურიდან გავიდა: საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა დიდხანს იტრიალა უპატრონოდ. მისი გამოტანა ვერავინ შეძლო და იმავე პიტამიცმა არცთუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ფეხბურთელის უშეცდომო თამაში ახალგაზრდულ კი არა, უფროს ასაკშიც იშვიათია. შაბათს მოედანზე იყო ამგვარი გამონაკლისი — ედიკ საჯაია. შეგახსენებთ, რომ იგი სლოვენიელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელს პეკიჩს მეურვეობდა. საჯაიმ მეტოქეს განძრევის საშუალება არ მისცა. ყველა ბურთზე, უმეტესად, ასწრებდა, ხოლო თუ ეს არ გამოსდიოდა, სლოვენიელს ერთი-ორი ნაბიჯის



ბადრი კეთილაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავა

შემდეგ ართმევდა ბურთს. პეკიჩმა რამდენიმე პოზიცია გამოიცვალა, მაგრამ საჯაიასთან ვერაფერს გახდა და შესაცვლელი შეიქნა. მერე საჯაია მეორე თავდამსხმელს, პრეგელს აედევნა და ისიც შავ დღეში ჩააგდო. უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვის და ორისამი წლით უფროსი მეტოქეების დევნის მიუხედავად, 18 წლის საჯაიას ენერგია კიდევ საკმაოდ შერჩენოდა, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანდა ქართველების დაღლილი უკანა ხაზის ფონზე. რამდენჯერმე საჯაიამ დაზღვევაზეც ითამაშა და რომ არა იგი, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა სლოვენიელთა სახიფათო შეტევები.

## მატჩის შემდეგ

*მურთაზ ხურცილავა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:* ჩვენთვის მთავარი იყო არა შედეგი, არამედ თამაში. ჯგუფიდან გასვლის შანსი დავკარგეთ, ამიტომ ახალგაზრდულ ნაკრებში ვუხმეთ იმ ასაკის ფეხბურთელებს, რომლებსაც მომავალ ციკლში მოუწევთ თამაში.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები დაიღალნენ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ისინი მეტოქეზე ორისამი წლით, ზოგიერთი კი ოთხი წლით უმცროსები არიან. ისე, არც სლოვენიელები ჩანდნენ მთლად დასვენებულნი. ამით იმის თქმა მინდა, რომ დაძაბული მატჩი იყო.

ხიზანეიშვილის საყრდენად დაყენება აუცილებლობით იყო გამოწვეული. ოთარი შედარებით გამოცდილი მოთამაშეა და ამიტომ ვანდე ეს ადგილი. მისი თამაშით კმაყოფილი ვარ.

მატჩის წინ ბევრი ვიფიქრე, ვინ დამეყენებინა კარში. ბათიაშვილს ეროვნულ ჩემპიონატში სამი მატჩი აქვს ნათამაშევი. ლომაიას ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშია, სამაგიეროდ, სანკრებო გამოცდილება აქვს. საბოლოოდ, არჩევანი შევაჩერე ბათიაშვილზე, რომელსაც ბოლო დროს მეტი პრაქტიკა ჰქონდა.

მსაჯობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ მაქვს. ყვითელი ბარათები სავსებით მართებულად უჩვენა, ხოლო ორმხრივი გაძევების დროს ნამეტანი სიმკაცრე გამოიჩინა.

*იანეზ ზუპანჩიჩი, სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:* საქართველომ კარგად ითამაშა, ამას არ მოველოდით და გაკვირვებულნი დავრჩით. ვფიქრობ, საგოლე მომენტები ჩვენ მეტი გვქონდა, თუმცა შედეგით კმაყოფილი ვარ... მსაჯი ზედმეტად მკაცრი იყო, არცერთი მოთამაშე არ უნდა გაეგდო.

### II ჯგუფი

**ნორვეგია 2:1 საბერძნეთი**

0:1 კარაგიანისი (6პ), 1:1 კოპე (11), 2:1 ლანგე (71)

**ალბანეთი 1:1 ლატვია**

1:0 არბერი (15), 1:1 დობრეცოვსი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 19 |
| საბერძნეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 22:8 | 17 |
| სლოვენია | 8 | 1 | 5 | 2 | 10:11 | 8 |
| საქართველო | 8 | 1 | 4 | 3 | 7:11 | 7 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:16 | 6 |
| ლატვია | 8 | 1 | 3 | 4 | 4:14 | 6 |

## Under 21

### I ჯგუფი

**ბელარუსი 1:0 უელსი**

1:0 ლანკო (90)

**დანია 1:3 შვეიცარია**

0:1 კაბანასი (8), 0:2 იაკინი (16), 0:3 ტურე (84), 1:3 პეტერსენი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 1 | 2 | 6:3 | 10 |
| დანია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 10 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:8 | 7 |
| უელსი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:14 | 2 |

### III ჯგუფი

**ფინეთი 3:1 გერმანია**

1:0, 2:0 ფორსელი (20, 41), 2:1 ბლანკი (44), 3:1 პოჰია (90)

**ჩრდ. ირლანდია 1:2 თურქეთი**

0:1 ალბეირაქი (5), 0:2 გიოქთანი (7), 1:2 გრიფინი (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ფინეთი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 10 |
| გერმანია | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 2:9 | 3 |

### IV ჯგუფი

**უკრაინა 0:0 საფრანგეთი**

**რუსეთი 6:0 სომხეთი**

1:0, 2:0 გუსევი (21, 30პ), 3:0 ბეზროდნი (48), 4:0 საველიევი (51), 5:0 ზაქარიანი (84ს.კ), 6:0 ადიევი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 15 |
| საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 15:6 | 11 |
| სომხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:23 | 4 |
| ისლანდია | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |

### V ჯგუფი

**შვედეთი 1:4 ბულგარეთი**

0:1 ბერბატოვი (9), 1:1 ტოუმა (54), 1:2 ბერბატოვი (65), 1:3 ბუკარევი (84), 1:4 ფაკალიევი (90)

**ინგლისი 5:0 ლუქსემბურგი**

1:0 ჯერარდი (13), 2:0 ჯეფერსი (31), 3:0 ჰენდრი (62), 4:0 კორტი (69), 5:0 ლამპარდი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 22:0 | 21 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 16:10 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 11 |
| შვედეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:13 | 3 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:25 | 0 |

### VI ჯგუფი

**ავსტრია 1:2 ესპანეთი**

0:1 გერარდი (28), 0:2 ხოსე მარი (30), 1:2 შტრანცლი (81)

**კვიპროსი 1:1 ისრაელი**

0:1 უდი (10), 1:1 ნეოპიტოუ (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:3 | 18 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 0 | 2 | 16:8 | 15 |
| ისრაელი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:10 | 8 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |
| ავსტრია | 7 | 0 | 0 | 7 | 5:15 | 0 |

### VII ჯგუფი

**სლოვაკეთი 0:0 რუმინეთი**

**აზერბაიჯანი 0:2 პორტუგალია**

0:1 საბროსა (30პ), 0:2 მორეირა (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:6 | 14 |
| რუმინეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 12 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | 11 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| უნგრეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:13 | 3 |

### VIII ჯგუფი

**ხორვატია 5:1 ირლანდია**

1:0 ფილიპოვიჩი (13), 2:0 სოკოტა (22), 3:0 მიკიჩი (24), 3:1 ჰოუკინსი (41), 4:1, 5:1 ბალაბანი (89, 90)

**იუგოსლავია 2:0 მაკედონია**

1:0, 2:0 იელიჩი (29, 37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 6 | 1 | 0 | 23:5 | 19 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 1 | 1 | 19:8 | 13 |
| ირლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:11 | 8 |
| მალტა | 7 | 1 | 0 | 6 | 7:20 | 3 |
| მაკედონია | 6 | 1 | 0 | 5 | 2:16 | 3 |

### IX ჯგუფი

**ლიტვა 0:2 ჩეხეთი**

0:1 კუჩერა (48), 0:2 დაშეკი (68)

**ბელგია 5:0 ესტონეთი**

1:0 სონსკი (6), 2:0 რუსელი (32), 3:0 სონსკი (52), 4:0, 5:0 რუსელი (58, 59)

**ბოსნია 2:5 შოტლანდია**

0:1 ბურშილი (12), 1:1 ავდიჩი (25პ), 1:2 ბურშილი (50), 2:2 დუიმოვიჩი (57), 2:3 ტომპსონი (69), 2:4 ბურშილი (79), 2:5 პატერსონი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 15:2 | 22 |
| ბელგია | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 |
| ლიტვა | 8 | 4 | 1 | 3 | 12:6 | 13 |
| შოტლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 11:10 | 8 |
| ბოსნია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:17 | 4 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 4:29 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაგიკული ხანძარი

## ტორპედო აეკ-ს მაინც ქუთაისში ეთამაშება



ნახანძრალი „გივი კილაძის“ სტადიონი

მალხაზ ახვლედიანი ქუთაისიდან

საიდან დავიწყოთ, რა გითხრათ?! ალბათ იქიდან და ის, რომ ფეხბურთით ცხოვრობს ახლა ქუთაისი. დიდს თუ პატარას აქ ყველას აეკ-ი აკერია პირზე. უეფას თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე ესტონურ „ლანტანასთან“ წარმატებული თამაშის შემდეგ ევროტურნირის ახალ წრეში „ტორპედოს“ ხომ საბერძნეთის მრავალნაცადი ვიცე-ჩემპიონი ერგო მეტოქედ. „ტორპედო“ — აეკ-ი, აეკ-ი — „ტორპედო“, 16 სექტემბერს ქუთაისში, 30 სექტემბერს — ათენში, — ასე ინება წილისყრამ.

ყველაფერი გადაწყვეტილი, მოგვარებულია. სათექვსმეტსექტემბრო მატჩთან დაკავშირებულ საკითხებს ვგულისხმობთ.

შაბათს ქუთაისს ბერძნული კლუბის გენერალური მენეჯერი ნიკოლას სტრატოსი სტუმრობდა. ჩვენებურ სტადიონს, „გივი კილაძეს“ კარგი შეფასება მისცა, დასაწუნი არაფერი აქვს, უარესიც ბევრი მინახავსო. დასავლეთ ტრიბუნის „ა“ პარტერში აეკ-ის სამასი ქომაგისთვის ბილეთებიც კი დაჯავშნა. და, ყველაზე მთავარი, ქუთაისელთა თავსატეხად ქცეული სტუმარი გუნდის დაბინავების პრობლემაც უმალ მოხსნა ბერძენთა მენეჯერმა. ვარციხის სამთავრობო რეზიდენციის და წყალტუბოში თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის დათვალიერების შემდეგ სტრატოსმა კმაყოფილებით აღნიშნა, 70 კაცი თავისუფლად განვთავსდებით, პირობები მისაღებია, ავიალაინერის დაფრენის (ბერძნები 15 სექტემბერს ჩარტერული რეისით მოემგზავრებიან) საკითხი მოგვიგვარეთ და, დანარჩენს თამაში გვიჩვენებსო.

ეს შაბათს იყო. ნიკოლას სტრატოსიც კმაყოფილი დარჩა მასპინძლობით და ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობაც ბერძენის უპრეტენზიულობით. ეს შაბათს იყო, კვირა დილით კი...

ქალაქში მეხივით გავარდა: „გივი კილაძე“ დაიწვა, ხანძარს სტადიონის დაცვის უფროსი ემსხვერპლა...

ტრაგედია გამთენიისას, თვითმხილველთა თხრობით, 7 საათისთვის დატრიალდა. სტადიონის მახლობლად, ცენტრალური შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთ მაცხოვრებელს ადმინისტრაციული შენობიდან გამომავალი კვამლი შეუნიშნავს და უმალ სახანძროს დაკავშირებია ტელეფონით, იჩქარეთ, სტადიონი იწვისო. შეაგვიანდათ მეხანძრეებს, ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ უბედურების თვითმხილველნი. სახანძრო მანქანები სტადიონს რომ მოადგნენ, ალი უკვე შენობის მარჯვენა მხარის ორივე სართულს მოსდებოდა. მერე კი იმარჯვეს მეხანძრეებმა, ვაჟკაცურად შეებრძოლენ გამძვინვარებულ ცეცხლს, ოციოდ წუთში შეძლეს მისი ლოკალიზაცია, ოღონდ... შენობის ნახსენებ ნაწილში რისი დაწვაც შეიძლებოდა, ყველაფერი ალმა შთანთქა. პირველ სართულზე მთლიანად გადაიბუგა სტუმარი გუნდებისთვის გამოყოფილი გასახდელი და სანიტარული კვანძები. არაფერი გადარჩენილა მეორე სართულზეც — სტადიონის დირექტორის კაბინეტში, კანცელარიაში, მსაჯთა და დელეგატის ოთახებში ყველაფერი დაიფერფლა, იქაურობას გატყავებული კედლებიღა შემორჩა.

ახლა იმას ამბობენ, მეხანძრეებს რომ ცოტა კიდევ დაეგვიანებინათ, ხანძარი შენობის მარცხენა ნაწილში და, ტრიბუნებზეც გააღწევდა, ყველაფერს დაანახშირებდა, სტადიონისგან მინდვრის გარდა საერთოდ აღარაფერი დარჩებოდაო.

ალბათ ასეც იქნებოდა, მაგრამ მეტი უბედურება რაღაა. ხანძარმა სტადიონის დაცვის უფროსის 59 წლის ელდარ ცერცვაძის სიცოცხლე შეიწირა, იგი კვამლისგან გაგუდული ოთხი საათის შემდეგ მოიძიეს ერთ-ერთ საკუჭნაოს მაგვარ ოთახში.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ახლა საგამომძიებლო დეპარტამენტი იკვლევს. ის კი ცნობილია, რომ ხანძრის წარმოშობის მომენტში სტადიონზე აწ გარდაცვლილი დაცვის უფროსი და ერთი ყარაული იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელის დაკითხვებმა, წესით, ბევრ რამეს უნდა მოჰფინოს ნათელი.

ქუთაისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსის მოადგილე პოლიციის მაიორი *შაქრო ჯიხვაძე:*

— ჩვენმა დისპეტჩერმა გამოძახება



სტადიონის დირექტორის გამომწვარი კაბინეტი

მალხაზ ახვლედიანი ქუთაისიდან

დილის 7 საათსა და 23 წუთზე მიიღო, ვიღაცამ დარეკა, სტადიონი იწვისო. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გავიდა მესამე სახანძრო ნაწილის ორი ათეული. სტადიონთან მიახლოებისთანავე ხანძრის პირველი ქრობის ხელმძღვანელმა დასახმარებლად გამოიძახა ქალაქში არსებული ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ქვედანაყოფი. მეხანძრეები თავის საქმეს რომ შეუდგნენ, ხანძარი პირველ და მეორე სართულებზე უკვე მძვინვარებდა, კორიდორები და ოთახები ძლიერ დაკვამლიანებული იყო. მუშაობას ძლიერ ქართან ერთად ისიც აფერხებდა, რომ შენობა შიგნიდან შეტკეჩილ — შელესილია და კედლები თუ არ ჩამოინგრა, ისე ხანძარს იოლად ვერ ჩააქრობ. მიუხედავად ამისა, 7 საათსა და 56 წუთისთვის ხანძრის ლოკალიზაცია მოხერხდა, ხოლო მთლიანად მისი ლიკვიდაცია 9 საათსა და 23 წუთზე მოხდა.

*— გავრცელდა ხმა, თითქოს მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით გამოცხადნენ...*

— ეს ჭორია და სხვა არაფერი. შეიძლება ვიღაცას ჩვენი სამსახურის დისკრედიტაცია სურს. შეტყობინების მომენტში სადისპეტჩერო პულტთან თავად სამორიგეო ნაწილის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი მახათაძეც იმყოფებოდა. დისპეტჩერმა მეტრეველმა მის თვალწინ ამოწერა საშვი და მანქანები სტადიონისკენ გაუშვა. დაგვიანება არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა. მითუმეტეს ძლიერი ქარი იყო და ასეთ შემთხვევებში ჩვენი სამსახური ყოველთვის მობილიზებულია მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ტექნიკას არავითარი შეფერხება არ ჰქონია, ხანძრის ქრობის დაწყებიდან მის ლიკვიდაციამდე.

*— ხანძრის წარმოშობის მიზეზს ხომ ვერ გვეტყვით?*

— ჯერჯერობით თავს შევიკავებ, ვინაიდან საქმეში საგამომძიებლო დეპერტამენტია ჩარეული და, ალბათ, ყველაფერი მალე გაირკვევა.

*„ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი:*

— საზარელი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. შენობა შენობად აღარ ვარგა, მაგრამ ამას მოევლება, ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ კაცი დაიღუპა. ძნელია ახლა ამტკიცო, ხანძარი შემთხვევით გაჩნდა თუ არა, ამას გამოძიება დაადგენს. ცუდია, რომ ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო, იქეთ ბაზის დაყაჩაღება, აქეთ ხანძარი. როგორმე უნდა გადავიტანოთ. ჩვენი სიძლიერე ის იქნება, რომ მიუხედავად ყველა უბედურობისა, სიმტკიცეს გამოვიჩენთ და ბერძნებთან თამაშს არა სადმე სხვაგან, არამედ აქ ქუთაისში ჩავატარებთ. შენობის აღსადგენათ ათი დღე დაგვრჩენია. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვასწროთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ერთიანი ძალისხმევით ამას შევძლებთ.

შედან ნანიკაშვილის აზრს, რომ „ტორპედო“ — აეკ-ი ქუთაისში ჩატარდება ყველა იზიარებს. სტადიონზე გავათენებთ და დავაღამებთ, მაგრამ აღსადგენს მაინც აღვადგენთ, ირწმუნებიან ქალაქის მერიდან დაწყებული და „ტორპედოს“ ქომაგებით დამთავრებული. ღმერთმაც ქნას.

გუშინ სტადიონის მუშაკებს შენობის დამწვარი ნაწილის გაწმენდაში ჯარისკაცთა ოცდაათეულიც ეხმარებოდა. ხვალ და ზეგ მეტი ხალხი მოვა დასახმარებლად, დარწმუნებული უნდა ვიყოთ და, საქმეც გაკეთდება.

დღეს კი „ტორპედო“ ამ სტადიონზე „ბათუმს“ მასპინძლობს, ზღვისპირელებს ამხანაგურად ეთამაშება. რაღა დარჩა აეკ-ამდე? ეს და 11 სექტემბერს „მერანთან“ შინაური ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩი (თამაშს აეკ-ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე სტომატიდისი დაესწრება).

ტორპედოელები მის გამართვასაც „გივი კილაძის“ სტადიონზე აპირებენ. დღესვე დილით „ტორპედოს“ მეორე შემადგენლობა საღორიის საწვრთნელი ბაზის მოედანზე წყალტუბოს „სამგურალს“ გაეჯიბრება. რაღა თქმა უნდა, ესეც ამხანაგური თამაში იქნება.

**იუზა ძაციტაძე**
ქუთაისიდან



ესღა დარჩა სტუმართათვის განკუთვნილი ახლახან განახლებული გასახდელიდან

მალხაზ ახვლედიანი ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ის ბოსკამპი აღარ არის...

## გოჩა ჯამარაულის თამაში ისევ საეჭვოა


გოჩა ჯამარაულის თამაში ისევ საეჭვოა

სლოვენიაში მორიგი მარცხის შემდეგ იოჰან ბოსკამპმა და მისეულმა ნაკრებმა კვლავ დილმის ბაზაზე მოიყარა თავი. გუშინდელი შეკრება ჰოლანდიელის განრიგით სამ საათზე იწყებოდა. ფეხბურთელები კი კარგა ხნით ადრე შეგროვდნენ და თეორიულ მეცადინეობამდე დარჩენილი დრო მთლიანად ქართულ პრესას და კერძოდ მის სპორტულ განყოფილებას დაუთმეს.

რა შეიძლება ითქვას შინდისფერებზე ახალი? ბევრიც არაფერი, გუნდში დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც ადრე იყო-ხოლმე.

სასიკეთოდ ის გვენიშნა,რომ საქართველოს ნაკრები ამჯერად სრული შემადგენლობით, დანაკლისის გარეშე შეუდგა ლატვიელთა წინააღმდეგ მატჩისთვის მზადებას, ანუ არ არიან ტრავმირებულები და არც დისკვალიფიცირებულები.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციის (ანუ წითელ-ყვითელი ბარათების ნუსხა) შესახებ ცნობა ზუსტად ვარჯიშის დროს მოვიდა უეფადან და ამდენად მასზე თვალის გადავლების საშუალება ჟურნალისტებსაც გვქონდა. გულშემატკივარს შეუძლია, ნერვები დაიმშვიდოს (თუ დარჩა, კი), არც ერთ ქართველ ფეხბურთელს თითო ყვითელ ბარათზე მეტი არა აქვს მიღებული.

სავარაუდოდ, ითამაშებს აქამდე ფეხმტკივანი გიორგი დემეტრაძეც. „ალანიას" მეგოლემ ეს ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა და ვარჯიშზეც ისე თავგამეტებული ირჯებოდა, უკეთესს ვერ ნახავდი კაცი.

ჯანზე არიან ისინიც, ვინც სლოვენიური მატჩი ტრავმის და დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს — ქეცბაია, წერეთელი, ნემსაძე გუშინ სხვებზე არანაკლები მონდომებით ირჯებოდნენ. ერთადერთი, გოჩა ჯამარაულის თამაშია ისევ საეჭვო

რაც შეეხება ბოსკამპს, გარდა ფეხბურთელებისა არავინ იცის, როგორ იქცეოდა ერთსაათიანი თეორიული მეცადინეობის დროს, მაგრამ სავარჯიშო მინდორზე ძველი მრისხანე ჰოლანდიელის აჩრდილიღა დააბიჯებს — არც ყვირილი, არც შეფუცხუნება, არც რაიმე სიახლე... დგას ტუსაღივით უკან ხელებშემოწყობილი და დროს ან დამხმარეებთან საუბარში, ანაც ხითხითში კლავს.

ერთხელ გამოცოცხლდა მხოლოდ, როცა ნაკრების ვარჯიში ვალტერ გუჩუამ მოინახულა. მწვრთნელმა ძველებურად, ომახიანად შესძახა — გუდ, გუჩიო. მერე კი სანამ ფრანსუა-მორბენალი ქართველ ფეხბურთელებს სწურავდა, იდგა და ვალტერთან ხორხოცობდა.

ერთი სიტყვით, ის ბოსკამპი აღარ არის.

ქართველი ფეხბურთელები ლატვიასთან მატჩისთვის განსაკუთრებული ჟინით ემზადებიან. ვინ-ვინ და მათ კარგად უწყიან, სწორედ ლატვიურმა მარცხმა არია ქართული საქმე.

კარის გაჯახუნება კი შინდისფერებს ტრადიციად ექცათ.

ახლა საქართველოს ნაკრების მომავალ განრიგზეც — 7 სექტემბერი: ვარჯიში ოთხ საათზე, მერე სადილი, ვახშამი, ძილი; 8 სექტემბერი — საუზმე, თეორიული მეცადინეობა, სადილი და...

მერე საქართველო — ლატვია.

ევრო 2000-ის ბოლო საკვალიფიკაციო მატჩი საქართველოში.

კონსტანტინე ბოგიშვილი

# ზაზა ჯანაშია კვლავ ჯანზეა


ზაზა ჯანაშია

მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველმა თავდამსხმელმა ზაზა ჯანაშიამ ამას წინათ მიღებული ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშსაც შეუდგა, თუმცა ექიმთა რჩევით დიდ დატვირთვებს ჯერჯერობით ერიდება და ამიტომ ინდივიდუალურად ემზადება. 1998-99 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, 21 აგვისტოს რუსეთის ჩემპიონატის 21-ე ტურში მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში დაშავდა. ჯანაშიას ბარძაყის უკანა კუნთი დაეჭიმა და ამის გამო უკანასკნელი ორი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა — უეფას თასზე ბელორუსულ „ბატესთან" და რუსეთის ჩემპიონატში „კრილია სოვეტოვთან".

ბოსკამპის მიერ საქართველოს ნაკრებიდან მოკვეთილი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი მინდორს 11 სექტემბერს დაუბრუნდება. ამ დღეს „ლოკომოტივი" ნახევრად ქართულ ვლადიკავკაზის „ალანიას" ეწვევა. ამ მატჩში რუსეთში მოთამაშე ორი საუკეთესო ქართველი ლეგიონერის — ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშიასა და ალანიელი გიორგი დემეტრაძის დუელი შედგება.

ვანო ოქროპირიძე

# დინამოს დილა-საღამო

## ერთად და ცალ-ცალკე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ამ ბოლო ტურებმა ეროვნული ჩემპიონატი ორი კვირით შეწყვიტა. ჯერ მხოლოდ სამი ტური გაიმართა და ასეთ დროს დამუხრუჭება, როცა გუნდებს თამაში სწყურიათ, ახალამუშავებული ჩარხის ჩამრთველ-გამომრთველით თამაშს უდრის.

ვისაც საქმე საამისოდ აქვს, ანუ არდადეგებზეც ეთამაშება, თამაშობს. ევროთასებიდან დაფრენილმა „დინამომ" შაბათს „ვიტ ჯორჯიას" მცხეთაში რომ სტუმრობს, კალენდარულ მატჩს ერთი კვირით დაასწრო — გუშინწინ ჩემპიონი დილმის ბაზაზე გორის „დილას" დაუხვდა.

კაცმა რომ თქვას, „დინამო" საიდან, ნახევარი ეროვნულ, მეორეც ახალგაზრდულ ნაკრებშია და „დილასთან" როგორ უნდა ეთამაშა, მაგრამ თქვენ სურვილი თქვით და, მოგეხსენებათ, ფეხბურთს 7 კაციც თამაშობს.

გეხსომებათ, ამ ზაფხულს პირველ ლიგაში თამაშის უფლება თბილისის „დინამოს" ფარმ-კლუბმა მოიპოვა, რის მერეც, „დინამო 2"-ს „თბილისი" ეწოდა და ცალკე იურიდიულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ამ ცოტა ხნის წინ კი „თბილისის" მწვრთნელი ოთარ კორღალიძე „დინამოს" მწვრთნელად დაინშნეს. „დინამო" კი კვირას „დილას" ეთამაშებოდა.

კორღალიძემ „თბილისიდან" გიორგი მიქაძე, ზამთარაძე, ლევან მელქაძე, ირაკლი შენგელია და ქემოკლიძე დაიმატა, ბოსკამპს მიხეილ აშვეთიას გამოსთხოვა, ნაკრებში რაკი არ თამაშობს, პრაქტიკა აქ მაინც მიიღოსო და გორელებს 2:1 მოუგო.

„დინამო" მიქაძემ და აშვეთიამ დააწინაურეს. ერთი გოლი ციცქიშვილმა გაქვითა.

თბილისელთა შერეულ შემადგენლობაზე კი ეს ითქვა, კორღალიძემ ისინი გამოსცადა, ვის დამატებასაც მეორე წრეში ფიქრობს. და საერთოდ, ეს დღეებია, ნახევარი „დინამო" და ნახევარი „თბილისი" დილა-საღამოს ერთად ვარჯიშობენო. ცალ-ცალკე სუბიექტები არიანო.

ვახტანგ ბზიკაძე

# იაშვილი დაბრუნდა

## გამოჯანმრთელებულმა ქართველმა არაუს გადამწყვეტი გოლი გაუტანა

ამ შაბათ-კვირას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გამო ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური სხვა ქვეყნების მსგავსად, არც გერმანიაში გამართულა. ბუნდესლიგის ზოგიერთმა კლუბმაც ისარგებლა ამ პაუზით და საკონტროლო თამაშებიც ჩაატარა. პირველი ბუნდესლიგის „ფრაიბურგმა" მეტოქედ შვეიცარიული კლუბი „არაუ" ირჩია და 3 სექტემბერს სტუმრად ეწვია კიდეც. ამ შეხვედრაში, ბუნებრივია, მონაწილეობა ვერ მიიღეს ლევან კობიაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა, რომლებიც საქართველოს ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი. სამაგიეროდ, რვათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ „ფრაიბურგის" მაისურა ისევ მოირგო გუნდის მესამე ქართველმა ფეხბურთელმა ალექსანდრე იაშვილმა, რომელიც მძიმე ტრავმისგან ახლახან განიკურნა და ბოლო დროს გუნდთან ერთადაც ვარჯიშობდა.

იაშვილმა გასულ სეზონში ბუნდესლიგაში სულ 11 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც 6 გოლის გატანა მოახერხა და საბოლოოდ „ფრაიბურგის" ბომბარდირი გახდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე წლეულსაც ძალიან დიდ იმედებს ამყარებს ჩვენებურზე და მის გამოჯანმრთელებას მოუთმენლად ელოდა. იაშვილმაც მწვრთნელს იმედები არ გაუცრუა. პირველ ტაიმში შტეფან კორელის მიერ გატანილ გოლს 71-ე წუთზე ქართველმა თავდამსხმელმა მეორე დაამატა. მასპინძლებმა კი მხოლოდ ერთი საპასუხო გოლი გაიტანეს და საბოლოოდ „ფრაიბურგმაც" 2:1 მოიგო. არადა, იაშვილი გოლის გატანამდე რამდენიმე წუთით ადრე შევიდა მინდორზე.

აღსანიშნავია, რომ „არაუსთან" შეხვედრაში „ფრაიბურგს" კიდევ ორი ფეხბურთელი დაუბრუნდა. ანდრეას ცაიერსა და უვე ვასმერს იაშვილის მსგავსად, ბოლო დროს ტრავმები აწუხებდათ, ოღონდ უფრო მსუბუქი.

„არაუსთან" ალექსანდრე იაშვილის თამაშით თუ ვიმსჯელებთ, ფინკე მას, ალბათ, ბუნდესლიგის მეოთხე ტურშიც ათამაშებს, თუმცა ძირითადში დაყენებას, ალბათ მოერიდება. შაბათს, 11 სექტემბერს, „ფრაიბურგი" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ დორტმუნდის „ბორუსიას" სტუმრობს. დორტმუნდელთა ახლანდელ აღმავლობას თუ გავითვალისწინებთ, „ფრაიბურგს" ამ მატჩში იაშვილის დახმარება ნამდვილად დასჭირდება.

ვანო ოქროპირიძე


ალექსანდრე იაშვილი

# ოქრო სანაგვეზე

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი თენგიზ სულაქველიძე დღესაც ქართული ფეხბურთის სამსახურშია და უდავოდ სასარგებლო საქმეს აკეთებს. თქმა არ უნდა, დღევანდელი ჩვენი პრობლემები „ბევრ სიკეთესთან" ერთად ბავშვთა ფეხბურთის გაუმართაობასაც უკავშირდება. ჰოდა, სულაქველიძემაც რთული მისია იკისრა, დიდ საქმეს შეეჭიდა.

შემოდგომის ბოლოს დიღომში თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო აკადემია გაიხსნება. ჩვენში ასეა, ყველა სასიკეთო წამოწყებას გარკვეული სირთულეები ხვდება, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემები თითქმის დაძლეულია. ის, რასაც სულაქველიძე აკეთებს კი ორმაგად დასაფასებელია. ბატონმა თენგიზმა აკადემიის მშენებლობისთვის კუთვნილი სააგარაკო ნაკვეთი გაყიდა, მეგობრებიც ამოუდგნენ მხარში და... დიღომში უკვე ორ თვეზე მეტია, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილს არ იკითხავთ? ოთხი ჰექტარის ფართობის ტერიტორია, რომელიც უკვე საიმედო ხელშია, ოქროულობის ქარხნის — „მიონის" გვერდით მდებარეობს. ადრე იქ ნაგავსაყრელი იყო, ცოტა ხანში კი ბევრი ყმაწვილის საყვარელ მიდამოდ გადაიქცევა.

— აკადემიაში ექვსიდან თოთხმეტ წლამდე ბავშვები მოემზადებიან. მათ გამოცდილი სპეციალისტები გაწვრთნიან — ანზორ გძელიძე, ნოდარ ჭელიძე, ოთარ გაბელია, მათ თენგიზ სულაქველიძეც მიუმატეთ და... მგონი, დასაწყისისთვის საკმარისია, შემდეგ კი მწვრთნელთა კონტინგენტიც გაიზრდება — განაცხადა ჩვენთან საუბარში სულაქველიძემ. საფეხბურთო აკადემია საერთაშორისოა. ეს კი იმას ნიშნავს,რომ მას დიდი კონტაქტები ექნება რუსეთისა და უკრაინის (დასაწყისისთვის) ანალოგიურ საფეხბურთო სკოლებთან. ამ სოლიდურ საქმეს პრეზენტაციაც სათანადო ექნება. თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის გახსნას საბჭოთა კავშირის წარსულში ცნობილი ფეხბურთელები დაესწრებიან და სამომავლო კონტაქტებზეც უფრო დაწვრილებით მოილაპარაკებენ.

ხედავთ? სურვილი და მონდომება, თორემ საქმის კეთება ჩვენში ნაგავსაყრელზეც შეიძლება.

ბაატა ქვანტალიანი

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IX ტური

# საქართველო — ლატვია

8 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

*„შერატონის" ფოიეში ლატვიის ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი მიმოდიოდა. აი, იმ კაცმა იცის ყველაფერი და მას მიმართეთო — გვითითებდნენ 21-წლამდელი სტუმრები. ის კაცი ლატვიის ნაკრებისა და რიგის „სკონტოს" გენერალური მენეჯერი გენადი კარავაევსი აღმოჩნდა. ძალიან ენაწყლიანი კი გამოდგა ის დალოცვილი, მაგრამ როცა ფინანსებს ვუხსენებდი, ენას კბილებს აჭერდა. თითქოს მენეჯერი კი არა, კლუბის მასაჟისტი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მაინც საინტერესო დიალოგი გამოგვივიდა და უპრიანი იქნება, თქვენც გაეცნოთ კარავაევსის, როგორც რევაზ ძოძუაშვილის მეგობრისა და ქართველების სიმრავლით გამორჩეული „სკონტოს" ერთ-ერთი მეპატრონის აზრებს.*

# ლატვიაში უფროს შვილს ბუღალტერს ანათვლინებენ

## ძოძუაშვილი: ყინულმჭრელი უდაბნოში

**— ჯერ ალბანურ მატჩზე გვიამბეთ.**

— ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში მიდიოდა. ორივე გუნდმა შემტევი, აგრესიული ფეხბურთი აჩვენა და შედეგიც შესაფერისი დაფიქსირდა.

**— 3:1-ს იგებდით. ანგარიშის შენარჩუნება რატომ ვერ შეძელით?**

— ბიჭებმა ნაადრევად ჩათვალეს საქმე გაკეთებულად. ცოტა დაღლამაც იმოქმედა. ბოლო 15 წუთში დაცვაში სერიოზული ხარვეზები წარმოიშვა. არადა, მეტოქეც დამარცხებას თითქმის შეგუებული იყო. მეორე გოლი შემთხვევით გაგვიტანეს. ამან სტიმული მისცა ალბანელებს და ჩვენგან მიცემული შანსი ბოლომდე გამოიყენეს. თან ბოლო წუთზე მცველი ლუკაშევიჩი გაგვიძევეს ორი გაფრთხილების გამო. მესამე ბურთიც კაცნაკლულებმა გავუშვით მსაჯისგან დამატებულ 4 წუთში. თუმცა 3:3-ზეც გვქონდა გატანის რეალური შესაძლებლობა.

**— ინგლისელ მწვრთნელზე, გარი ჯოუნსზეც გვითხარით. როგორ დაუკავშირდით მას და რა ვადით გაუფორმეთ კონტრაქტი?**

— ბოლო ერთი წელია, მასთან სისტემატურად ვთანამშრომლობდით. შარშან დეკემბერში ჩვენი ნაკრებისა და „სკონტოს" იტალიურ შეკრებაზეც იმყოფებოდა. შემდეგ შეხვედრებსაც ესწრებოდა. ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს „სკონტოსა" და ლატვიის ფედერაციის პრეზიდენტთან გიუნტის ინდრიქსონთან. სწორედ მისი მოწვევით მოვიდა ნაკრებში. მანამდე კი ინგლისურ კლუბ „უოტფორდთან" არსებულ იუნიორთა აკადემიაში მუშაობდა. გასულ წელს ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის გრემ ტეილორის თანაშემწე იყო და „უოტფორდს" პრემიერლიგაში აღზევებაში დაეხმარა.

რაც შეეხება ჯოუნსთან გაფორმებული კონტრაქტის ხანგრძლივობას, იგი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე დარჩება ლატვიაში.

**— ჯგუფიდან გასვლის შანსები ჯერ კიდევ გქონდათ. ამ დროს კი ძოძუაშვილმა დაგტოვათ.**

— მართალია, შანსი მართლაც გვქონდა, მაგრამ... ძოძუაშვილს არ მივუტოვებივართ. ყველა მისი ნაბიჯი ჩვენთან შეთანხმებული იყო. ამის შესახებ ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა. არადა, შანსი კვლავ არსებობდა. ისე, ახლაც შეგვიძლია ჯგუფიდან გასვლა თუ სლოვენია ორივე შეხვედრას წააგებს, ჩვენ კი პირიქით.

აზიელთა წინადადებას გაგებით შევხვდით. ეს კარგი ვარიანტი იყო როგორც ძოძუაშვილისთვის, ასევე ლატვიის ფეხბურთისთვის. იქაურ ფეხბურთს არც ისე კარგად ვიცნობთ. ჯერ ერთი, აზიურ ბაზარზეც იოლად გავალთო, მეორე — იქაურ კლუბებთან ამხანაგური მატჩების გამართვა არ გაგვიჭირდება, ასევე არაბეთის მიწაზე შეკრებების მოწყობას ყოველთვის მოვახერხებთ. ამაში ძოძუაშვილი დაგვეხმარება. მისი დიდი იმედი გვაქვს.

ამ ეტაპზე უკვე ერთი ფეხბურთელი — არმაზ ჯელაძე გავუშვით მასთან. ალბათ, სხვებსაც იგივე ბედი მოელით.

**— თუ საიდუმლო არ არის, რა თანხებზეა ლაპარაკი ძოძუაშვილის ვარიანტისას და იგივე ჯელაძის შემთხვევაში?**

— ამის თქმა არ შემიძლია, რადგან



ნუგზარ ძითილაძის ფოტო

გენადი კარავაევსი

შეიძლება ერთი რამ დაგეგმო და მეორე მიიღო. ჯელაძის შემთხვევაში მართლაც ასე გაკეთდა. თავიდან სამი ფეხბურთელი უნდა წასულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენც გეგმები შეგვეცვალა.

**— თქვენი პირადი აზრი მაინტერესებს. არ დაგწყდათ გული, ძოძუაშვილის რომ წავიდა?**

— რა თქმა უნდა, ძალია. ძოძუაშვილმა ბევრი რამ შეჰმატა ლატვიურ ფეხბურთს. მან და მისმა მოყვანილმა ქართველმა ფეხბურთელებმა კოლორიტულობა შესძინეს ჩვენს გათამაშებას და ხელი შეუწყვეს ფეხბურთის განვითარებას. ჩვენ მუდამ მისი მადლიერები ვიქნებით.

**— მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი, ლატვიური ფეხბურთის დონემ რომ საკმაოდ აიწია.**

— მე ყოველთვის ვთვლი, რომ ფეხბურთი არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანარეკლი. მაღალ მიზნებს ყოველთვის ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების წარმომადგენლეიბ აღწევდნენ. ბრაზილია, ალბათ, უიშვიათესი გამონაკლისია. ლატვიური ფეხბურთის დონის ამაღლებას უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სტაბილურმა ეკონომიკამ შეუწყო ხელი. ამასთან ჩვენში ყურადღებას არ აკლებენ სპორტის ამ სახეობას. ძალიან დიდი თანხები იხარჯება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. უკვე დავიწყეთ დიდი დარბაზის მშენებლობა „სკონტოსთვის", სადაც ზამთარში ვარჯიში და თამაში უპრობლემოდ იქნება შესაძლებელი. კლუბი ახალ სტადიონსაც აშენებს. მისი სათამაშო მინდვრის ქვეშ გათბობა დამონტაჟდება. გაკეთდა რიგის „დაუგავას" სტადიონის რეკონსტრუქცია. ყველაზე დიდი წვლილი კი ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიუძღვის. იგი ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ წინსვლისა და შენების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს და მომავალში ვერავინ შეძლოს მისი შეჩერება.

**— თუ არ გაგიჭირდებათ, გაიხსენეთ ძოძუაშვილი ლატვია — საქართველოს მატჩის წინ.**

— რევაზისთვის მართლაც რთული სიტუაცია იყო. ერთი მხრივ იგი, როგორც ლატვიის ნაკრების თავკაცი, პროფესიულად უნდა მოქცეულიყო, მეორე მხრივ სამშობლოს ნაკრების წინააღმდეგ მოქმედება უწევდა და... ძალიან უჭირდა. ყველანი გვერდით ვედექით და ვეხმარებოდით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. რევაზი ნადვილი პროფესიონალივით მოიქცა...

**— ოდნავ მაინც თუ ეჭვობდით, რომ ძოძუაშვილი სხვაგვარად მოიქცეოდა?**

— არა, არა...

**— რა განსხვავება შენიშნეთ ძოძუაშვილისა და ჯოუნსის ნაკრებებს შორის?**

— რევაზი, როგორც იცით, მცველი იყო. მწვრთნელობისასაც დაცვას დიდ ყურადღებას უთმობს. სწორედ მასზე აგებს გუნდის თამაშს. ლატვიის ნაკრებშიც იგივეს აკეთებდა. ჯოუნსი კი უფრო რომანტიკოსია. შეტევისკენ მოუწოდებს ფეხბურთელებს. თუმც ინგლისელმა ძოძუაშვილის ძირითდი პრინციპები არ შეცვალა და ეს არასწორიც იქნებოდა. იგი შეეცდება, ახალი მეთოდები დანერგოს.

**— ოთხშაბათს საქართველო**



REUTERS ტირანიდან

გარი ჯოუნსი

**რევანშის აღებას შეეცდება. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ეს ბუნებრივია, თუმცა... საინტერესო შეხვედრა იქნება. სანახაობრივადაც კარგი თამაში უნდა გამოვიდეს, რადგან შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

**— შემადგენლობაში რა პრობლემები გაქვთ?**

— საქართველოსთან ჩვენი წამყვანი ნახევარმცველი, ასტაფიევი ვერ ითამაშებს. მან მეორე გაფრთხილება მიიღო. ასევე ალბანეთთან გაძევებული მცველი ლუკაშევიჩი გამოგვაკლდება. დანარჩენები კი ჯანზე არიან. დაგვემატება თავდამსხმელი პახარსი, რომელმაც ტირანაში ორი გაფრთხილეის გამო ვერ ითამაშა.

**— ახლა „სკონტოზე" ვისაუბროთ. ძალიან გვაინტერესებს, რას ნიშნავს თავად ეს სიტყვა?**

— უპირველეს ყოვლისა, ამ სახელს ატარებს ლატვიის ერთ-ერთი ცნობილ მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა. თავად სიტყვა კი საბუღალტრო ტერმინია იტალიურად. იგი ფასდაკლებას ნიშნავს. იგივეა, რაც შელავათი ნაღდი ანგარიშსწორებისას ან ფულის დროზე ადრე გადახდის შემთხვევისას.

**— „სკონტოს" ქართველი ლეგიონერებით დაინტერესება რით ახსნათ და რას ფიქრობთ მათზე?**

— ძალიან კარგი შეხედულება მაქვს, ყველა მონდომებული, მხოლოდ ფეხბურთი აინტერესებთ და ჩვენც ვცდილობთ, ნორმალური პირობები შევუქმნათ. რაც შეეხება დაინტერესებას, ამაში მთავარი „დამნაშავე" ძოძუაშვილია. როცა იგი „სკონტოში" მოვიდა, თან ჩამოიყვანა სამი ფეხბურთელი და იქიდან დაიწყო ყველაფერი. ამ საქმეშიც რევაზს ვუმადლით და იმედია, მომავალშიც ამ გზით ვივლით — საქართველო მუდამ იყო ნიჭიერ ფეხბურთელების სამჭედლო.

**— „სკონტო" ჩვენებურ თბილისის „დინამოს" მახსენებს. ეროვნულ ჩემპიონატში ბადალი არ ჰყავს. აი, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კი კვლავ სურვილად რჩება.**

— ჩვენ ობიექტურად არ ვაფასებთ საკუთარ ძალებს და ჩემპიონთა ლიგაში შემთხვევით მოხვედრის გვჯერა, ისე როგორც ეს შეძლეს ადრე ფინურმა „ჰიკმა", წლეულს კი „მარიბორმა". სინამდვილეში კი საამისოდ მზად არ ვართ. ჩემპიონთა ლიგაში რომ მოვხვდე, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა უნდა გქონდეს, ჩვენ კი ჯერ კარგი სტადიონიც არ გაგვაჩნია. ერთი ნორმალური არენაა, „დაუგავასი" და ისიც მხოლოდ 5 600 მაყურებელს იტევს... ლიგაში შეხვედრები მარტშიც იმართება და ნოემბერშიც, ამიტომ მოედანს გათბობა ესაჭიროება. როცა ეს ყველაფერი გვექნება და გუნდიც საკმაოდ გაძლიერდება, მერე შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა რეალურად დავისახოთ მიზნად. მანამდე არც ჩვენ ვჩქარობთ და არც არავინ გვაჩქარებს. ნაყოფი ბოლომდე უნდა დამწიფდეს.

**— რამდენია კლუბის ბიუჯეტი?**

— არ მინდა ციფრის დასახელება. ევროპის საშუალო კლუბებთან შედარებით არც ბევრია და არც ცოტა.

**— მაინც?**

— ...

**— რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი?**

— დიახ, რამდენიმე.

**— ჩვენი ინფორმაციით, სკონტოელი მენთეშაშვილით „შტუტგარტი" დაინტერესდა...**

— ეს არ არის მართალი. ისე კი, რამდენიმე კლუბის წარმომადგენლები დაინტერესდნენ, მაგრამ კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა. თანაც ჩვენ არ ვართ ახალგაზრდა ფეხბურთელების გაყიდვის მომხრეები.

**— უახლოეს მომავალში თუ უნდა ველოდოთ ქართველი მოთამაშეების „სკონტოდან" გაშვებას?**

— ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი წინადადება არამარტო ქართველი ფეხბურთელების თაობაზე. ყველას შევუწყობთ ხელს დიდ ფეხბურთში მოსახვედრად, თუმცა ჩვენც დიდი ფეხბურთისკენ მივდივართ. II ჯგუფის ფავორიტებად ნორვეგიას, საბერძნეთის და საქართველოს მიიჩნევდნენ, ჩვენ კი ყველას დავუმტკიცეთ, რომ უბრძოლველად არავის დავნებდებოდით.

*ლატვიელებმა მართლაც ბევრი რამ დაამტკიცეს და ალბათ მომავალშიც დაამტკიცებენ, რადგან სწორ გზას ადგანან. გზას, რომლის დასრულებასაც არ ჩქარობენ და არც არავინ აჩქარებთ.*

ხვიჩა სანიკიძე

---

ტირანა
4 სექტემბერი
21.30 საათი
ქემალ სტაფა
?? 000 მაყურებელი

## ალბანეთი 3:3 ლატვია

0:1 ასტაფიევსი (20), 1:1 ბუში (29), 1:2 ასტაფიევსი (62), 1:3 შტოლცერსი (70), 2:3 ბუში (78), 3:3 მუკა (90)

ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, შულკუ, ჯუმბა, ვატა, ფაკაი (ბოგდანი 67), პაჯი, ბუში, ბელაი, მურატი (დალიპი 46), ტარე (მუკა 78)

ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი (ბაბიჩევსი 82), ზემლინსკისი, ლობანოვსი, ლუკაშევიჩსი, ივანოვსი (ბლაგონადეჟდინსი 60), ბლეიდელისი, რუბინსი, შტოლცერსი (ბულდერსი 85), მიხოლაპსი

გაფრთხილება: ლობანოვსი (51), ასტაფიევსი (52), ლუკაშევიჩსი (54), შულკუ (60), ბუში (80), ლუკაშევიჩსი (86)

გაძევება: ლუკაშევიჩსი (86)

მსაჯი: ა. ჰამერი (ლუქსემბურგი)

# წითელი ფინალი

მართალია, ალბანეთს რვა მატჩიდან ერთიც არ მოუგია, მაგრამ ლატვიასთან ცუდი დასაწყისის მერე ასეთ დასასრულზე ალბათ ალარავინ ოცნებობდა.

ვიტალი ასტაფიევსმა ანგარიში შტოლცერსის დახმარებით გახსნა. შტოლცერსმა მარცხენა ფლანგზე ლალა მოატყუა, ასტაფიევსს ზუსტად გადააწოდა, მან კი მახვილი კუთხიდან ძელის გავლით მოათავსა ბურთი ბადეში.

მასპინძლების დაცვა სხვა მომენტებშიც ცოდავდა, მაგრამ მთლად უცოდველი არც ლატვიური, ბრიტანულად მოთამაშე უკანა ხაზი იყო.

ლატვიელთა ახალმა მწვრთნელმა გარი ჯოუნსმა დაცვა ერთ ხაზზე განალაგა. ალბან ბუშიმ ასეთი ბარიერის დაძლევის ხერხს მალე მიაგნო 15 მეტრიდან ისეთი დაურტყა შორეულ კუთხეში კოლინკოს, არ გასულიყო, საცოდაობა იქნებოდა: ბურთი ჯერ ჯვარედინს შეასკდა, მერე ხაზსშიგნით დაენარცხა და იქიდენ ასხლეტილი კარის ჭერს მიეხალა.

შესვენებაზე გუნდები ასე მშვიდობიანად წავიდნენ, მეორე ტაიმის განახლებისთანავე კი არბიტრმა სამი ლატვიელი სამ წუთში გააფრთხილა, რამაც სტუმრები ცოტა დააფრთხო.

თუმცა ათ წუთში ასტაფიევსმა ისევ სცადა ბედი და სტრაკოშას ობობები დაუფრთხო, ცხრიანში გაუტანა. მოგვიანებით კი შტოლცერსმა ლამის ცენტრალური წრიდან გაუტანა ალბანეთს და აქ იყო, ლატვიამ გამარჯვება ნაადრევად რომ იზეიმა.

ჯერ ბუშიმ გაიტანა ბლაგონადეჟდინის ფეხიდან, ბოლო წუთზე კი შეცვლაზე მოთამაშე მუკამ დააბოლოვა გოლით მასპინძელთა მიზვავება სტუმართა კარზე, რომელსაც სული ბლაგონადეჟდინსის გაძევებამ შთაბერა.

მიკელე იანკუ ტირანიდან



REUTERS

ალბანეთი — ლატვია 3:3. იგლი ტარეს (№11) ალბანეთმა იგორ ივანოვსის ლატვიას გამარჯვება ბოლო წუთზე გამოსტაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კმაყოფილ სემბს ანგარიში ექოტავა

ოსლო
4 სექტემბერი
19 საათი
ულევალი
24 133 მაყურებელი

**ნორვეგია 1:0 საბერძნეთი**

1:0 ლეონარდსენი (34)
ნორვეგია: ოლსენი, ბერგი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ჰეგემი, ფლო, ივერსენი, ლეონარდსენი (რისეტი 73), მიუკლანდი, სკამელსრუდი, სოლსკიაერი (რუდი 67)
საბერძნეთი: ატმაციდისი, მავროგენიდისი, კასაპისი, დაბიზასი, უზუნიდისი, პურსანიდისი, ზაგორაკისი (მახლასი 49), ნინიადისი (გიანაკოპულოსი 46), გეორგატოსი, ლიბეროპულოსი, ნიკოლაიდისი

გოლი ოივინდ ლეონარდსენმა გაიტანა. იგი მახვილი კუთხით იმყოფებოდა ბერძენთა კართან, როდესაც ბურთი ხაზს მიღმა, ბადეში შეაგდო. სტუმართა მეკარემ, ილიას ატმაციდისმა ვერაფერი გააწყო.

კომბინაცია ტოტენჰემური გამოვიდა. ლეონარდსენს პასი ლონდონურ კლუბში მისმა თანაგუნდელმა სტეფან ივერსენმა მიაწოდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ლეონარდსენი ბურთს ვეღარ მიწვდებოდა, მაგრამ მან ნიუკასლელ ნიკოს დაბიზასს დუელი მოუგო და ფეხი გაჰკრა.

მოკლედ, თუ ხვალ ნორვეგიელები სლოვენიასაც მოუგებენ, ევრო 2000-ზე გასასვლელ საგზურს დაეუფლებიან, ხოლო ბერძნებს თავიანთი ქომაგების გახარება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე გადაედოთ.

„ოთხშაბათს ნამდვილი ფინალი გველის“ — თქვა ნორვეგიის ნაკრების თავკაცმა ნილს იოჰან სემბმა და დასძინა — „სლოვენიელებთან შებმა ბერძნებთან გამარჯვების შემდეგ გაცილებით იოლია. დღეს რომ წაგვეგო რთულ მდგომარეობაში ვიქნებოდით“.

ნორვეგიელთა თამაშებს თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ გუნდს ამხანაგურიან ოფიციალურიანად 13 შეხვედრაა არ წაუგია, ხოლო შესარჩევ ციკლში ბოლო ხუთი მატჩი — აქედან ორი ბედკრულ საქართველოსთან — მოიგო. ერთადერთი უსიამოვნოდ მოსაგონებელი შეხვედრა ერთი წლის წინ ჰქონდათ შინ, რეზო ძოძუაშვილის ლატვიასთან. მაშინ სემბმა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე პირველივე შეხვედრა წააგო, ნორვეგიას კი 1991 წლის მერე ოსლოში მარცხი არ ჰქონდა ნაგემი.

ბერძნებმა კარგად იცოდნენ, რომ შანსის შესანარჩუნებლად ნორვეგია უნდა დაემარცხებინათ. ამიტომაც დაიწყეს თამაში ერთობ აგრესიულად.

ჯერ იყო და დიმიტრის მავროგენიდისმა იხელთა მომენტი, ახლოდან დაარტყა, მაგრამ მცველმა ერიკ ჰოფტუნმა ბურთი ფეხებით აისხლიტა.

ერთი ხნის მერე, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, დემის ნიკოლაიდისმა ხარიხას გადააცილა ბურთი.

„დაცვაში ყველაფერს ვაკონტროლებდით“ — თქვა სემბმა, მაგრამ დაამატა, რომ შეტევაში მის ბიჭებს მეტი მონდომება მართებდათ, რათა ერთ გოლს არ დაჯერებოდნენ.

„მეორე ტაიმში ცოტა გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის შეცდომებს მეტი ყურადღება აღარ დაუთმეს, არადა, ეს კიდევ ერთი ან ორი გოლის გატანის საშუალებას მოგვცემდა“ — დააგვირგვინა ნორვეგიელების თავკაცმა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა, გაცილებით ცუდად ითამაშა, ვიდრე ამ გუნდების ათენურ შეხვედრაში, რომელიც მარტში გაიმართა და სწორედ სოლსკიაერის ორი გოლის წყალობით 2:0 დასრულდა.

ოსლოურ შეხვედრაში მანჩესტერელი მეორე ტაიმის შუაში „შეფილდ უენსდეის“ მოთამაშით, პიტერ რუდით შეცვალეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 1 | 1 | 15:8 | 19 |
| სლოვენია | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | 17 |
| ლატვია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| საბერძნეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 |
| ალბანეთი | 8 | 0 | 4 | 4 | 6:11 | 4 |
| საქართველო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:14 | 4 |

REUTERS ოსლოდან



გოლის ავტორი და თანაავტორი ოივინდ ლეონარდსენი და სტეფენ ივერსენი

კიევი
4 სექტემბერი
21 საათი
ოლიმპიისკი
67 000 მაყურებელი

**უკრაინა 0:0 საფრანგეთი**

უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი, პოპოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (მიკიტინი 46), გუსინი (ციხმეისტრუკი 84), მაქსიმოვი (კონოვალოვი 70), კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი
საფრანგეთი: ბარტეზი, ტიურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, კარამბე, დეშამი, ვიეირა, ზიდანი, ჯორკაეფი (პირესი 73), ანელკა (ლასლანდი 55)
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

ირაკლი სირაძე,
ვახტანგ ბოლოთაშვილი
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“ კიევიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

# წინ კვლავ ბურუსია

არ გამოვიდა. უზარმაზარი ასოებით დამშვენებულ ლოზუნგს „Вперед, Україно“ მცირე ხნით მოცდა მოუწევს. მცირე ხნით, პლეიოფამდე ან უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე. ეს როგორც გამოვა, თუმცა ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. 4 სექტემბერს ფრანგებთან მიღწეული შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ის დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს“ — მიაჩნია უკრაინელთა კავკაცს, იოჟეფ საბოს. მაგრამ არსებობს მეორე აზრიც, რომელსაც მრავალნი იზიარებენ. პირველ ადგილს რომ თავი დავანებოთ, უკრაინას პლეიოფში მოხვედრაც კი მეტად გაუჭირდება. იქნებ ეს მავანს გამარჯვებას მოწყურებული, გაწბილებული ქომაგების ვარაუდად ეჩვენოს, მაგრამ სიტუაციას ოდნავ თუ ჩავუკვირდებით, ყოველივე მართლაც დაახლოებით ასე გამოიყურება.

ფაქტია, რომ ფრანგებს მომდევნო მეტოქეები, დიდ პრობლემებს ვერ შეუქმნიან. მსოფლიოს ჩემპიონები 8 სექტემბერს ერევანში სომხებს უპირისპირდებიან, ხოლო ერთ თვეში ისლანდიას მასპინძლობენ. საგარეო მატჩი ელით რუსებსაც, რომლებიც, ალბათ, ტრადიციულად დასეტყვავენ გოლებით ანდორას. აი, უკრაინელებს კი მეტად მძიმე შეხვედრა აქვთ ისლანდიასთან, რომელიც ასევე ინარჩუნებს მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს და ბოლოს, 9 ოქტომბერს, ნამდვილი ომი უწევთ მოსკოვში, რუსეთის ეროვნულ გუნდთან.

ფეხბურთი რომ ლოგიკას არ ექვემდებარება, ეს არაერთხელ დამტკიცებულა. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პროგნოზებს ვისთვის დაუყრია ხეირი, რომ ჩვენ დაგვაყაროს, მაგრამ დამეთანხმებით, სიტუაცია სწორედ ასეთია და ჯერჯერობით არაფერი გაცხადებულა.

მატჩის შემდეგ იოჟეფ საბომ განაცხადა, შედეგმა დამაკმაყოფილაო. ძალიანაც მინდა, ეს ვირწმუნო, მაგრამ არ შემიძლია. მაგ დალოცვილს 0:0 თუ აძლევდა ხელს, შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ნახევარმცველ გუსინის ნაცვლად კიევის ცსკა-ს ფორვარდი ციხმეისტრუკი რას გაჰყავდა მინდორზე. უკრაინელებს არც იმის გამბედაობა ეყოთ, ბოლო წუთებზე მაინც შეეტიათ თამამად. თუმცა ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება ფრანგებზეც. მოკლედ, რაღა გავაგრძელო და 0:0 სწორედ ის ანგარიშია, რომელსაც მოთამაშენი იმსახურებდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ შეხვედრას დიდი რეკლამა გაუკეთა, „ოლიმპიისკის“ ტრიბუნები მაინც არ შეივსო. 70 ათასამდე ქომაგი ცოტა არ არის, მაგრამ ანშლაგი არ შედგა. პირადად მე ამ ფაქტმა გამაოცა. ხომ შეიძლებოდა ფრანგებთან ჭიდილი მიმდინარე შესარჩევი ციკლის ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრად ქცეულიყო, ამინდიც მშვენიერი გახლდათ, მაგრამ...

ისე, თამაშმა ამდენი დამსწრე მხოლოდ თავისი მნიშვნელობით თუ მიიზიდა, თორემ, სხვა მხრივ, სანახაობა ერთობ უღიმღამო გამოდგა. სახელები, იცოცხლე, მრავლად იყო, მაგრამ მარტო ეს რა ბედენაა, თუ რიგიანად არ გაისარჯე და მაყურებელს თავი არ დაამახსოვრე. ასეთი რამ კი თითქმის არ მომხდარა. ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში ყველაზე სახიფათო მომენტი მიკიტინმა შექმნა, ოღონდ არა მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარ კართან, როდესაც ბურთი მისმა ფეხმა აისხლიტა და შოვკოვსკის გადაევლო. თუმცა, მასპინძელთა ბედად, კარს ასცდა. ამ საცოდაობის შემხედვარე უკრაინელი ჟურნალისტები წუწუნებდნენ, ხეირიანი სტენოგრამის შედგენაც კი გაგვიჭირდებაო. უკმაყოფილება ეტყობოდათ იქვე, მახლობლად მსხდომ ფრანგ კოლეგებსაც, რომლებიც გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ თავიანთ ბლოკნოტებს.

შეხვედრის მსვლელობისას ერთი რამ იყო თვალშისაცემი: მოწინააღმდეგები ყველაზე მეტად ანდრეი შევჩენკოსა და ზინედინ ზიდანს უფრთხოდნენ. რომელიმე მათგანი ბურთს მიიღებდა თუ არა, რამდენიმე მეტოქე უმალ მივარდებოდა. ზიდანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ზიდანობა — ამდენი ხნის უთამაშებელი თავის გუნდში ყველაზე მეტად გამოირჩეოდა, თუმცა ჩვეულად ვერც საგოლე პასი მიაწოდა, ვერც დაარტყა. ტრადიციული სოლორეიდის განხორციელება ვერც შევამ მოახერხა. ფრანგებმა ეს რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ზუსტ, დამაგვირგვინებელ დარტყმამდე საქმე არც ერთხელ მისულა.

ალბათ, გახსოვთ, უკრაინელთა თავკაცმა განაცხადა, ზოგიერთი შეგირდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მაშფოთებს და იქნებ რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი ძირითადში არ დავაყენოო. არც ეს გამართლდა, თუმცა, როგორც მატჩმა გვიჩვენა, ჯობდა, ლიდერებს მართლაც დაესვენათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვიტალი კოსოვსკის და იური დმიტრულინს ეხება, მეტადრე კი მეორეს. ჩვეულებრივ ძალიან მწვავედ მოთამაშე კოსოვსკიმ თავი ვერაფრით გამოიჩინა და საკუთარ ფლანგზე წინ და უკან სირბილს საკმაოდ ხშირად არაზუსტ დანაკლებად ეფექტურ ჩაწოდებებს ურთავდა. დმიტრულინს კი საერთოდ ვერ იცნობდით. ეს თავგანწირული ფეხბურთელი ისეთი უსუსური და დაბნეული ჩანდა, რომ პირველი ნახევრის შემდეგ საბომ მისი შეცვლა არ დაახანა.

ახლა კი ფრანგებზე. მათ მსოფლიოს ჩემპიონის საკადრისი თამაში ნამდვილად ვერ გვიჩვენეს, მაგრამ ნიდერლანდებში გამგზავრების შანსი, და არცთუ ურიგო, ნამდვილად შეინარჩუნეს. ამით, როგორც მომეჩვენა, კმაყოფილებიც დარჩნენ. ფრანგი ჟურნალისტები მატჩს დაღვრემილი სახეებით კი შეჰყურებდნენ, მაგრამ გავიდა 90 წუთი და წარბი გახსნეს. ამოისუნთქეს ფეხბურთელებმაც, თვით როჟე ლემერიც კი, რომელმაც რამდენჯერმე დაიჩივლა, უმჯობესი იქნებოდა, მოგვეგო, შევატყვე, შედეგმა დააკმაყოფილა.

პრესკონფერენციაზე ფრანგთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა შემდეგი განაცხადა:

— მართალია, კიევში გამარჯვების იმედით ჩამოვედით, მაგრამ არც ფრეს გადაუწურავს ჩვენთვის იმედები. ძალიან გვინდოდა მოგება, რადგან იგი თითქმის გაგვინაღდებდა ნიდერლანდებში წასვლას, მაგრამ უკრაინელებიც იმავეს ცდილობდნენ და თანაბარ მეტოქეთა მატჩი ფრედ დასრულდა.

ლემერმა განცვიფრება ვერ დამალა იმის გამო, რომ უკრაინის ნაკრებმა მეტად ფრთხილი ფეხბურთი ითამაშა და მაინცდამაინც არც უცდია მეტოქის დალაშქვრა. თუმცა ეს, ალბათ, დიდმა დაძაბულობამ და ერთმა უბრალო შეცდომამ განაპირობაო, დასძინა მან.

„ნუ დაგვძრახავთ უფერული თამაშისათვის. რაც უნდა იყოს, გუნდებმა შეძლებისდაგვარად ყველაფერი ილონეს. საერთოდ, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ქვეჯგუფში პირველ-მეორე ადგილებს ჩვენ და უკრაინა გავინაწილებთ. როგორი თანმიმდევრობით, ამას მომავალი ორთაბრძოლები დაგვანახებს“ — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონთა მთავარმა მწვრთნელმა.

უკრაინელთა თავკაცი იოჟეფ საბო კი შეუძლოდ შეიქნა და მის ნაცვლად პრესკონფერენციაზე ნაკრების მეორე მწვრთნელი, ვლადიმერ ვერემეევი გამოცხადდა. მან მატჩის შედეგით კმაყოფილება გამოთქვა და როდესაც დამსწრეთ უნდობლობა შეატყო, მაშინვე თავი იმართლა, ამას სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ, ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს თავად მსოფლიოს ჩემპიონებს ვეთამაშებოდითო.

— მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინა გვაქვს. ასე რომ, ცხვირს ნუ ჩამოვუშვებთ, ასე ოპტიმისტურად დაასრულა ვერემეევმა თავისი გამოსვლა.

მოგვიანებით მომჯობინებულმა საბომაც გამოთქვა თავისი აზრი. ფრანგებთან ორთაბრძოლის შედეგი მანაც დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და დაამატა, რუსეთ — უკრაინის მატჩი უამრავ რამეს გაარკვევსო.

— ვიცი, რომ ფრეს გამო ახლა არავინ იტყვის, გუნდს ლობანოვსკი ამზადებდაო. ამას მხოლოდ მაშინ ამბობენ ხოლმე, როცა ნაკრები იგებს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მე გახლავართ, აქ გადამწყვეტი სიტყვა მე მეთქმის და ნაკრები არავითარ შემთხვევაში არ არის კიევის „დინამო“, — აღნიშნა უკმაყოფილო საბომ. მერე იმაზე ისაუბრა, რა უნდა გაეკეთებინათ მის ფეხბურთელებს გამარჯვებისათვის და მწვრთნელის რომელი დავალებები ვერ შეასრულეს.

პრესკონფერენციას ერთი მეტად პატივსაცემი პიროვნება, უკრაინულ საფეხბურთო სამყაროში ერთობ დაფასებული კაცი გრიგორი სურკისიც ესწრებოდა. თუმცა ეს პირობითი ნათქვამია, რადგან იგი ადგილს ვერ პოულობდა — ხან დარბაზში შევიდოდა, ხანაც უკან გაბრუნდებოდა. სურკისს იმ დღეს 50 წელი შეუსრულდა და ორიოდე სიტყვა არ დაგვამადლა.

— სამწუხაროა, რომ დაბადების დღეს ჯეროვნად ვერ აღვნიშნავ. აი, რომ მოგვეგო, მაშინ სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ, როგორც უნდა იყოს საქმე, ნაკრებს ჯერ ყველაფერი წინა აქვს და მზადება უწინდელი ენთუზიაზმით უნდა განვაგრძოთ.

REUTERS კიევიდან



იური მაკსიმოვმა ზინედინ ზიდანი (№10) ვერ შეაჩერა

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### I ჯგუფი

#### ბელარუსი 1:2 უელსი

1:0 ბარანოვი (30), 1:1 სონდერსი (42), 1:2 გიგზი (86)

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, ტარლოვსკი, ლავრიკი, ლუხვიჩი, ოსტროვსკი, გურენკო, ბარანოვი, ჩაიკა, კულჩი, მაკოვსკი, ორლოვსკი (რომაშჩენკო 60)

უელსი: ჯოუნსი, პეიჯი, ბერნარდი, მელვილი, კოულმენი, პემბრიჯი (კ. რობინსონი 82), ჯ. რობინსონი, სონდერსი, ბლეიკი, სპიდი, გიგზი

უელსის ნაკრებმა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში იმ შედეგს მიაღწია, 11 თვის განმავლობაში რომ ნატრულობდა — მოიგო. პოსტ საბჭოელებმა, მართალია, ანგარიში გახსნეს, მაგრამ ბრიტანელთა მონდომებამ პირველი შედეგი შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე გამოიღო, მეორე კი შეხვედრის დასრულებას წუთები რომ აკლდა. სტუმართაგან ორივე გოლი ცნობილმა მოთამაშეებმა გაიტანეს, თან გოლების მნიშვნელოვნება და მოთამაშეთა კლასი პროპორციულად განლაგდა: დინ სონდერსმა გაქვითა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა, რაიან გიგზმა კი გამარჯვების მომტანი დარტყმა შეასრულა.

ბრიტანული პრესის ცნობით უელსელთა გამარჯვებამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის შეფებს მინსკის აეროპორტშივე გაუჩინა საფიქრალი: იქნებ მარკ ჰიუზის შემცვლელის ძებნა აღარ არის საჭირო და დროა პოპულარული ფეხბურთელი საბოლოოდ მწვრთნელად დამკვიდრდეს?

#### დანია 2:1 შვეიცარია

1:0 ნილსენი (54), 1:1 თურქილმაზი (79), 2:1 ტომასონი (81)

დანია: შმაიხელი, გოლდბეკი (კოლდინგი 50), ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი (სტენ ნილსენი 80), ტოფტინგი, ტომასონი (ვიეგჰორსტი 88), იორგენსენი, სანდი

შვეიცარია: ჰუბერი, ჟანერე, დი ჟორიო (თურქილმაზი 59), პ. მიულერი, ჰოდელი, ფოგელი, სესა (ს. მიულერი 77), ვიკი (ვისი 89), შაპუიზა, სფორცა, ბუელმანი

„ერთადერთი, რაც შვეიცარიელებთან შეხვედრაში გვინდა, გამარჯვებაა“ — ამბობდა მატჩის წინა დღეებში დანიის ნაკრების სახელგანთქმული მეკარე პიტერ შმაიხელი.

დანიელთათვის ამ შეხვედრას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მათ აუცილებლად უნდა მოეგოთ, რათა მეორე ადგილზე დამკვიდრებულიყვნენ ჯგუფში, რომლის პირველ ადგილსაც ხვალ, ალბათ, იტალია მოიპოვებს — თუ, რა თქმა უნდა, ნეაპოლში სწორედ დანიას დაამარცხებს.

მასპინძელთა გუნდში საეჭვო გახლდათ კოჭნატკენი თომას ჰელვეგის თამაში, „მილანის“ ნახევარმცველს კოჭი ჰქონდა მცირედ დაზიანებული, მაგრამ მაინც გავიდა მოედანზე.

შვეიცარიელთა ბანაკში კი ქუბილაი თურქილმაზი დაბრუნებულიყო. იგი ამბობდა, რომ მზადაა საათნახევრის სათამაშოდ, მაგრამ ეეჭვებოდა, რომ ასე ენდობოდნენ. მართლაც, თურქილმაზი მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმის მე-14 წუთზე შეუშვეს და ოც წუთში მან გაამართლა კიდეც, ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ შვეიცარიელთა სამწუხაროდ, მატჩის მიწურულს დანიელებმა თავისი გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 |
| დანია | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:14 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ბელარუსი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:8 | 2 |

*8.09 იტალია — დანია, შვეიცარია — ბელარუსი; 9.10 ბელარუსი — იტალია, უელსი — შვეიცარია*

### III ჯგუფი

#### ჩრდ. ირლანდია 0:3 თურქეთი

0:1, 0:2, 0:3 არიფი (45, 46, 48)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ა. ჰიუზი, ჰორლოკი, ლომასი, უილიამსი, ჰანტერი, მაკარტი (გილესპი 62), ლენონი, დოუი (ქუინი 77), მ. ჰიუზი, კენედი

თურქეთი: რუშტუ, ერენი, თემიზქანოღლუ, ტაიფუნი, ალფაი, არიფი (ბურუკი 79), აბდულა (უნსალი 75), თუგაი, ჰაკანი, სერგენი (უმუდი 90), კორკატი

ყველაფერი უკუღმა როგორ არის?! ქართულად არიფი რასაც ნიშნავს, ყველას კარგად მოგვეხსენება, თურქულად კი ეს ამ ფეხბურთელის სახელია, ბელფასტში, ჩრდილო ირლანდიის ნაკრების კარში სამი გოლი რომ გააქვს, მოდი და ამის მერე იმას არიფი ეძახე და...

არიფის ჰეთ-თრიკმა ის შედეგი მოიტანა, რომ ჯგუფის ცხრილში თურქეთსა და გერმანიას 15-15 ქულა აქვს ანუ, ვინ პირველ ადგილზე გავა, ხოლო ვინ მეორეთი პლეი-ოფში მოხვდება, საკითხავია.

რაც შეეხება ჩრდილო ირლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცს, ლორი მაკმენემის, იგი შაბათის არიფობით მშობლიური პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა.

#### ფინეთი 1:2 გერმანია

0:1, 0:2 ბირჰოფი (2, 17), 1:2 სალი (63)

ფინეთი: ნიემი (ლააკსონენი 45), ილონენი (კუკი 45), კუივასტო, ჰიიპია, სალი, რიიჰილახტი, ვისი, საასტამოინენი, კოტილა, ტაინიო, იოჰანსონი

გერმანია: ლემანი, ბაბელი, ციგე, ლინკე, ნოვოტნი, იერემისი, შოლი (ნერლინგერი 79), ნოივილი (შტრუნცი 85), ბირჰოფი, მათეუსი, კირსტენი (შნაიდერი 32)

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა, ოლივერ ბირჰოფმა ორი გოლი გაიტანა და მისმა გუნდმა ფინეთს 2:1 მოუგო, მაგრამ ევროპის ჩემპიონებს მეორე ტაიმში მასპინძლებთან ბრძოლა ფრიად გაუჭირდათ.

ბირჰოფის მიერ მე-2 და მე-17 წუთებზე გატანილმა ფინელები 63-ე წუთამდე მიაყენა კედელთან, სანამ მასპინძელმა მცველმა იანი სალიმ სხვაობა არ შეამცირა. ამის შემდეგ კი, საფინალო სასტვენამდე, სტუმრებს გვარიანი ზეწოლის გაძლება მოუხდათ. მათდა საბედნიეროდ, მეკარე იენს ლემანი რთულად მოსაგერიებელ დარტყმებთან გამკლავების იშტაზე იყო მოსული.

მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, ერიხ რიბეკმა განაცხადა: „პირველ ნახევარში ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მეორეში კი სრულ სხვა ამბავი დატრიალდა. მართალი გითხრათ, ფინელებმა გოლი რომ გაგვიტანეს, ცოტა შემეშინდა კიდეც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა“.

ლოთარ მათეუსი, გერმანიის ნაკრების მცველი: „კარგი თამაში იყო, უფრო პირველ ტაიმში. შესვენების შემდეგ ფინელებს დასაკარგავი აღარაფერი ჰქონდათ და დიდი ძალით შემოგვიტიეს“.

ოლივერ ბირჰოფი: „პერიოდულად ძალიან კარგად ვთამაშობდით. ასეა თუ ისე, კარგ შედეგს მივაღწიეთ და მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ნაკრები უთუოდ ძლიერი გუნდია, მწამს, შინ მის დამარცხებას შევძლებთ და ჯგუფში პირველი ადგილი სწორედ ჩვენ დაგვრჩება“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 15 |
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ფინეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:11 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:16 | 3 |

*8.09 გერმანია — ჩრდ. ირლანდია, მოლდოვა — თურქეთი; 9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — თურქეთი*

### IV ჯგუფი

#### რუსეთი 2:0 სომხეთი

1:0 ბესჩასტნიხი (8პ), კარპინი (70)

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ხოხლოვი, სმერტინი, ალეინიჩევი, ბესჩასტნიხი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი (სემაკი 80), პანოვი (შირკო 72), ტიხონოვი (იანოვსკი)

სომხეთი: ბერეზოვსკი, მკრტჩიანი, ვ. ხაჩატრიანი, ჰოვსეპიანი, ოგანესიანი, ვარდანიანი, რ. ხაჩატრიანი (პეტროსიანცი 84), არუთუნიანი (კაკოსიანი 54), ვოსკანიანი, შახგელდიანი (დევანი 77), მიქაელიანი

რუსეთის ნაკრები შესარჩევი შეჯიბრების პირველ სამ თამაშში დამარცხდა, მაგრამ ახლა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა — ვლადიმირ ბესჩასტნიხისა და ვალერი კარპინის გოლებით მან მოსკოვში სომხეთს სძლია. შედეგად, რუსები ახლა ლიდერ უკრაინას მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

რვა წუთი იყო შეხვედრის დაწყებიდან გასული, როდესაც სომხეთის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან ესპანური „რასინგის“ თავდამსხმელმა, ბესჩასტნიხმა, სტუმართა რუს მეკარეს, რომან ბერეზოვსკის აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ბერეზოვსკი სომხების მხრიდან საუკეთესო იყო. ის, რომ კავკასიელებმა მეორე გოლი 70-ე წუთამდე აღარ გაუშვეს, სწორედ მისი დამსახურება გახლავთ.

70-ე წუთზე კი კვლავ და კვლავ ესპანეთში, ვიგოს „სელტაში“ მოთამაშე კარპინმა გაზარდა ანგარიში. სხვათა შორის, 27-ე წუთზე კარპინს უმარტივესი მდგომარეობიდან შეეძლო ბერეზოვსკის კარში გოლის გატანა, მაგრამ ახლო მანძილიდან გოლკიპერს ვერ ააცილა ბურთი.

ამ ამბიდან ექვსი წუთის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელს, ეგორ ტიტოვსაც ჰქონდა გოლის ახლოდან გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მან ბურთი ხარიხას გადააცილა.

37-ე წუთზე ბერეზოვსკიმ პეტერბურგის „ზენიტში“ თანაგუნდელს, ალექსანდრ პანოვსაც აუღო ერთი დარტყმა.

რუსთა მწვრთნელმა, ოლეგ რომანცევმა მატჩის შემდგომ აღნიშნა, რომ ანდორასთან თამაშის წინ (ეს შეხვედრა ხვალ, ანდორაში გაიმართება) მის გუნდს რაღაც-რაღაცეების დახვეწა მოუწევს.

„ჩვენ მდგომარეობის გაანალიზება გვჭირდება“ — თქვა მან.

#### ისლანდია 3:0 ანდორა

1:0 გუდიონსონი (29), 2:0 ჰრეიდარსონი (32), გუდიონსენი (90)

ისლანდია: კრისტიანსონი, ჰელგასონი, ჰრიედარსონი, იონსონი, სიგურდუსონი (ვიდარსონი 26), ბ. გუდიონსონი, გუნარსონი, გუდმუნდსონი, სიგურსონი (ჰელგუსონი 57), ტ. გუდიონსონი, დადასონი (გუდიონსენი 77)

ანდორა: ალვარესი, მარტინი (არ. გოდოი 61), ესკურა, ბენიტესი, მ. გარსია, სონეხე, პოლი (ბუქსო 90), გონსალესი, ხიმენესი, სანჩესი, ალ. გოდოი (ხ. გარსია 67)

ისლანდიის ნაკრების ზღაპარი გრძელდება, მით უფრო, რომ ამჯერად მისი მეტოქე რომელიმე გასამწარებელი ფავორიტი კი არა, გასაბრდღვნელი ანგარიში გახლდათ.

რეიკიავიკში გამართული შეხვედრის გმირი გახლდათ ფეხბურთელი, რომელმაც ანგარიში გახსნა, თორდურ გუდიონსონი. სწორედ მისმა ზუსტმა დარტყმამ გატეხა ანდორელთა წინააღმდეგობა და სამ წუთში ჰერმან ჰრეიდარსონმა მეორეც გაიტანა.

ამის მერე ყველაფერი ნათელი იყო. ისლანდიელებს თავისუფლად შეეძლოთ გონებით ხვალ, უკრაინასთან სათამაშო მატჩზე გადართულიყვნენ, ასე იყო თუ ისე, მესამე გოლის გატანა მათ შეძლეს — ეიდურ გუდიონსენმა ბოლო წუთზე შედეგიანი თავური დაარტყა.

„ყველაფერი პირველ ტაიმში დამთავრდა. მეორეში უკრაინასთან სათამაშოდ ძალას ვზოგავდით“ — თქვა გუდიონსონმა.

„შედეგით კმაყოფილი ვარ. სამი გოლი გავიტანეთ, სამი ქულა მოვიპოვეთ, ყვითელი ბარათი არავის მიუღია და არავინ დაშავებულა... ახლა ჩვენ შეგვიძლია გონება და ჯანი უკრაინასთან გადამწყვეტი შეხვედრისკენ მივმართოთ“ — ბრძანა გამარჯვებულთა მწვრთნელმა გუდიონ თორდარსონმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 8 | 4 | 4 | 0 | 12:3 | 16 |
| რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 19:10 | 15 |
| ისლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 10:3 | 15 |
| საფრანგეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 |
| სომხეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:23 | 0 |

*08.09 ანდორა — რუსეთი, სომხეთი — საფრანგეთი, ისლანდია — უკრაინა; 09.10 ანდორა — სომხეთი, საფრანგეთი — ისლანდია, რუსეთი — უკრაინა;*

### V ჯგუფი

#### ინგლისი 6:0 ლუქსემბურგი

1:0, 2:0 შირერი (12პ, 28), 3:0 მაკმანამანი (30), 4:0 შირერი (34), 5:0 მაკმანამანი (44), 6:0 ოუენი (90)

ინგლისი: მარტინი, დაიერი (გ. ნევილი 46), კიოუნი, ადამსი (ფ. ნევილი 65), პირსი, პარლო, ბექემი (ოუენი 65), ბე-



REUTERS კოპენჰაგენიდან

დანია — შვეიცარია 2:1. შვეიცარიელი რაფაელ ვიკი (№8) დანიელ ებე სანდს ებრძვის



REUTERS ჰელსინკიდან

ფინეთი — გერმანია 1:2. ფინელთა კარს უტევს მარკუს ბაბელი

ტი, მაკმანამანი, ფაულერი, შირერი
ლუქსემბურგი: ფელგენი, ფერონი, ბირსენსი, შაულსი, ფუნკი, ვანეკი, საიბენე, ტეისი, პოზინგი (დევილი 82), შნაიდერი (ალვერდი 46), კრისტოფი (ზარიცკი 63)

ინგლისის ნაკრები ხვალ პოლონეთს უნდა დაუპირისპირდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გახლავთ, რომლის წინაც ევროპის გასული ჩემპიონატის მასპინძლებმა, შინ, „უემბლიზე" ლუქსემბურგთან „წაივარჯიშეს". ვარჯიშ-ვარჯიშით ინგლისელებმა სტუმრებს ექვსი გოლი გაუტანეს, რომელთაგან სამი ალან შირერმა, თან პირველსავე ტაიმში შეაგდო. შირერის გარდა, შესვენებამდე, მასპინძელთაგან თავი გუნდის ერთადერთმა ლეგიონერმა, მადრიდის „რეალის" მოთამაშემ, სტივ მაკმანამანმაც გამოიჩინა — ორი გოლი გაიტანა. ამრიგად, პირველი 45 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 5:0 გახლდათ.

შესვენებიდან მოედანზე დაბრუნებული ინგლისელები ჭეშმარიტი ჯენტლმენებივით მოიქცნენ და წაქცეულის ჩაწიხვლა აღარ იკადრეს. ერთადერთხელ გადაკვეთა, მეორე ტაიმში, ბურთმა ლუქსემბურგელთა კარის ხაზი — ეს 19 წლის მაიკლ ოუენმა მოიშუშა ტრავმა.

„ჩემი საქმე მარტივია, ბურთი მოწინაალმდეგის კარის ბადეში უნდა შევაგდო. დღეს მე ეს გავაკეთე და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ პოლონეთთან თამაშის წინ სამი გამამხნევებელი ქულა მოვიპოვეთ" — თქვა მატჩის შემდეგ შირერმა, რომელსაც, ბოლო დროს, „ნიუკასლსა" და ეროვნულ გუნდში ცუდად თამაშს სწამებდნენ.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, კევინ კიგანი: „ძალიან კმაყოფილი დავრჩი. იქნებ მეორე ტაიმში მაყურებელი ცოტა გავანაწყენეთ კიდეც, მაგრამ მეტოქე მთელი შემადგენლობით საკუთარი საჯარიმოს გამაგრებაზე გადავიდა. მომეწონა ალან შირერიც. იგი საკუთარ ძალებში ერთობ დარწმუნებული ფეხბურთელია და საწყენია, რომ ხალხს მისი ხანდახან არ სწამს. გარდა ამისა, მინდა მაიკლ ოუენზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა. გოლი რომ გაეტანა, 30 წუთით გარბენ-გამორბენაც ეყო".

### შვედეთი 1:0 ბულგარეთი

1:0 ალექსანდერსონი (65)
შვედეთი: ჰედმანი, რ. ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, დ. ანდერსონი, მილდი (სვენსონი 83), მიალბი, ლიუნგბერგი (ალექსანდერსონი 63), ლარსონი, კ. ანდერსონი
ბულგარეთი: ივანკოვი, სტოილოვი (გრუევი 89), ზაგორჩიჩი (იანკოვი 26), პეტკოვი, მარკოვი, კირილოვი, ბორიმიროვი, პეტროვი, ხრისტოვი, პეტკოვი, ტოდოროვი
გაძევება: პეტკოვი (60)

შვედები, რომელთაც შესარჩევ შეჯიბრებაში ჯერ ერთი შეხვედრაც არ წაუგიათ, კვლავ მეხუთე ჯგუფის სათავეში არიან. გასულ შაბათს მათ ბულგარეთს მოუგეს.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მოედანზე ახალშესულმა ნიკლას ალექსანდერსონმა გაიტანა და სწორედ ამ მცველის ზუსტი დარტყმის წყალობით გაემგზავრნენ შვედები ლუქსემბურგს წელგამართულნი. შეგახსენებთ, რომ მათ ევროპის პირველობაზე 1992 წლის მერე არ უთამაშიათ, ანუ მას მერე, რაც თავად იყვნენ შეჯიბრების მასპინძლები.

„მართალია, ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ არ მინერვიულია, რადგან ვხედავდი, რომ შეხვედრის სადავეებს ვფლობდით და ვგრძნობდი, რომ ამას აუცილებლად მოჰყვებოდა გოლი" — თქვა მატჩის შემდეგ შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 7:1 | 16 |
| ინგლისი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:4 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:8 | 5 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

*8.09 ლუქსემბურგი — შვედეთი, პოლონეთი — ინგლისი; 9.10 შვედეთი — პოლონეთი; 10.10 ბულგარეთი — ლუქსემბურგი;*

## VI ჯგუფი

### ავსტრია 1:3 ესპანეთი

0:1 რაული (22), 1:1 იერო (49ს.კ.), 1:2 იერო (56), 1:3 ლუის ენრიკე (88)



ინგლისი — ლუქსემბურგი 6:0. ალან შირერმა ლუქსემბურგთან ჰეთ თრიქი შეასრულა

REUTERS ლონდონიდან

ავსტრია: მანინგერი, პატცი, შტრაიტერი, ვინკლჰოფერი, იბერტსბერგერი, მაელიხი (შოპი 60), ჩერნი, კუნბაუერი, მაირლები, ვასტიჩი, კირხლერი (ვაისენბერგერი 68)
ესპანეთი: კანისარესი, მიჩელ სალგადო, სერხი, გვარდიოლა, პაკო ხემესი, იერო, ხ. ეჩებერია (მენდიეტა 81), ლუის ენრიკე, მორიენტესი (გერერო 88), რაული, ხუან კარლოსი

ხოსე ანტონიო კამაჩოს ხელმძღვანელობით ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა. ვალენსიაში 9:0 გამარჯვებიდან ექვსი თვის შემდეგ ესპანელებმა ავსტრიელებს ახლა უკვე ვენაში მოუგეს.

ამ შეხვედრაში ანგარიში რაულმა გახსნა, მეტოქეთა წინა დაპირისპირებაში ოთხი გოლის ავტორმა. ეს რაულისთვის ეროვნულ გუნდში მეორმოცე გოლი გახლდათ.

ავსტრიელებმა ანგარიში შესვენებიდან ოთხი წუთის შემდეგ გაათანაბრეს — ფერნანდო იერომ ავსტრიელთა კაპიტნის, ივიცა ვასტიჩის პასი საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ გამოცდილმა ფეხბურთელმა იქითა კარის ბადეშიც შეაგდო ბურთი — ჩვეული ვირტუოზულობით შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ლუის ენრიკემ შეაგდო შეხვედრის უკანასკნელი გოლი.

„დასაწყისში ძალიან გაგვიჭირდა, ვინაიდან ავსტრიამ ძალიან აგრესიული ფეხბურთი გააჩაღა. თუმცა ამას ველოდით კიდეც, ვინაიდან მეტოქე ვალენსიაში წაგებულმა 0:9 შეურაცხყო, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა, რომ გუნდებს შორის კლასში დიდი განსხვავებაა. ჩვენ ავსტრიაზე უკეთესი გუნდი გვყავს და სულ ესაა" — ბრძანა მატჩის შემდეგ ლუის ენრიკემ.

### კვიპროსი 3:2 ისრაელი

1:0 ენგომიტისი (27), 1:1 ბადირი (31), 2:1 სპოლიარიჩი (53), 2:2 ბენაიუნი (82), 3:2 სპოლიარიჩი (86პ)
კვიპროსი: პანაიოტუ, კოსტაკისი, პიტასი, კაიაფასი (არისტოკლეუსი 80), ხარალამბუსი, მელანარკიტისი, ენგომიტისი, სპოლიარიჩი, გოგიჩი (კონსტანტინუ 72), პაპავასილუ (ხრისტოდოლუ 64), ოკასი
ისრაელი: დავიდოვიჩი, ჰარაზი, გრაიები, შელახი (სივილია 64), ბენადო, ჰაზანი, ბანინი, რევივო, ი. აბუკსისი, ბერკოვიჩი (ბადირი 18), მიზრახი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 31:5 | 15 |
| კვიპროსი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:10 | 12 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:6 | 10 |
| ავსტრია | 7 | 3 | 1 | 3 | 16:19 | 10 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:36 | 0 |

*8.09 ისრაელი — სან მარინო, ესპანეთი — კვიპროსი; 10.10 ავსტრია — კვიპროსი, ესპანეთი — ისრაელი;*

## VII ჯგუფი

### სლოვაკეთი 1:5 რუმინეთი

0:1 ილიე (6), 1:1 ლაბანტი (22პ), 1:2 ჰაჯი (30), 1:3 ჩიობოტარიუ (66), 1:4, 1:5 მოლდოვანი (88, 90)
სლოვაკეთი: კონიგი, კარჰანი, პ. ნემეცი, კრატოხვილი (ჰრაბალი 74), ვარგა, ლაბანტი, ვალახოვიჩი, ბალიში (იანკულა 67), ს. ნემეცი, იანოჩკო, ფაბუსი (უილაკი 81)
რუმინეთი: სტელეა, პეტრესკუ, ჩიობოტარიუ, ფილიპესკუ, გალკა, პოპესკუ, საბაუ (სტინგა 83), მუნტეანუ, განეა (მოლდოვანი 58), ჰაჯი (ლუპესკუ 75), ილიე

რუმინეთის ნაკრებმა სლოვაკეთს 5:1 მოუგო და შესარჩევი ჯგუფის ცხრილში პორტუგალია თავის შემდეგომ, მეორე ადგილზე გადასვა.

ანგარიში ადრიან ილიემ ადრევე გახსნა, გეორგე ჰაჯის მოხდენილი პასი რომ შეიშნო შეხვედრის მეექვსე წუთი მიმდინარეობდა, მაგრამ 22-ზე ვლადიმირ ლაბანტმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა.

სლოვაკთა სამწუხაროდ, მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა, თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი რომ გავიდა, ჰაჯიმ, დაახლოებით 35 მეტრიდან ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ჯერ იყო და ლივიუ ჩიობოტარიუმ თავურით გაზარდა სხვაობა, მერე კი ვიორელ მოლდოვანმა ორ წუთში ორი გოლი გაიტანა.

### აზერბაიჯანი 1:1 პორტუგალია

1:0 ტაგიზადზე (51), 1:1 ფიგუ (90)
აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი, პაშახონცევი, ახმედოვი, ლიჩკინი (შტუკასი 90), გეტმანი, გულიევი, ტაგიზადე, მუსაევი (გურბანოვი 58), ვასილიევი (გამბაროვი 54), ნიფტალიევი
პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიო, დიმაში, მადეირა, ფერნანდო კოუტუ, პაულო სოუზა (ნუნო 67), ფიგუ, ჟოაო პინტუ, სა პინტუ (სერჟიო კონსეისაო 45), რუი კოშტა, პაულუ ბენტუ (პეტრო პაულეტა 30)
გაძევება: ტაგიზადე (84)

პორტუგალიის ნაკრები აზერბაიჯანში მარცხისგან „ბარსელონას" ნახევარმცველმა, ლუიშ ფიგუმ იხსნა. ეს მისი მესამე საგოლე მომენტი გახლდათ შეხვედრაში, რომელშიც მსაჯის დამატებული დროის მეხუთე წუთი მიმდინარეობდა.

მიუხედავად ასეთი ყოჩაღი შედეგისა, აზერბაიჯანმა ცხრილში ბოლოს წინა ადგილიდან ვერ აინაცვლა, თუმცა პორტუგალიელებთან საშინაო დაპირისპირება მის ფეხბურთელებს არასდროს დაავიწყდებათ. საქმე ის გახლავთ, რომ შეხვედრა წინა დღეს უნდა გამართულიყო და დაიწყო კიდეც, მაგრამ განათების სისტემის მოშლის გამო იგი პირველი ტაიმის შემდეგ გაუქმდა და მეორე დღისთვის გადაიდო. იმ მომენტისთვის ანგარიში არ გახლდათ გახსნილი.

ყველაფრის მიუხედავად პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა, უმბერტო კოელიომ, თავისი გუნდის წაბორძიკება კასპიის ზღვის პირას თავს გადახდენილ ფათერაკებს არ დააბრალა: „ფეხბურთი თამაშია. პარასკევსაც კი, როდესაც ენერგოპრობლემების გამო ჩაიშალა შეხვედრა, ჩვენ უპირატესობას ვერ ვფლობდით. ვგონებ, საკუთარ თავში ზედმეტმა დარწმუნებამ დაგვაკარგვინა ქულები, მასპინძლებმა კი ჩინებულად ითამაშეს.

აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცი, ახმედ ალესკეროვი: „პატიოსნად გეტყვით, ასეთ შედეგს არ ველოდი, მითუფრო, რომ აზერბაიჯანს გარეთ მოთამაშე ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა."

### ლიხტენშტაინი 0:0 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:2 | 20 |
| პორტუგალია | 8 | 6 | 1 | 1 | 28:3 | 19 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:7 | 9 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:22 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:34 | 4 |

*8.09 უნგრეთი — აზერბაიჯანი, რუმინეთი — პორტუგალია, სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი; 9.10 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი; 10.10 პორტუგალია — უნგრეთი*

## VIII ჯგუფი

### იუგოსლავია 3:1 მაკედონია

1:0, 2:0 სტოიკოვიჩი (37, 54), 2:1 ს. ჩირიჩი (64პ), 3:1 სავიჩევიჩი (77)
იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, კრსტაიჩი, იოკანოვიჩი, ჟუკიჩი, საველიჩი, სტანკოვიჩი (გოვედარიცა 75), მიატოვიჩი, მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი 82), სტოიკოვიჩი (სავიჩევიჩი 66), დრულოვიჩი
მაკედონია: მილოშევსკი, სტავრევსკი, იოვანოვსკი (სერაფიმოვსკი 59), ლაზარევსკი, ბაბუნსკი, სავევსკი, ვესელინოვსკი, მიჩევსკი (გერასიმოვსკი 53), ხრისტოვი, ს. ჩირიჩი (მემედი 77), შაკირი

### ხორვატია 1:0 ირლანდია

1:0 შუკერი (90)
ხორვატია: ლადიჩი, სიმიჩი, იარნი, სოლდო, შტიმაცი, ბილიჩი (რუკავინა 45), ასანოვიჩი, სტანიჩი (სიმიჩი 84), შუკერი, რაპაიჩი, კოვაჩი
ირლანდია: კელი, ქარი, სტონტონი, ბრინი, კანინგემი, კარსლი, კელი (ჰერტი 72), კინსელა, კასკარინო (ქუინი 82), მაკლუფლინი, დაფი (კილბეინი 58)

გამარჯვება, რომელიც მასპინძლებს დავორ შუკერის ზუსტმა დარტყმამ მოაპოვებინა, მათ ხორვატული სიჯიუტით, მსაჯის დამატებული დროის მეხუთე წუთზე გამოჭედეს.

„არსენალის" ფორვარდს რობერტ კოვაჩმა დაახლოებით 60 მეტრიდან ჩააწოდა პასი პირდაპირ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. საფრანგეთი 98-ის საუკეთესო ბომბარდირმა თავისი ცნობილი ცაცია ფეხით გაიმორჩილა ბურთი და წამის დაუკარგავად იგი ირლანდიელი მეკარის, ალან კელის კარში შეაგორა.

მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, უტევდნენ და უამრავი საგოლე სიტუაციაც შექმნეს. მარიო სტანიჩმა 53-ე წუთზე ძელსაც კი გაარტყა ბურთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| ირლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:3 | 12 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 4:24 | 0 |

*8.09 მაკედონია — იუგოსლავია, მალტა — ირლანდია; 10.10 ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია;*

## IX ჯგუფი

### ლიტვა 0:4 ჩეხეთი

0:1, 0:2 ნედვედი (60, 63), 0:3, 0:4 კოლერი (68,90)
ლიტვა: სტაუჩე, ჟუტაუტასი, ვენკევიჩიუსი, ტერეშკინასი, რაჟანაუსკასი, ზვირგჟდაუსკასი, შემბერასი (შკერლა 55), ივანაუსკასი (რამელისი 38), პრეიკშაიტისი (დანილევიჩიუსი 77), ნიკალაიუნასი, იანკაუსკასი
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, რადა, ნედვედი (ხორვატი 70), ნიკლი, ბეიბლი, ნემეცი (ბარანეკი 78), პობორსკი (სლონჩიკი 79), კუკა, კოლერი, ბერგერი
გაძევება: ინკაუსკასი (19)

ვილნიუსში, 3 ათასი ლიტველი ფანის თვალწინ, ედგარას იანკაუსკასმა, მე-19 წუთზე ტომაშ რეპკას მუჯლუგუნი უთავაზა და მოედნიდან გააძევეს. ამის მერე მასპინძლებმა პირველ ტაიმს გაუძლეს, მეორეში კი პაველ ნედვედმა ორჯერ და იან კოლერმაც ამდენჯერვე დალაშქრეს ლატველთა განწირული კარი.

### ბოსნია 1:2 შოტლანდია

0:1 ჰაჩინსონი (13), 1:1 ბოლიჩი (23), 1:2 დოდსი (45)
ბოსნია: დედიჩი, იოლდიჩი (რეპუ 77), მუიჯა (დემიროვიჩი 77), კონიჩი, ჰიბიჩი, ბესირევიჩი, ბოლიჩი, ჰალილოვიჩი (მუიჩინი 62), კოდრო, ბარბარესი, ტოპიჩი
შოტლანდია: სალივანი, ვიარი, ჰოფკინი, კალდერვუდი (დეილი 45), ჰენდრი, ფერგიუსონი (დიურანი 69), დოდსი, ბარლი, მაკანი, ჰაჩინსონი, კოლინი

შოტლანდია მეორე ადგილს და პლეიოფში მოხვედრას მიუახლოვდა — მან ბოსნიას სძლია 2:1.

სქოთებმა ანგარიში მე-13 წუთზე გახსნეს. მას მერე, რაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ხილი დოდსმა თავური დაჰკრა, ბოსნიელთა მეკარემ მირზად დედიჩმა კი ხეირიანად მოგერიება ვერ შეძლო და დონ ჰაჩისონს გოლი აჩუქა.

შეტევისმოყვარული ბოსნია სამი ფორვარდით იყო მოედანზე გასული და 23-ე წუთზე ერთ-ერთმა მათგანმა, „ფენერბაჰჩეში" მოთამაშე ელვირ ბოლიჩმა გაქვითა კიდეც ანგარიში — მარკო ტოპიჩმა, რომელიც იტალიის სერია B-ს გუნდ „მონცაში" თამაშობს შოტლანდიელთა ნახევარზე მოხერხებულად გადააგდო ბურთი, რომელიც ბოლიჩმა იგდო, 35 მეტრი გაირბინა, მეკარე მოატყუა და მიზანს მიაღწია — მაგრამ დოდსმა, დაახლოებით 17 მეტრიდან, ბოსნიელ მეკარისგან მარჯვენა-მაღალ კუთხეში ლონიერი დარტყმით გასცა პასუხი და სამი ქულა სარაევოდან გლაზგოს გზას გაუყენა.

### ფარერები 0:2 ესტონეთი

0:1 რეინი (88), 0:2 პიიროა (90)
ფარერები: ნიკელსონი, იოჰანსენი, კ. ჰანსენი, ტორსტეინსონი (ო. ჰანსენი 74), ჰ. ჰანსენი, იონსენი (ბორგი 89), არგე (იარნსკორი 89), ჯ. იონსონი, მოერკორე, ტ. იონსონი, პეტერსენი
ესტონეთი: პოომი, პიიროია, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, სავიუკი (ლემსალუ 90), ალონენი, ტერიოხოვი, ანისტე (რონინი 67), კრისტალი, რეიმი, ზელინსკი (უსტრიცული 75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21:5 | 24 |
| შოტლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 11:10 | 11 |
| ესტონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:13 | 10 |
| ბოსნია | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| ლიტვა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| ფარერები | 8 | 0 | 3 | 5 | 4:14 | 3 |

*8.09 ჩეხეთი — ბოსნია, ესტონეთი — შოტლანდია, ფარერები — ლიტვა; 5.10 შოტლანდია — ბოსნია; 9.10 ჩეხეთი — ფარერები, ესტონეთი — ბოსნია, შოტლანდია — ლიტვა*

## ამხანაგური მატჩები


REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინელი ვივასი (№4) ბრაზილიელი რივალდოს წინააღმდეგ

### არგენტინა 2:0 ბრაზილია

1:0 ვერონი (29), 2:0 კრესპო (67)
არგენტინა: ბონანო, ვივასი, აიალა, სამუელი, რედონდო, ძანეტი, სორინი, ვერონი (სიმეონე 86), ორტეგა (გალიარდო 74), კრესპო (ბერიზო 91), კ. ლოპესი (გონსალესი 46)
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ანტონიო კარლოსი, შეიდტი, რობერტო კარლოსი, ვამპეტა (მარკოს ასუნსაო 46), ემერსონი, ზე რობერტო (ალექსი 46), რივალდო, რონალდო (ელბერი 46), რონალდინიო

„არგენტინელები თავს კარგად იცავდნენ და საერთოდ, ჩინებულად ითამაშეს. ბრაზილიამ კი მათ წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო" — თქვა მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ.

სამხრეთ ამერიკის ორი უძლიერესი ნაკრების ამხანაგური შეხვედრა შაბათს ბუენოს აირესში გაიმართა და არგენტინელთა სათამაშო უპირატესობით წარიმართა. მასპინძელთა მცველებმა ორივე რონალდო საიმედოდ „ამოკეტეს".

შესვენებაზე ლუქსემბურგომ სამი ფეხბურთელი შეცვალა. ერთხანს ინიციატივა ბრაზილიელებს ჰქონდათ, მაგრამ კრესპოს მეორე გოლმა მათ იმედი წარკვეთა.

დღეს ეს გუნდები უკვე ბრაზილიის ტერიტორიაზე, პორტუ-ალეგრეში შეხვდებიან ერთმანეთს.


REUTERS როტერდამიდან

დენის ბერხკამპს (შუაში) ბელგიელი ლორენცო სტალენსი ებრძვის

### ჰოლანდია 5:5 ბელგია

0:1, 0:2 შტრუპარი (8, 29), 1:2, 2:2 დავიდსი (36, 42), 3:2 კლუივერტი (45), 3:3 გოორი (50), 3:4 ვილმოტსი (52), 4:4 კლუივერტი (69), 4:4, 5:4 კლუივერტი (58, 69), 5:5 ე. მპენზა (77)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი (კონტერმანი 61), ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, კოკუ, რ. დე ბური, დავიდსი, კლუივერტი (ვან ჰოიდონკი 78), ბერხკამპი (ვან ნისტელროი 65), ზენდენი
ბელგია: ვანდე ვალე (ჰერპოელი 40), დეფლანდრე (ჰოფკერსი 78), პეტერსი, სტალენსი, ვან კერკჰოვენი (ჰენდრიკსი 72), ვან დერ ჰაეგე, ვილმოტსი, გოორი, ვერჰეიენი (ტ. ბროგნო 89), შტრუპარი, ე. მპენზა (ვალემი 81)

ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლებმა როტერდამში ამხანაგური მატჩი ჩაატარეს, რომლის შემდეგაც სპეციალისტებს არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება შეექმნათ. ორივე გუნდის თავდასხმამ კარგად ითამაშა, მაგრამ დაცვაში ორივემ უამრავი შეცდომა დაუშვა.

„რა უნდა ვთქვა. ხუთი გავიტანეთ და ხუთი საკუთარ კარში მივიღეთ. ეს არანორმალური თამაში იყო. ჩემმა დამცველებმა კი რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. ამიტომ კმაყოფილი ვერ ვიქნები" — თქვა მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა, რომლისთვისაც ეს, რაც ნაკრების დამრიგებელია, მეათე მატჩი და მეშვიდე ფრე გახლდათ.

თამაშს კი ამხანაგური მხოლოდ ფორმალურად თუ ეთქმოდა. მოგეხსენებათ, ჰოლანდიასა და ბელგიას ერთმანეთში საკუთარი ანგარიში აქვთ. მიმომხილველები სამ მთავარ მომენტს გამოჰყოფენ. პატრიკ კლუივერტის ჰეთ თრიქს, ედგარ დავიდსის ულამაზეს გოლს და მარკ ვილმოტსის გაძევებას.

საწყის 30 წუთში ჰოლანდიელთა დაცვას ორჯერ გაეპარა ბრანკო შტრუპარი, თუმცა შესვენებისთვის მაინც მასპინძლები იგებდნენ. ორჯერ ედგარ დავიდსმა გაიტანა, რომელიც იმ საღამოს სათვალით გავიდა მინდორზე.

პირველ შემთხვევაში მას გაუმართლა, მერე კი ჩინებული გარღვევა გამოუვიდა, ოთხი მცველი მოატყუა და ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ კლუივერტის ჯერი დადგა. მისი სამი ბურთით ჰოლანდიელები 5:4-ს იგებდნენ, მაგრამ ემილ მპენზამ გაათანაბრა ანგარიში. გოლიდან ერთი წუთის შემდეგ კი ბელგიელები კაცნაკლულნი დარჩნენ. ვილმოტსი უხეშად ეთამაშა ზენდენს და მინდვრის ვადამდე დატოვება მოუხდა. ბოლო წუთები ჰოლანდიელთა შეტევებში გაილია, თუმც სტუმართა დაცვას შეცდომა აღარ დაუშვია.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საფრანგეთი. II დივიზიონი.

VIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.09 | 001 | გენგამი — ლუანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 002 | ლავალი — შატორუ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 003 | ნიმი — აიაჩო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 004 | ნიცა — კრეტეი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 005 | ვალანსი — კანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 006 | ლორიანი — კაენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 007 | გენიონი — ლე მანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 008 | სოშო — ნიორი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 009 | ლილი — ვასკეალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 010 | ამიენი — ტულუზი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ევროპის ჩემპიონატისშესარჩევი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8.09 | 501 | შვეიცარია — ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 502 | იტალია — დანია | 1,5 | 2,8 | 7,5 |
| | 503 | საბერძნეთი — ალბანეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 504 | ნორვეგია — სლოვენია | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |
| | 505 | საქართველო — ლატვია | ანგარიში — 5,0 | | |
| | 506 | გერმანია — ჩრდ. ირლანდია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,9 | 3,4 | 1,35 |
| | 507 | მოლდოვა — თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 508 | ანდორა — რუსეთი | 17,0 | 10,0 | 1,02 |
| | 509 | ისლანდია — უკრაინა | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| | 510 | სომხეთი — საფრანგეთი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| | 511 | ლუქსემბურგი — შვედეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| | 512 | პოლონეთი — ინგლისი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 513 | ისრაელი — სან მარინო | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | | 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 514 | ესპანეთი — კვიპროსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| | 515 | რუმინეთი — პორტუგალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 516 | სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | | 0:3 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| | 517 | უნგრეთი — აზერბაიჯანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| | 518 | მაკედონია — იუგოსლავია | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 519 | მალტა — ირლანდია | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| | 520 | ჩეხეთი — ბოსნია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:2 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| | 521 | ფარერები — ლიტვა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 522 | ესტონეთი — შოტლანდია | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### ამხანაგური მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.09 | 523 | ბელგია — მაროკო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 524 | ბრაზილია — არგენტინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიპოვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| პარმა | 4,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 5,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 |
| აიაქსი | 5,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| ნიუკასლი | 7,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| მალიორკა | 10,0 |
| მონაკო | 10,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| ვერდერი | 10,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ანდერლეხტი | 15,0 |
| ბრიუგე | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| ლოკომოტივი | 50,0 |
| ვიტესი | 50,0 |
| სელტიკი | 50,0 |
| სპორტინგი | 50,0 |
| გიოტებორგი | 100,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| როდა | 100,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)*

შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ნიკოლა ანელკა

# ანელკა ფეხბურთიდან წასვლით იმუქრება

სულ ახლახან შეძენილი „რეალის" ახალბედა ფორვარდი, ფრანგი ნიკოლა ანელკა დიდი ფეხბურთიდან წასვლით იმუქრება. „მე ახლა 20 წლის ვარ და თუ ასე გავაგრძელე თამაში, ფეხბურთს გამოვეთხოვები" — ამბობს იგი.

ფრანგს ინგლისურ მასმედიასთან აუტანელი ურთიერთობა ჰქონდა, ხოლო ახლა აცხადებს, რომ არც ესპანურ პრესასთან აპირებს რაიმის მტკიცებას.

აშკარაა, რომ იგი მადრიდში ცუდ ფეხზე ჩავიდა, ჯერ ხომ ერთი ბურთის გატანაც ვერ შეძლო.

პარტნიორებს თავიდანვე ვერ შეეწყო, განსაკუთრებით რაულ-მორიენტესის დუეტს. და ქილიკობს: „არც ისე მაგრები არიან, უბრალოდ, ერთმანეთის კარგად ესმით, მოედანზე სულ ერთმანეთს ეძებენ"... თუმც ფრანგი გრძნობს, რომ კიევში ჩატარებული მატჩი ერთ-ერთი შავი ლაქაა მის კარიერაში.

„ასეთია ცხოვრება, მე ახლა ჩავარდნა მაქვს" — აღიარებს იგი.

# ბა მიდლსბროს უარობს

იტალიის ჩემპიონ „მილანის" ფრანგმა ნახევარმცველმა იბრაჰიმ ბამ უარი თქვა „მიდლსბროში" გადასვლაზე. „მილანი" თანახმა იყო, ბა ინგლისში გაენათხოვრებინა, რადგან იგი მწვრთნელ ძაკერონის ტაქტიკურ გეგმებში აღარ შედის.

„მესმის, რომ კონკრეტულ მომენტში შეიძლება არ იყოს ჩემთვის ადგილი ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „მილანია", მაგრამ ეს არ არის დიდი პრობლემა. „მიდლსბროში" არ წავედი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა გუნდში გადასვლა არ მსურს" — აცხადებს იგი.

ფრნაგ ფეხბურთელს კონკრეტულად არ დაუსახელებია მიზეზი, თუ რატომ არ სურს „მიდლსბროში" თამაში.

# ვიერი დაშავდა

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა კრისტიან ვიერიმ კუნთის დაჭიმვის გამო ეროვნულ ნაკრებში ვარჯიში გამოტოვა, მაგრამ მწვრთნელი დინო ძოფი იმედოვნებს, რომ დანიასთან მატჩში ის აუცილებლად ითამაშებს: „მჯერა, რომ ვიერის სერიოზული არაფერი სჭირს, ამიტომ შეკრებაზე სხვა მოთამაშეები არც გამოვიძახე."



ვიერიმ რბწყინვალედ დაიწყო სეზონი სერია A-ში, ამიტომ, ბუნებრივია, იგი საუკეთესო არჩევანია ძოფისთვის.

იტალია შესარჩევ ქვეჯგუფში ლიდერობს და მომავალი მატჩი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნიკა შუბლაძე

# ბოიკოტი გადაიდო

საგანგებო ყრილობა, რომლის მოწყობასაც აზიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებდა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად, აღარ ჩატარდება. საქმე შეეხებოდა ჩემპიონატის საფინალო სტადიაზე ადგილების განაწილებას.

აზია უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ მათ ტურნირზე მხოლოდ ოთხი ადგილი შეხვდათ და ფიფადან გასვლითაც კი იმუქრებოდა, თუ ერთს კიდევ არ დაუმატებდნენ.

აზიის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივნის, პიტერ ველაპანის ინფორმაციით, ბოიკოტი გადაიდო ფიფას გენერალური მდივნის ზეპ ბლატერის და აზიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ აჰმედ შაჰის შევხედრის საფუძველზე.

მხარეებმა ერთმანეთს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. ნიკა შუბლაძე


ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს
დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე


ფეხბურთის რუკასთან



ესპანური „მალიორკა" სეზონის დასაწყისში იძულებულია, ახალი მწვრთნელი ეძებოს. საქმე ისაა, რომ გუნდის ახლანდელ თავკაცს, არგენტინელ მარიო გომესს ამ ქვეყანაში მუშაობის სამი წლის სტაჟი არა აქვს და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამაც დაითხოვა. სავარაუდოდ, გუნდის ახალ თავკაცად „ოვიედოს" ყოფილი მწვრთნელი გალისიან ვასკერი დაინიშნება. მან პოსტი სეზონის დასასრულს დატოვა.

იტალიური კლუბის, მილანის „ინტერის" ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდი თანახმაა, „მანჩესტერ იუნაიტედს" ფრანგი მცველი მიშელ სილვესტრი მიჰყიდოს. საკუთარი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების წევრ სილვესტრს საბოლოო პასუხის ვადა სამშაბათამდე აქვს. „მანჩესტერი" ყაბულსაა მასში 4 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, სილვესტრმა კარიერა ფრანგულ კლუბ „რენში" დაიწყო, 18 წლისა უკვე „ინტერის" საკუთრება იყო, მაგრამ ახლა, როცა „მილანში" ბერძენი მცველი გეორგიოს გეორგატოსი გადავიდა, მისი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი მცირდება. ფრანგი მცველით ინგლისური „ლივერპულიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ მანჩესტერულმა კლუბმა მას ვაჭრობაში აჯობა.

რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა რადუ ვასილუმ რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელი ფულადი სახსრების არაკეთილსინდისიერად გამოყენებაში დაადანაშაულა. „იმის მაგივრად, რომ ფული მომავალი საფეხბურთო თაობის განვითარებას მოხმარდეს, კლუბების ხელმძღვანელობი მას სულ სხვა მიზნებისთვის იყენებენ. სწორედ ამიტომ, ბოლო რამდენიმე წელია, ევროპის მასშტაბით რუმინული ფეხბურთის დონე საგრძნობლად დაეცა" — აცხადებს ვასილუ. მას ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად გუნდების მენეჯმენტისა და სტრატეგიის რადიკალური რეფორმა მიაჩნია.

იტალიის ვიცე-ჩემპიონი რომის „ლაციო" დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონის დატოვებას და ახალ სარბიელზე გადასვლას აპირებს. კლუბის განცხადებით, მათ ამ პროექტისათვის მიწის ნაკვეთი ესაჭიროებათ და იმედოვნებენ, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა საკითხს დადებითად გადაწყვეტს. ახალი სტადიონი „მანჩესტერ იუნაიტედის" „ოლდ ტრეფორდის" მოდელის იქნება, სავარაუდოდ 40 000 ტევადობის. პროექტი დაახლოებით 28 მილიონი დოლარი დაჯდება და 2000-2001 წლის სეზონისთვის დასრულდება. კლუბი 1953 წლის შემდეგ 81 000 ტევადობის ოლიმპიურ სტადიონს თანაქალაქელ „რომასთან" იზიარებს. გეგმაშია რიგი კომპლექსების — რესტორნების, მაღაზიების, კინოდარბაზების გაკეთება.

## ესპანეთი

III ტური

**ოსასუნა 1:0 ატლეტიკო B**
1:0 სიგანდა (17)

**კომპოსტელა 1:2 მერიდა**
1:0 ჩანგუი (6), 1:1 პრიეტო (69), 1:2 ბელიდო (70)

**ბადახოსი 1:1 ელჩე**
1:0 ბრაკამონტე (6), 1: პუეგუნი (58З)

**ესტრემადურა 2:0 ლეგანესი**
1:0 ხუანიტო (7), 2:0 დურე (29)

**ხეტაფე 1:1 ეიბარი**
1:0 სეგურა (55), 1:1 მატსონი (89)

**სალამანკა 3:0 ლევანტე**
1:0 ველასკო (48), 2:0 საგერა (58), 3:0 სილვანი (85)

**ლეიდა 1:2 ტენერიფე**
1:0 მაია (37), 1:1 სლოვაკი (60), 1:2 პიერი (70)

**კორდობა 0:2 ტოლედო**
0:1 ტორე (56), 0:2 ხუანიტო (68)

**ლოგრონიესი 2:3 სპორტინგი**
1:0 მანელი (28), 1:1 ჩერიშევი (52), 2:1 პოპელუ (61), 2:2 ჩერიშევი (75), 2:3 ურბანო (79)

**ალბასეტე 0:2 ვილიარეალი**
0:1 ლოპესი (47), 0:2 მოიზესი (83)

**ლას პალმასი 1:2 უელვა**
1:0 ორლანდო (21), 1:1 ბოდიპო (33), 1:2 ხუან მორენო (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| სალამანკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| მერიდა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კომპოსტელა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ლას პალმასი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ტენერიფე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| უელვა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ბადახოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ალბასეტე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ატლეტიკო B | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ტოლედო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ეიბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ლოგრონიესი | 3 | 0 | 1 | 2 | 6:8 | 1 |
| ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ლეგანესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| ლეიდა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| კორდობა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

## იტალია

II ტური

**ვიჩენცა 1:1 ჯენოა**
1:0 ლუიზო (12), 1:1 ფრანსიოზო (45)

**პესკარა 2:1 კიევო**
1:0 რუკოია (18З), 2:0 როსი (34), 2:1 კოსატო (34)

**სამპდორია 0:0 ბრეშა**
**რავენა 0:0 კოზენცა**
**სავოია 1:0 ემპოლი**
1:0 ჟირარდელო (12З)

**ტერნანა 1:0 ალძანო**
1:0 ნიკოლი (30)

**სალერნიტანა 1:1 ჩეზენა**
0:1 კამპოლონი (26), 1:1 დი მიკელე (43)

**მონცა 0:0 ნაპოლი**
**ფერმანა 0:0 პისტოიეზე**
**ატალანტა 3:2 ტრევიზო**
1:0 კაკია (7), 1:1 პიცი (13), 2:1, 3:1 კაკია (30, 42), 3:2 ტონი (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჯენოა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვიჩენცა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სავოია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პესკარა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ალძანო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ტერნანა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ბრეშა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ნაპოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რავენა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჩეზენა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მონცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კოზენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ფერმანა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| პისტოიეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სალერნიტანა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ტრევიზო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

### სერია C1/A

I ტური. კომო — ჩიტადელა 0:0; ლივორნო — კარარეზე 1:0; ლუმეცანე — პიზა 0:1; მონტევარკი — მოდენა 1:2; რეჯანა — ალბინოლეფე 0:1; სანდონა — ლეკო 0:1; სიენა — ლუკეზე 2:0; სპალ — კრემონეზე 2:0; ვარეზე — ბრეშელო 1:1

### სერია C1/B

I ტური. ანკონა — ნოჩერინა 1:0; აველინო — ლოდიჯანი 2:2; დი სანგრო — კროტონე 2:2; კატანია — ჯულიანოვა 2:0; ფ. ანდრია — ასკოლი 1:0; გუალდო — ატლეტიკო 2:1; სტაბია — არეცო 1:1; პალერმო — ბენევენტო 1:1; ვიტერბეზე — მარსალა 3:1

## ინგლისი

პრველი დივიზიონი

VI ტური

**ბარნსლი 3:0 ტრანმერი**
1:0 შერონი (36), 2:0 დაბერი (77), 3:0 მაკლეარი (86)

**ნოტინგემი 4:1 უოლსორი**
0:1 რობინსი (3), 1:1 ფრიდმანი (42), 2:1 ჩეტლი (70З), 3:1 ფრიდმანი (75), 4:1 რაიტი (87)

**შეფილდი 3:1 კრ. პალასი**
1:0, 2:0 მარსელო (20, 45), 3:0 ფორდი (74), 3:1 მორისონი (90)

**ბოლტონი 3:3 ბირმინგემი**
1:0 ფრანდსენი (14), 1:1 ჰოლდსვუორთი (26), 1:2, 1:3 ფარლონგი (38, 45), 2:3 ფრანდსენი (53), 3:3 ჰოლდსვორთი (89З)

**პორტვეილი 3:1 გრიმსბი**
0 ბენტი (21), 2:0 ნეილორი (31), 2:1 ალენი (60), 3:1 ფოილი (85)

კრიუ — ვესტ ბრომვიჩი, ფულემი — პორტსმუთი, ჰადერსფილდი — იფსვიჩი, ნორვიჩი — სიტი, სტოკპორტი — ქუინზ პარკი, სუინდონი — ბლექბერნი, ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:5 | 13 |
| ბირმინგემი | 6 | 3 | 2 | 1 | 15:10 | 11 |
| სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:1 | 10 |
| ბარნსლი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:13 | 9 |
| სტოკპორტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ქუინზ პარკი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ნოტინგემი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| პორტსმუთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:7 | 8 |
| შეფილდ იუნ. | 6 | 2 | 2 | 2 | 9:13 | 8 |
| ჰადერსფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| ფულემი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| პორტვეილი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| ჩარლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| უოლსოლი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:12 | 6 |
| ვულვერჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ქრიუ | 4 | 1 | 2 | 1 | 7:8 | 5 |
| ბოლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| გრიმსბი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ნორვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| სუინდონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ტრანმერი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:9 | 4 |
| კრ. პალასი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:15 | 4 |

### მეორე დივიზიონი

VI ტური. ბრისტოლი — ბლექპული 5:2; ბარნლი — ბორნმუთი 2:1; კემბრიჯი — სტოკი 1:3; ჯილინგემი — ოლდემი 2:1; ლუთონი — ბერი 1:1; ოქსფორდი — უიკომბი 0:0; პრესტონი — ჩესტერფილდი 0:2; სკანთორპი — როვერსი 0:2; რექსემი — ნოტსი 2:3

### მესამე დივიზიონი

VI ტური. ბარნეტი – მაკლსფილდი 2:1; დარლინგტონი – ექსეტერი 1:0; ჰარტლპული – საუთენდი 1:2; ჰალი – ჩესტერი 2:1; ლეიტონი – შრიუსბერი 1:2; მენსფილდი – პეტერბრო 3:1; ნორთჰემპტონი – კარლაისლი 0:0; პლიმუთი – ბრაიტონი 3:3; როჩდეილი – ალიფაქსი 0:1; როტერჰემი – იორკი 1:0; ტორკი – ლინკოლნი 5:2

## საფრანგეთი

VII ტური. ნიორი — გენიონი 1:0; ლე მანი — ლორიანი 2:1; კაენი — ვალანსი 2:0; ნიცა — ნიმი 1:1; აიაჩო — ლავალი 1:0; შატორუ — გენგამი 2:3; ლუანი — ამიენი 0:0; ტულუზი — ლილი 0:2; ვასკეალი — სოშო 0:0; კრეტეი — კანი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 7 | 6 | 1 | 0 | 12:4 | 19 |
| ამიენი | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 15 |
| ტულუზი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:4 | 13 |
| ლე მანი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:7 | 13 |
| კანი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:6 | 13 |
| ლორიანი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| გენგამი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| კრეტეი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| კაენი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 9 |
| ვალანსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ნიმი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| სოშო | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ნიორი | 7 | 1 | 4 | 2 | 6:8 | 7 |
| გენიონი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ლავალი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:6 | 6 |
| ვასკეალი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:6 | 6 |
| შატორუ | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | 5 |
| ნიცა | 7 | 0 | 5 | 2 | 5:9 | 5 |
| ლუანი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:8 | 5 |
| აიაჩო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |

# სტუდენტური ტრანსფერი

## თორთლაძე სდასუ-დან სტუ-ში გადავიდა



დავით თორთლაძე

მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის დაწყების ზუსტი თარიღის დასახელება ჩვენ კი არა, ჯერ ფედერაციასაც გაუჭირდება, მაგრამ რაკი იმთავითვე 1 ოქტომბერი ითქვა, ალბათ... ასეც იქნება.

ეგ იქით იყოს და პირველობაში მონაწილე კლუბებმა საამისოდ ახლავე თუ არ დაიჭირეს თადარიგი, მერე ნამდვილად დაუგვიანდებათ ტუჩზე კბენა. ჰოდა, ვისაც ჯიბე უწყობს ხელს, ამბიციაც ძველებური აქვს და არც თვითგვემა ეხატება გულზე, უკვე შეუდგა სამომავლოდ ფიქრს.

ამბიცია ვახსენე და სტუ-ც აქვეა. ჯერ კიდევ მერვე ეროვნულში ჩემპიონობის მოსურნე ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა, ბრინჯაო რას მიქვია, მომავალ სეზონში უეჭველად ოქროზე უნდა გავილაშქროთო. ჯერ იყო და სტუ-ს თავკაცობამ საამისოდ წინამძღოლი, ანუ მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი შეარჩია. ამის მერე კლუბი სელექციურ მუშაობს შეუდგა და ეროვნული ნაკრების გამთამაშებლის, დავით თორთლაძის სახით მართლაც რომ შესარგი ლუკმა იგდო ხელთ.

სულ ბოლოს დავით თორთლაძე ასევე სტუდენტური გუნდის სდასუ-ს ღირსებას იცავდა. ჩამთავრდა მერვე ეროვნული და ხმა დაირხა, დათო უმაღლეს ლიგაში აღზევებულ „ბათუმში" უნდა გადაბარგდესო. ერთხანს მის თურქეთში შესაძლო დაბრუნებაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ...

— „ბათუმმა" მართლაც მომმართა წინადადებით. აჭარელები ურიგო პირობებს არ მთავაზობდნენ, მაგრამ იმავდროულად თურქულ კლუბებთან ვაწარმოებდი მოლაპარაკებას. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, კარიერა თურქეთში უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ მიწისძვრამ მარტო ისინი როდი აზარალა, ბუნების რისხვა მეც თავს დამატყდა და ამით მორჩა თურქულ ვარიანტზე საუბრები.

მერე ისევ „ბათუმი", მაგრამ... ავწონდავწონე და თბილისში დარჩენა ვარჩიე. თანაც სტუ-ს ხელმძღვანელობა სერიოზულად დაინტერესდა ჩემით. განვიხილე მათი წინადადება და ეს-ესაა კლუბის პრეზიდენტს თანხმობაც მივეცი. მჯერა, რომ ამ გუნდთან ერთად უფრო მაღალ შედეგებს მივაღწევ. სტუ-ს თავკაცობაც ხომ სწორედ ამისთვის ისწრაფვის — უთხრა გუშინ „სარბიელს" დავით თორთლაძემ.

ცნობისათვის, თორთლაძე ადრეც იცავდა ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსებას, იმ განსხვავებით, რომ მაშინ ეს კლუბი „თორსის" სახელით გამოდიოდა. სწორედ ამ გუნდში თამაშობდა დავით თორთლაძე, როცა ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ვაშაკიძე სამარაში

## ერთი წლით დარჩება

თვეზე მეტი იქნება, რაც ირაკლი ვაშაკიძე რუსეთის სუპერლიგაში მოასპარეზე „სამარას" მთავარი მწვრთნელის ბორის სოკოლოვსკის მიწვევით სამარაში გაემგზავრა და ამ კლუბში ვარჯიშობს.

ქართველი კალათბურთელის პირველი უცხოური კლუბი მოსკოვის „სპარტაკი" იყო. შემდეგ ვაშაკიძემ ისრაელში გადაინაცვლა. გასული საკალათბურთო სეზონი კი დაასრულა თბილისის „დინამოში", იმ კლუბში, საიდანაც პირველად გაემგზავრა უცხოეთში.

ბოლო დროს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ინდივიდუალურად მოვარჯიშე ქართველი კალათბურთელით, როგორც ზემოთ ვთქვით, რუსი მწვრთნელი ბორის სოკოლოვსკი დაინტერესდა.

სოკოლოვსკი თანახმა იყო, ირაკლი თავისთან დაეტოვებია. გუნდთან ერთად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობის შემდეგ ირაკლის ოჯახის წევრებისთვის შეუტყობინებია: სამარაში დაბრუნებისთანავე გუნდის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებზე ვისაუბრე, ყოველგვარი ოფიციალური მხარე მოგვარდა და ერთწლიანი კონტრაქტიც გავაფორმეო.



ირაკლი ვაშაკიძე

**როლანდ ლაგუჩიძე**


**ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს**

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა
ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის შენობაში
☎ 23 20 05

**ვაქირავებ ან ვყიდი**

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23


## ესპანეთი

I ტური

ფუენლაბრადა — კასერესი 89:79, რეალი — ბადალონა 94:82, ხირონა — კახა სან ფერნანდო 82:75, პამესა — ტაუ 92:85, უნიკახა — ბარსელონა 62:74, ლეონი — გრან კანარია 78:69, ხიხონი — ფორუმი 51:50, კანტაბრია — ტდკ 83:75, ბრეოგანი — ადეკო 69:76

შაბათს დაწყებულ ესპანეთის ჩემპიონატის პირველსავე ტურში დამატებითი დრო დაფიქსირდა: „ფუენლაბრადას" და „კასერესს" გამარჯვებულის გამოსავლენად ორმოცი წუთი არ ეყოთ. დამატებით ხუთწუთეულში გაიბრწყინა ფუენლაბრადელთა ხორვატმა ველიმირ პერასოვიჩმა (31 ქულა) და თავისიანებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

შარშანდელი ჩემპიონი „ბარსელონა" მალაგაში ეწვია „უნიკახას". მასპინძლები მხოლოდ დასაწყისში დაწინაურდნენ, მაგრამ მერე მილან გუროვიჩმა (22 ქულა) ზედიზედ ჩააგდო სამქულიანები და ბარსელონელები აღარ ჩამორჩენილან. „უნიკახამ" შესვენებისთვის ოთხ ქულამდე შეამცირა ანგარიშის სხვაობა (34:38), რაც ორენგას (2 ქულა) და ხორვატი ველკო მრშიჩის (12 ქულა) დამსახურება იყო. მეორე ტაიმი განსხვავებული აღმოჩნდა: ალსტონმა (12 ქულა, 13 მოხსნა) და როდრიგესმა (11 ქულა) „ბარსელონას" უპირატესობა 12 ქულამდე გაზარდეს (51:39). მალაგელებმა ერთიც გაიბრძოლეს და სალიერის (16 ქულა) წყალობით ექვსი ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს (54:60), მაგრამ ეს მათი მაქსიმუმი აღმოჩნდა: მრშიჩმა მეორე ტაიმში საერთოდ ვერ ჩააგდო, ბელგიელმა ჟომინმა ცუდად ითამაშა, ხოლო სლოვაკ რიხარდ პეტრუშკას მზად არ ჰქონდა ახალი, იტალიური პასპორტი, რის გამო საერთოდ ვერ ითამაშა.

გამარჯვებით დაიწყო სეზონი ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა მადრიდის „რეალმა". სამეფო გუნდის ექვსი მოთამაშის მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოისახა. „ბადალონასთვის" საკმარისი არ აღმოჩნდა რუსი ბაბკოვის 27 ქულა. „რეალის" რიგებში ყველაზე შედეგიანები ალბერტო ანგულო (16 ქულა) და ალბერტო ერეროსი (15 ქულა) იყვნენ.

გაიმარჯვა პირველი ლიგის დებიუტანტმა „ხიხონმა". მართალია, მან მხოლოდ 51 ქულა ჩააგდო, მაგრამ ვალიადოლიდის „ფორუმი" ერთით ნაკლებს დააჯერა. ტურის მთავარი მოულოდნელობა კი შარშანდელი მესამე პრიზიორის, წლევანდელი ევროლიგის მონაწილის, სევილიის „კახა სან ფერნანდოს" მარცხი გახლდათ. ფავორიტები კატალონიურმა გუნდმა, „ხირონამ" შეაჩერა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 94:82 | 2 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 74:62 | 2 |
| ფუენლაბრადა | 1 | 1 | 0 | 89:79 | 2 |
| ლეონი | 1 | 1 | 0 | 78:69 | 2 |
| კანტაბრია | 1 | 1 | 0 | 83:75 | 2 |
| პამესა | 1 | 1 | 0 | 92:85 | 2 |
| ხირონა | 1 | 1 | 0 | 82:75 | 2 |
| ადეკო | 1 | 1 | 0 | 76:69 | 2 |
| ხიხონი | 1 | 1 | 0 | 51:50 | 2 |
| ფორუმი | 1 | 0 | 1 | 50:51 | 1 |
| ტაუ | 1 | 0 | 1 | 85:92 | 1 |
| სან ფერნანდო | 1 | 0 | 1 | 75:82 | 1 |
| ბრეოგანი | 1 | 0 | 1 | 69:76 | 1 |
| ტდკ | 1 | 0 | 1 | 75:83 | 1 |
| გრან კანარეა | 1 | 0 | 1 | 69:78 | 1 |
| კასერესი | 1 | 0 | 1 | 79:89 | 1 |
| ბადალონა | 1 | 0 | 1 | 82:94 | 1 |
| უნიკახა | 1 | 0 | 1 | 62:74 | 1 |

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

3-4-5 სექტემბერი

**მაიამი ჰითი:** აიყვანა უგუნდო ცენტრი [illegible]; აიყვანა უგუნდო ფორვარდი ჰაროლდ ჯემისონი

# ხუთშაბათს ბარკლი ისევ ჰიუსტონელი გახდება

„ჰიუსტონ როკიტსის" თავდამსხმელი ჩარლზ ბარკლი კვლავ დარჩება ძველ გუნდში. ეს ამბავი ჯერ კიდევ ორ სექტემბერს გადაწყდა. იმ დღეს „ჰიუსტონის" ხელმძღვანელობა და ბარკლის ფინანსური მენეჯერი გლენ გატრი მაგიდას მიუსხდნენ და საქმეც გაიჩარხა. ერთწლიანი და 9-მილიონიანი კონტრაქტი კალათბურთელის ხელისმოწერასღა ელის. ბარკლი ამ ფორმალობას უახლოეს დღეებში მოაგვარებს, სავარაუდოდ ხუთშაბათს, და კიდევ ერთი წელი დარჩება თავის რიგით მესამე გუნდში.

აღსანიშნავია, რომ „ჰიუსტონს" სურდა უფრო მეტხანს დაეტოვებინა თავისთან ბებერი სუპერვარსკვლავი, მაგრამ სერ ჩარლზის კატეგორიული უარის შემდეგ ერთწლიან კონტრაქტზეც დაყაბულდა. ერთი ხანობა ბარკლი ამბობდა, შესაძლოა, სხვა გუნდში გადავიდე, ანაც სულ წავალ კალათბურთიდანო, მაგრამ იგი დარჩა „ჰიუსტონში" და, შესაბამისად, კალათბურთში.

ბარკლი ყოველი სეზონის შემდეგ იძახის კალათბურთიდან წავალო, მაგრამ შემდეგ ყოველთვის გადათქვამს თითქოსდა ურყევ აზრს, თავის ქომაგებს, როგორც თვითონ ამბობს, კიდევ ერთ კარგ სეზონს ჩუქნის. ეს პროცესი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. ბარკლის უპირველესი ოცნებაა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონისთვის განკუთვნილი ოქროს ბეჭედი მოირგოს თითზე და ამ მიზნისკენ ივლის, სანამ კალათში ბურთის ჩაგდების თავი ექნება და სანამ ჯანმრთელობა არ უმტყუნებს.

როდესაც ბარკლი მოედანზე შედის, თამაშში მთელ გულს, სულს და ჯიგარს დებს. ფარქვეშ ძალისმიერი ბრძოლებისა და შეტაკებებისთვის თავის არიდება, რა სერ ჩარლზის საკადრისია, ამიტომაც, მას მიუღია სულ მცირე ხუთი ისეთი ტრავმა, ბევრს რომ კალათბურთზე ხელს აიღებინებდა. 36 წლის ბარკლი თავის მე-16 სეზონს ყმაწვილკაცური ჟინით ელის: „ჩვენ მაინც გავხდებით ჩემპიონები" — ამბობს იგი და თანაგუნდელებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ბარკლი ფარქვეშეთის გამგებელია (მის შედეგს, საშუალოდ მატჩში 12,3 მოხსნას, მხოლოდ კრის ვებერის 13,0 მოხსნამ აჯობა შარშანდელ სეზონში), ფარის სიახლოვეს ილვაწებს ჰაკიმ ოლაჯუონიც, ბარკლის კბილა მოაზროვნე ცენტრი, ვისაც ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ჯანი ძველებურად ველარ მოსდევს. მათ შეეშველებათ ფრთა სკოტი პიპენი, ასევე გამოცდილი ვეტერანი, ვისაც შარშანდელი სეზონი ჩაუვარდა. ამ სამეულმა, თუ ტრავმებმა არ შეუშალა ხელი, ბევრს შეიძლება თავბედი აწყევლინოს. ბარკლის კიდევ ერთი ძლიერი მხარშიმდგომი გამოუჩნდა ახალბედა სტივ ფრენსენის სახით. ეს ყმაწვილკაცი ერთი კვირაც არაა, რაც ჰიუსტონელი გახდა და ქალაქელ გულშემატკივრობას მისი დიდი იმედი აქვთ. „ჰიუსტონს" კიდევ ჰყავს რამდენიმე არცთუ ურიგო მოთამაშე, მაგრამ მათზე საუბარი ახლა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, „როკიტსი" აქედანვე დავსახოთ ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად, მის რიგებში დარჩენილი ბარკლი კი იმ ნაპერწკალად, გუნდის დიდ პოტენციალიდან საჩემპიონო ცეცხლის გაჩაღება რომ ხელეწიფება.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აზიის ჩემპიონატი. 28.08-5.09. იაპონია**

# ჩინეთი აზიის თავშია

ჩინეთის ნაკრებმა აზიის ჩემპიონატის ფინალში 63:45 მოუგო კორეისას და კონტინენტზე უძლიერესის წოდებასთან ერთად 2000 წლის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა. ახლა სიდნეიში თამაშის უფლება 11 გუნდს აქვს: აშშ-ს, კანადას, იტალიას, ესპანეთს, საფრანგეთს, რუსეთს, ლიტვას, ანგოლას, ჩინეთს, იუგოსლავიას და ავსტრალიას. უკანასკნელი საგზურის მფლობელს ოკეანეთის ჩემპიონატი გამოავლენს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ტურნირს ავსტრალია მოიგებს, ოლიმპიადაზე მეორე ადგილზე გასული გუნდი წავა.

ჩინეთის ნაკრებმა მეთერთმეტედ მოიგო აზიის ჩემპიონატი.


XX საუკუნის სპორტსმენი

# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან"*** ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული".*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი

# US OPEN ზავი თიხის ფეხებზე

REUTERS ნიუ იორკიდან



ვინუს უილიამსმა წაქცეული მერი ჯო ფერნანდესი მოიკითხა

**რიჩარდ უილიამსის** გეგმასა და მისი ქალიშვილების სანუკვარ სურვილს, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ, გასულ უქმეებზე დიდი საფრთხე დაემუქრა.

შერეკილი მამიკო პირველმა უმცროსმა უილიამსმა — სერენამ ანერვიულა, რომლის მეტოქეც მესამე წრეში ბევრისთვის უცნობი, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი ამომავალი ვარსკვლავი კიმ კლაისტერსი იყო.

16 წლის ბელგიელი წლევანდელი უიმბლდონის მერვედფინალისტი გახლავთ, სადაც მან ამანდა კუტცერი გამოთიშა ასპარეზობას და მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ღია პირველობაზე პირველად მონაწილეობდა, დაკუნთული სერენას ხილვაზე ხელები ოდნავაც არ აჰკანკალებია.

კლაისტერსმა უილიამსს არაფერი დაუთმო, ძალას ძალა დაუპირისპირა და შესანიშნავი დარტყმებით არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე თავშეყრილი მაყურებლები არაერთხელ ალაფრთოვანა.

„იგი შესანიშნავად თამაშობდა. მას არა აქვს სუსტი მხარეები და ბევრი რამ ძალიან კარგად გამოსდის" — აღიარა მოგვიანებით სერენამ, რომელიც, როგორც წესი, ტრაბახში უფრო ძლიერია, ვიდრე მეტოქეებისთვის ეპითეტების დარიგებაში.

პირველი სეტის წაგების შემდეგ უმცროსი უილიამსი უკეთ ათამაშდა და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ გადამწყვეტ ხელში მაინც უფსკრულის პირას ამოყო თავი: კლაისტერსი 5:3 დაწინაურდა.

„სწორედ ამ დროს გადავწყვიტე, რომ ასე იოლად არ დავნებდებოდი, დავიღალე დიდი სლემის ტურნირებზე ადრეულ ეტაპზე წაგებისგან. ყურადღების მობილიზება და თავის გადარჩენა მართლაც ბრწყინვალედ მოვახერხე" — თავის შექება არ დავიწყებია პრესკონფერენციაზე სერენას.

შავკანიანი ამერიკელი ქებას მართლა იმსახურებდა: 3:5-დან მან ზედიზედ 14 ქულა მიითვალა, მეტოქეს ორჯერ მშრალზე აართვა მოწოდება და საბოლოოდ 4:6, 6:2, 7:5 მოიგო.

„ერთი ცუდი ჩვევა მაქვს, ყოველთვის ვჩქარობ. იმ მომენტში ცოტა მეტი უნდა მეფიქრა და იქნებ ყველაფერი სხვაგვარად დატრიალებულიყო. ეტყობა, ზედმეტად გავნერვიულდი, თუმცა ეს გაკვეთილად გამომადგება" — გული დასწყდა კლაისტერსს, რომელიც ახლა ბელგიაში სკოლას და ნამდვილ გაკვეთილებს დაუბრუნდება.

REUTERS ნიუ იორკიდან



ევგენი კაფელნიკოვი

კვირას „ოუფენზე" გვარიანად იწვიმა, მატჩები ორი საათით გვიან დაიწყო და რამდენჯერმე შეწყდა, თუმცა ერთეულებში ყველა შეხვედრის დროულად დასრულება მოხერხდა.

სწორედ წვიმას და ამით გამოწვეულ ანტრაქტებს უნდა უმადლოდეს ვინუს უილიამსი, რომ მეოთხედფინალის საგზური მოსალოდნელზე გაცილებით იოლად შერჩა ხელში.

საქმე ის არის, რომ მისმა მეტოქემ, თანამემამულე მერი ჯო ფერნანდესმა მატჩი მეტად აგრესიულად დაიწყო და პირველ სეტშიც იოლად იმარჯვა. მერი ჯო ამაზე შეჩერებას აშკარად არ აპირებდა, მაგრამ კორტი მოულოდნელად განახლებულმა თავსხმამ დაასველა, ძვალტყავა ამერიკელს ფეხი დაუცურდა, მტკივნეულად დაეცა და მაჯა-ბარძაყი დაიზიანა.

ტრავმები მაინცდამაინც მძიმე არ გამოდგა, მაგრამ შესვენების შემდეგ ფერნანდესს, რომელმაც როლან გაროსზე სერენა იმსხვერპლა, უკვე ხეირიანი წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ ჰქონდა — 6:2, 1:6, 0:6.

ამასობაში კი უილიამსების ოჯახსა და მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს შორის ნაძალადევი, მაგრამ მაინც ოფიციალური ზავი დაიდო.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისი რიჩარდ უილიამსის პროგნოზმა, ფინალში ჩემი გოგოები ითამაშებენო, ძალიან გააღიზიანა და განაცხადა, მათ დიდი პირები აქვთ და ბევრს ლაქლაქებენო. პასუხი შვეიცარიელს სერენამ გასცა: მაგას განათლება აკლია (ჰინგისი სკოლიდან ადრე გამოვიდა ჩოგბურთის გამო), ცოტა უკეთესად უნდა იაზროვნოსო.

მოკლედ, სანამ საქმე თვალების ამოკორტნამდე მივიდოდა, WTA ტურმა თავად გამოიჩინა ინიციატივა და მხარეთა შერიგება ითავა: შაბათს ჰინგისის პრესკონფერენციაზე რიჩარდ უილიამსი გამოცხადდა, რომელსაც მარტინამ ავტოგრაფიანი მაისურა გადასცა, რასაც ერთმანეთზე გადახვევა და ტრადიციული ქართული გადაკოცნა მოჰყვა.

„რიჩარდი ხშირად მთხოვდა ავტოგრაფებს, ოღონდ უნდოდა, ისინი პირდაპირ ხელზე მომეწერა. მე უარს ვეუბნებოდი, დაიბან და მოგცილდება-მეთქი. ახლა კი ამ ავტოგრაფისთვის ზედგამოჭრილი დრო იყო".

მაგრამ ენად გაკრეფილი ჰინგისი რისი ჰინგისი იქნებოდა, ბოლო სიტყვა მაინც თავისთვის რომ არ დაეტოვებინა: „ისე, საკმაო განათლება მივიღე. აბა, რომელი ჩოგბურთელი საუბრობს სამ ენაზე? სკოლა კარგია, მაგრამ არც ჩოგბურთი და ბევრი ფულია ცუდი... რიჩარდის კომენტარები სასაცილოა, რადგან უილიამსებს მე ვჯობივარ, პირველი ჩოგანი ხომ მე ვარ და არა ისინი".

კაცებს შორის უქმეებზე თითქმის არც ერთი მოულოდნელობა არ მომხდარა, ფავორიტებმა მერვედფინალს თითქმის უპრობლემოდ მიაღწიეს.

მესამედ განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმა ზედიზედ მეშვიდე პირად შეხვედრაში დაჯაბნა „ოუფენის" 1997 წლის ნახევარფინალისტი იონას ბიორკმანი 6:1, 6:4, 6:4, მერე კი რიჩარდ უილიამსის მაგალითს მიბაძა და პროგნოზების კეთების უმადურ საქმიანობას მიჰყო ხელი.

„გამარჯვების რეალური პრეტენდენტები სულ სამნი დავრჩით — რიჩარდ კრაიჩეკი, მე და ანდრე აგასი. ჩვენს გარდა აქ მომგები არავინაა, ამას გამოცდილებაზე დაყრდნობით ვამბობ, რამდენზეც გინდათ, იმდენზე დაგენიძლავებით. გარანტიას გაძლევთ, რომ „ოუფენს" ჩვენ სამიდან ერთი მოიგებს" — ისე, ავსტრალიის ღია პირველობაზე კაფელნიკოვის პროგნოზი ზუსტი გამოდგა.

**.ავთანდილ სვანიძე**

**ოთხშაბათს** ევგენი კაფელნიკოვმა დიდი ხნის ოცნება აისრულა — საკეტბურთო გუნდ „ნიუ იორკ იანკიზის" მხურვალე გულშემატკივარი, როგორც იქნა, საყვარელი კლუბის თამაშს ბრონქსში პირადად დაესწრო.

სოჭელი ჟენია ყოველთვის როდი იყო გატაცებული კეტბურთით: ჯერ ჰოკეისა და მოსკოვის „სპარტაკის" საფეხბურთო გუნდის ქომაგი იყო, თუმცა აშშ-ში ხშირმა ვიზიტებმა და თამაშის წესების სწავლამ თავისი გააკეთა და რამდენიმე წელია, რუსი დიდი ტრადიციების მქონე „იანკიზის" ფან-კლუბში ჩაეწერა.

„კეტბურთი მარტივი თამაშია, ბურთს ურტყამ და გარბიხარ" — მიაჩნია მსოფლიოს მესამე ჩოგანს, რაშიც ამ სპორტით თავგზააბნეული ბევრი ქართველი, ალბათ, არ დაეთანხმება.

როგორც ჟენიამ ინტერვიუში განაცხადა, საყვარელი გუნდის წაგებამ იგი შეიძლება დეპრესიაში ჩააგდოს. შარშან, როდესაც „იანკები" მსოფლიოს სერიაში იმარჯვებდნენ, კაფელნიკოვმა ტელევიზორის საყურებლად ვერ მოიცალა, მაგრამ ყველა მატჩი კასეტაზე ჩააწერინა და შინ, სოჭში გააგზავნინა.

* * *

**ჩოგბურთსა** და კეტბურთის კავშირი მარტო ევგენი კაფელნიკოვით არ ამოიწურება: მარი პირსი უკვე რამდენიმე წელია, „კლივლენდ ინდიანზის" ვარსკვლავ რობერტო ალომართან მეგობრობს.

აშშ-ის ღია პირველობაზე ტანმშვენიერი ფრანგის მორიგი პრესკონფერენცია მიმდინარეობდა, როდესაც ერთმა ჟურნალისტმა მარის თითზე ბეჭედი შეამჩნია და სენსაციური ახალი ამბის მოლოდინში ჩოგბურთელს კითხვით მიმართა.

— ეს ნიშნობის ბეჭედი ხომ არ არის?

— კი — არ დაუმალავს პირსს.

— როდის მოხდა ყველაფერი?

— წელიწადნახევრის წინ.

* * *

**მაგრამ** თუ პირსის შემთხვევაში ნიშნობაზე შორს საქმე ჯერჯერობით არ წასულა, ტიმ ჰენმანს უახლოეს ხანებში ერთბაშად რამდენიმე ჩოგბურთელი მიბაძავს და საქორწინო უღელში თავს გაყოფს.

ერთ-ერთი მათგანი ჰენმანთან ინგლისის პირველი ჩოგნის ტიტულისთვის მოცილე გრეგ რუზეცკიცაა, რომელსაც წლის დარჩენილი თვეებისთვის მეტად პრაქტიკული და გადატვირთული კალენდარი აქვს.

„აშშ-ის ღია პირველობას მოჰყვება ტურნირები ბაზელში, ვენაში, მერე ერთი კვირა შევისვენებ, მერე შტუტგარტი, პარიზი, სტოკჰოლმი ან მოსკოვი, მერე იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზებ ჰანოვერში, მერე ცოლი მომყავს, მერე ვემზადები მომავალი სეზონისთვის".

თუმცა გრეგმა სასტიკად იუარა, საქორწინო ცერემონიის ზუსტი ადგილი და დრო გაემხილა ჟურნალისტებისთვის.

სხვათა შორის, რუზეცკის და ჰენმანს კიდევ ბევრი რამ აქვთ საერთო: ორივე ერთ დღეს — 4 სექტემბერსაა დაბადებული და ორივეს მეუღლეს ლუსი ერქმევა. (რუზეცკის საცოლე გვარად კონორია, ჰენმანის — ჰელდი).

* * *



არანჩა სანჩეს ვიკარიო

**გათხოვებას** აპირებს როლან გაროსის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არანჩა სანჩეს ვიკარიოც — აგვისტოში იგი ჟურნალისტ ხუან ვეილისზე დაინიშნა.

მშობლიურ ესპანეთში რამდენიმე კვირაა, არანჩა სულ ამის შესახებ პასუხობს კითხვებს, ამიტომ ძალიან გაიკვირვა, როდესაც „ფლაშინგ მედოუზზე" ერთმა ჟურნალისტმა მისი საქმროს გვარი იკითხა.

„რა, მართლა არ იცით? თქვენ, ალბათ, ერთადერთი ხართ, ვისაც ჯერაც არ გაუგია... უკვე წლეულს გაცილებით ნაკლებ ტურნირზე ვთამაშობ და გაისადაც ასე გავაგრძელებ. ქორწილი შუაგული ზაფხულისთვისაა დაგეგმილი და ჩოგბურთი ხელს არანაირად არ შეუშლის".

ყველასდა საბედნიეროდ, არანჩა გვარის დაგრძელებას არ აპირებს: „არა, ისეც ძალიან გრძელია. მგონი, სანჩეს-ვიკარიოც ზედმეტია და წარმოიდგინეთ, რა იქნება, ვეჰილისიც რომ დავუმატო. შეიძლება პენსიაზე გასვლის შემდეგ პირიქით, ცოტათი შევიმოკლო".

* * *

**კიდევ** ერთი საქორწინოდ გამზადებული ჩოგბურთელი ამერიკელი მერი ჯო ფერნანდესია. საქმრო, IMG-ში მომუშავე ლინდსი დევენპორტის აგენტი ტონი გოდსიკი მას თავისმა მენეჯერმა, გევინ ფორბსმა გააცნო, ქორწილი კი აპრილისთვისაა დანიშნული.

პუერტორიკოული წარმოშობის ფერნანდესის ხელი რომ მოეპოვებინა, გოდსიკს თურმე მთელი მისი ძველმოდური ოჯახის მოწონება უნდა დაემსახურებინა.

„დედაჩემმა ყველა მათგანი თავად უნდა შეამოწმოს. ტონიმ გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა, ჩვენ არ დავქორწინდებოდით, ეს რომ ვერ მოეხერხებინა" — გაანდო ჟურნალისტებს 28 წლის მერი ჯომ.

ფერნანდესს საქორწინო კაბის დიზაინის შერჩევაში თურმე უმცროსი უილიამსი, სერენა ეხმარებოდა.

„სერენას რამდენიმე საინტერესო იდეა ჰქონდა. მას სურდა, კაბა მხოლოდ თეთრი არ ყოფილიყო და სხვა ფერებთანაც შეგვეხამებინა".

* * *

**თუ** ტოტალიზატორში 5-10 ლარი წააგეთ და მეტად უგუნებოდ ბრძანდებით, გაითვალისწინეთ, რომ ქვეყნად თქვენზე გაცილებით უიღბლოებიც არიან.

აბა, როგორ უნდა იგრძნოს თავი ერთმა აზარტულმა ავსტრალიელმა, რომელმაც აშშ-ის ღია პირველობის პირველი წრის მატჩებზე 22 ათასი დოლარი დაკარგა?

ინდური წარმოშობის კლიენტი სიდნეის „სენთარბეთში" 16 ათასს იმაზე ჩამოვიდა, რომ პიტ სამპრასი ჩემპიონი გახდებოდა და 22 ათასს იმაზე, რომ პატრიკ რაფტერი სედრიკ პიოლინს დაამარცხებდა.

საბოლოოდ ტრავმის გამო სამპრასმა თამაში საერთოდ ვერ მოახერხა და ბუკმეიკერმა 16 ათასი უკანაც დააბრუნა, რაფტერი კი მხარის ტკივილის გამო პიოლინს მეხუთე ხელში დანებდა.

## უქმეების ყველა შედეგი

### კაცები

მესამე წრე: **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:1, 4:6, 6:3, 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1, 6:4, 6:4; **მარსელო რიოსი** (10, ჩილე) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:3, 6:4, 6:4; **რიჩარდ კრაიჩეკი** (12, ჰოლანდია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:4, 6:1, 6:4; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (15, გერმანია) 4:6, 6:4, 6:4, 6:2; **ვინსენტ სპედეა** (აშშ) — ლორენს ტილმანი (იტალია) 6:2, 4:6, 6:7 (4:7), 6:2, 7:6 (7:3); **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 3:6, 6:3, 3:6, 6:4, 6:4; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:2, 6:1; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2, 6:4; **ტოდ მარტინი** (7, აშშ) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:3 — ტრავმა; **გრეგ რუზეცკი** (9, ინგლისი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 7:5, 3:6, 6:3, 6:4; **ტომი ჰაასი** (14, გერმანია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:7 (7:9), 6:3, 6:4, 7:6 (7:3); **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 7:5, 4:6, 7:6 (7:1); **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:1, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:0, 5:1 — ტრავმა; **სლავა დოსედელი** (ჩეხეთი) — ფრედრიკ იონსონი (შვედეთი) 7:6 (7:5), 7:6 (8:6), 6:3.

### ქალები

მესამე წრე: **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:1; **მონიკა სელეში** (4, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:2, 6:3; **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:0, 7:6 (7:4); **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 4:6, 6:2, 7:5; **ჟული ალარი** (9, საფრანგეთი) — ამელი კოშტო (საფრანგეთი) 5:2 — ტრავმა; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ნატალი ტოზია (11, საფრანგეთი) 6:3, 1:6, 6:1; **კონჩიტა მარტინესი** (16, ესპანეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:2, 2:6, 6:4; **საბინე აპელმანსი** (ბელგია) — მაუი სერნა (ესპანეთი) 0:6, 6:1, 6:3.

მერვედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (10, ესპანეთი) 6:4, 7:5; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 2:6, 6:1, 6:0; **ბარბარა შეტი** (12, ავსტრია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:0, 6:1; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — ამელი მორესმო (15, საფრანგეთი) 6:4, 6:4.

# დანიელებთან ზოგჯერ არ გვეყოფა



ვახტანგ მეიფარიანი (№7) მეურვეს ხშირად უსხლტებოდა

## ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპი

**სტუ-შევარდენი (საქართველო) — სტროვოლოუ (კვიპროსი)**
**26 (13):14 (6)**

სტუ-შევარდენი: ერაძე, კენჭაძე; ქობელაშვილი (5), ყიფიანი, კეკელიძე (2), გვაზავა (1), მეიფარიანი (4), ანდრიაშვილი (1), დათუკაშვილი (3), გელაშვილი (6), ორჯონიკიძე (4), ფერაძე
სტროვოლოუ: ონოვერტოვი, გონატასი; ფილარეტოუ (1), ჰოსუ (1), ეფსტათიადისი (1) კოკინოსი (2), დაკისი (2), პელასელისი (1), იოანოუ, პალაონტასი (3), ტერიდესი (1), ობედი (1)
მსაჯები: პლესა, პრიპასი (ორივე რუმინეთი)
კომისარი: მაკაროვი (რუსეთი)

ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო რაუნდის ეს საპასუხო შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტდა. მომდევნო ეტაპზე გამსვლელთა ვინაობა, ფაქტობრივად, კვიპროსშივე გაირკვა, როცა ჩვენებურებმა მასპინძლებს 7-ბურთიანი უპირატესობით სძლიეს. თუმცა შაბათს სპორტის სასახლეში ჩატარებულ მატჩს ქართველი ხელბურთელებისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 11 სექტემბერს ხომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საპლეიოფო ეტაპზე დანიელებს უმასპინძლებს, „სტუ-შევარდენი" კი ნაკრების ბირთვია. სკანდინავიელებთან ორი მატჩის ჯამში თუ ვიმარჯვეთ, გავალთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც გაისად ხორვატიაში ჩატარდება. ერთი სიტყვით, „სტროვოლოუსთან" შეხვედრა ჩვენებს დანიის უკეთ დასახვედრად უნდა გამოეყენებინათ. თუ თამაშის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ კიდევ ბევრი რამ აქვთ დასახვეწი, განსაკუთრებით დაცვაში, მაგრამ ჩრდილოევროპელებთან წარმატების გარკვეული შანსები მაინც გვაქვს, რადგან ზოგჯერ ქართველები მართლაც ძალიან კარგად მოქმედებდნენ და იქნებ ეს „ზოგჯერ" სტაბილურიც გახდეს.

შეხვედრა სტუმრებმა დაიწყეს და პირველივე შეტევა გააცუდეს. მათ არც ქართველები ჩამორჩნენ და დაახლოებით ოთხი წუთის მანძილზე გუნდებმა ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს. ხან მეკარეები ირჯებოდნენ კარგად, ხან ტყორცნები იყო არაზუსტი. მეხუთე წუთზე კი პირველმა თავი პალაონტასმა გამოიჩინა, რომელმაც „სტუ-შევარდენის" დაცვა ცენტრიდან გაარღვია და ერაძესაც აჯობა. რაკი მასპინძელთა მეკარე ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ როლანდ ერაძემ მთელი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა, ისე, როგორც სჩვევია ხოლმე და რამდენიმე ძნელი ბურთიც მოიგერია.

ჩვენებმა პირველი ბურთი მე-8 წუთზე გაიტანეს. ეს დათუკაშვილმა შესძლო შორეული ტყორცნის შემდეგ. მალევე ქობელაშვილმა კონტრშეტევისას საკმაოდ შორი მანძილიდან ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში შეაგდო და თავისიანები დააწინაურა. ამის მერე, მე-15 წუთამდე, გოლები მხოლოდ მასპინძლებს გაჰქონდათ და ისინი 7:1 დაწინაურდნენ. დროის ამ მონაკვეთში „სტუ-შევარდენის" რიგებში საუკეთესო ვახტანგ მეიფარიანი იყო, რომელმაც სამჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი და თანც ზორბა ჰოსუსაც არაერთხელ იოლად დაუსხლტა.

ამის მერე „სტროვოლოუმ" პელასელასის წყალობით ანგარიშში სხვაობა ერთი ბურთით შეამცირა და იქვე ჰოსუს მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მან 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნისას ერაძეს ვერ აჯობა. სამაგიეროდ, საპასუხო შეტევისას ორჯონიკიძემ ივარგა 7-მეტრიანის ხაზიდან, ლამაზი კომბინაციის შემდეგ მეიფარიანმაც გაიტანა და პირველი ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ანგარიში 9:3 გახდა.

ამის მერე თამაში ცოტა ჩაწყნარდა და მხოლოდ ტაიმის ბოლოს მოხდა მეტად უსიამოვნო ამბავი. მსაჯთან კამათისთვის ერაძე ორი წუთით გააძევეს მოედნიდან. ამ დონის სპორტსმენს ასეთი რამ არ უნდა შეეშალოს. იმ დღეს ამით ბევრი არაფერი დაშავებულა, მაგრამ ეს დანიასთან რომ მოხდეს? თანაც ჩვენები უკვე ისედაც რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ და შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე კვიპროსელებმა გოლიც გაგვიტანეს.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა. უპირატესობას კვლავაც „სტუ-შევარდენი" ფლობდა. კონტრშეტევებზე კარგად თამაშობდა გიორგი ქობელაშვილი, დანარჩენებიც იერიშებისას თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ და ანგარიშში სხვაობაც თანდათან იზრდებოდა. ოღონდ ეგ იყო, დაცვაში შეიქმნა ცოტა პრობლემები. მაგალითად, როცა კვიპროსელები ხაზზე ზურგს უკან პასით აწოდებდნენ ერთმანეთს ბურთს, ერთ-ერთი მათგანი თითქმის ყოველთვის პირისპირ რჩებოდა ერაძესთან, რომელსაც საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა სჭირდებოდა.

მატჩის ბოლოს კი „სტროვოლოუს" კარში 9-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნა დაინიშნა, შეხვედრის დრო ამოწურული იყო და ამიტომაც ვინმეს პირდაპირ კარში უნდა ეტყორცნა. ეს ლევან გელაშვილმა გააკეთა და მატჩის უკანასკნელი გოლიც გაიტანა — 26:14. თუმცა 26:14 დამთავრდა შეხვედრა თუ 26:13, ცოტა გაურკვეველია. ჟურნალისტებმა, რომლებიც გოლების ავტორებს ვინიშნავდით და, შესაბამისად, ანგარიშის ცვლილებასაც ალვნუსხავდით, ჩვენს კარში გატანილი მხოლოდ 13 გოლი დავთვალეთ და „სტროვოლოუს" მოთამაშეებს 13 გოლი ჩავუწერეთ, სპორტის სასახლის ტაბლომ კი 26:14 დააფიქსირა. ისე, მანამდეც რამდენიმე შეცდომა იყო ტაბლოზე (ერთხელ ძელს მოხვედრილი ბურთი ჩაუთვალეს სტუმრებს), ასე რომ, მგონი, 26:13 დამთავრდა, თუმცა ოფიციალურ ანგარიშად 26:14 გაფორმდა.

**გაიოზ თალაკვაძე**



სერგო დათუკაშვილმა (ბურთით) მეტოქეთა ეს ალყაც გაარღვია

## მატჩის შემდეგ

*ზაზა დოლიძე* — დღეს ჩვენთვის მთავარი შედეგი იყო. ამიტომ მოგებით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი არა. თავადაც ნახეთ, გუნდი ფიზიკურად მზადაა. ბიჭებს ცოტათი რომ არ ენერვიულათ, უფრო დიდი ანგარიშით მოვიგებდით, მაგრამ ფსიქოლოგიური ბარიერი საბოლოოდ მაინც დავძლიეთ. ახლა ხელბურთელები მეცხრე ცაზე არიან და მომდევნო მეტოქესთან, ზაპოროჟიეს გუნდთან შეხვედრამდე რეალობის შეგრძნება უნდა დავუბრუნოთ. მეტოქე კი ძალიან ძლიერია. ჩემპიონთა ლიგამდე დიდი ბრძოლა გველის.

— საწყის წუთებში რომ გოლი ვერ გაიტანეთ, რისი ბრალია?

— დაძაბულობის. ბიჭებზე მოულოდნელმა უსიამოვნო ამბებმაც იმოქმედა, რის გამოც ალეკო ბოყოჩაძემ ვერ ითამაშა. ის 1996 წელს იჯარით გავუშვით მაკედონიურ „ვარდარში", რომელთანაც ხელშეკრულება არ გაუფორმებია. სამაგიეროდ, კონტრაქტი აკავშირებს „სტუ — შევარდენთან" 2002 წლამდე. ბოყოჩაძემ 1998 წლის 27 დეკემბერს დატოვა ეს კლუბი და მერე იქ აღარ ყოფილა. ჩვენ „ვარდარის" პრეზიდენტს ვაცნობეთ, რომ ვიბრუნებდით ალეკოს. ისიც თანახმა იყო, მაგრამ ახალი სეზონისთვის მაინც შეიყვანეს თავიანთ განაცხადში. ჩვენებური ერთბაშად ორი კლუბის შემადგენლობაში მოხვდა. ამისთვის ევროპის ხელბურთის ფედერაცია პასუხს ჩვენგან ითხოვს, რაც უკვე გავუგზავნეთ. თუმცა გართულებებს მაინც მოვერიდეთ და ბოყოჩაძე არ ვათამაშეთ. დღეს ჩვენ ევროპაში გვაფასებენ, რადგან კონტინენტის პირველობის პლეი ოფში გავედით. სხვა ლიგაში რომ ვიყოთ, შეიძლება აქამდე უკვე დავესაჯეთ, პირველ მატჩში ბოყოჩაძე რომ ვათამაშეთ და 0:10 ნაგება ჩაეთვალათ. ახლა ასეც რომ მოხდეს, მაინც არ გვეშინია, რადგან დღეს 12 ბურთით მოვიგეთ.

— დანიასთან სათამაშოდ როგორ ემზადებით?

— მეტოქეზე საკმაო ინფორმაციას ვფლობთ. მათ შორის ვიდეო-ვიდეოკასეტებსაც, რომლებსაც ბიჭები ყოველდღე უყურებენ. დღეს ჩვენ თითქმის იმავე მოდელით ვითამაშეთ, როგორითაც დანიასთან თამაშს ვაპირებთ. თუმც ზოგი რამ ჯერ კიდევ დასახვეწი და გამოსასწორებელია. სამწუხაროდ, ცუდი ამბები არ გველევა. ახლაც, იტალიიდან ტიტე კალანდაძე დაგვიბრუნდა, მაგრამ მას ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთებია და 11 სექტემბერს დანიელებთან ვერ დაგვეხმარება. თბილისში მალე ჩამოვა გარი თურქია, რომელიც დიდი ძალაა. გუნდში მცირე ცვლილებებიც მოხდება. ამ დღეებში ტრაბზონის გუნდთან გველის ამხანაგური თამაშები თბილისის სპორტის სასახლეში.

*ვახტანგ მეიფარიანი:* დაძაბული თამაში მოვიგეთ, თუმცა მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ. ბოლოს თავდასხმაში გაგვიჭირდა. ერთი-ორჯერ რუმინელი მსაჯებიც მიემხრნენ მეტოქეს, ალბათ, რუმინელი ლეგიონერების ხათრით. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მსაჯებმა ძალიან დაგვჩაგრეს. ისე კი, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩა. გუნდი ეპიზოდურად კი თამაშობდა კარგად, მაგრამ უკეთ გვემოქმედა და უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. თუ არ მოვუმატეთ, დანიასთან გაგვიჭირდება, ზაპორიჟიე კი შედარებით სუსტი გუნდია.

*გიორგი ქობელაშვილი:* ვითამაშეთ, როგორც შევძელით, ჩემი თამაშით კი კმაყოფილი არ ვარ. რაც შეეხება ვარდნაში გატანილ გოლებს, ეს ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგია. იოლ გამარჯვებას არ ველოდი, მაგრამ ყველას მეტი შეგვიძლია.

# იგივენი და ზოგი სხვა

**გუშინ** საქართველოს ნაკრებმა დანიელებთან ევროჩემპინატის საპლეიოფო თამაშებისთვის მოსამზადებელი კიდევ ერთი, ამჯერად ამხანაგური მატჩი გამართა თბილისის სპორტის სასახლეში. მისი მეტოქე თურქეთის ქალაქ ტრაბზონის მუნიციპალიტეტის გუნდი იყო.

საქართველოს ნაკრები თითქმის ისეთივე შემადგენლობით დაუხვდა მეტოქეს, როგორითაც „სტუ-შევარდენი"—„სტროვოლოუს". ოღონდ ამჯერად ალექსანდრე ბოყოჩაძემაც ითამაშა. „მამულიდანაც" დაიმატეს ერთი-ორი მოთამაშე. ცხადია, ვერ ითამაშა ახალნაოპერაციევმა ტიტე კალანდაძემ, ჯერ კიდევ არ ჩამოსულა გარი თურქია, რომლის არყოფნაც საკმაოდ საგრძნობი იყო. მას თბილისში დღეისთვის ელიან.

როცა მატჩის დასრულების მერე მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს ჩვენების თამაშის შეფასება ვთხოვე, პირდაპირ პასუხს დიპლომატობა არჩია. ეს ამხანაგური მატჩია და ტაქტიკური ვარიანტების გამოსაცდელად ვიყენებთო, მიპასუხა, მაგრამ არა მგონია, არაერთმა ტექნიკურმა თუ ტაქტიკურმა წუნმა კმაყოფილი დატოვა. აკი გუშინ უფრო მეტი ინერვიულა, ვიდრე — შაბათს.

კვიპროსელებთან მატჩისგან განსხვავებით, დასაწყისში ჩვენები ძალიან აგრესიულად გამოიყურებოდნენ და პირველი სამი ტყროცნიდან ყველა ზუსტი აღმოჩნდა. იყო იმედი, რომ თამაშს ამ ტემპში გააგრძელებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის მიწურულს რვა წუთის (!) განმავლობაში გოლი ვერ გაიტანეს. ყველაზე მეტად ამ დროს იგრძნობოდა თურქიას არყოფნა. გუნდს განსაკუთრებით მისი დაბლიდან გატყორცნილი ბურთები სჭირდებოდა (რასაც ვერავინ აკეთებს გუნდში, თურქებმა კი ორჯერ გაგვიტანეს). პასიური იყო დათუკაშვილი (2 გოლი), თავის შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ ბოყოჩაძე (6 გოლი) და ორჯონიკიძე (5 გოლი). მეორე ტაიმში მას არც უთამაშია. სამაგიეროდ, შემოვიდა გელაშვილი და თამაშიც გამოაცოცხლა. საერთოდ, მეორე ტაიმის დასაწყისი სანახავად კარგი იყო. მწვრთნელების დარიგებების წყალობით, კომბინაციებმა მწყობრი, თამაშმა კი დალაგებული სახე მიიღო. მოგვიანებით ერთი ორჯერ სტუმრებმა დაცვაც მშვენივრად გაგვირღვიეს. გუნდისგან იდეალურ თამაშს არ მოვითხოვთ, მაგრამ როცა ამას თურქები და კვიპროსელები გვიკეთებენ, დანიელები რას გვიზამენ? რამდენჯერმე ჩვენებს ხაზის გაშლაც გაუჭირდათ. და კიდევ — გუნდი, რომელიც კოზირად სისწრაფეს იხდის, ამ მხრივ ცოტა უფრო მეტს უნდა აკეთებდეს.

...წინ კი სულ მასპინძლები იყვნენ. ტაიმი 16:10, თამაში კი 29:25 მოიგეს.

**ირაკლი თავაძე**



## საქართველოს ჩემპიონატი

**მეორე ტური**

ქუთაისი. 5 სექტემბერი

**აია 5:34 (5:19) ყოჩები**

აია: ბუხაიძე, ბალაჩივაძე (კუხიანიძე), კეპულაძე, ლევიძე (ორმოცაძე), კოსტავა, მაღლაკელიძე, ცნობილაძე, კიკვიძე (წიწილაშვილი), კიკაჩეიშვილი (რ. ჩუბინიძე), შვანგირაძე, სვინტრაძე (ქობალია), თ. აშვეთია, ჩხაბერიძე, ჩორგოლიანი, ტუკვაძე
1ლ — შვანგირაძე
ყოჩები: კიკუაშვილი, ფირიაშვილი, პაპავა (ესაკია), გუშარაშვილი (ურუშაძე), ხურცილავა, სოფრომაძე (სულთანიშვილი), ს. ჭელიძე, ტყეშელაშვილი, გიორხელიძე (ხელაძე), ტეფნაძე, ბარძიმაშვილი, საკანდელიძე, იმნაძე (წიკლაური), პეტრიაშვილი, ლიპარტელიანი
6ლ — სოფრომაძე (2), ლიპარტელიანი, ტეფნაძე, ურუშაძე, ფირიაშვილი; 2გ — ტყეშელაშვილი
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

# კლასი კლასია

ეს შეხვედრა, ჯერ კიდევ მეორე ტურისა, ჩემპიონატის კალენდრით ოთხი თვის წინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაშინ ამ მატჩს საპირველმაისოდ ქუთაისში მოსკოველ ვეტერანთა სტუმრობამ შეუშალა ხელი. კაცმა რომ თქვას, ადრე ჩატარდებოდა თუ გვიან, არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ამ წყვილში მჯობნის ვინაობას მაშინაც თვალდახუჭული გამოიცნობდით და ახლაც...

ჯერ მხოლოდ ტახტშერყეული ჩემპიონი გათამაშებაში თვენახევრიანი ანტრაქტის შემდეგ, ბუნებრივია, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას ეცდება, „ყოჩებს" ხომ ჯერაც სათქმელი აქვთ საბოლოო სიტყვა.

რა შანსი ჰქონდა ამ შეხვედრაში „აიას"? არავითარი, ოღონდ, ხომ იცით, ცდა ბედის მონახევრეაო. მასპინძლები ისე ეკვეთნენ მეტოქეს, როგორც ტოლი ტოლს. საწყის ხუთ წუთში აიელები ორჯერ ახლოსაც იყვნენ ყოჩთა ლელოსთან, მაგრამ შიგ შეღწევა არ დასცალდათ. მერე შვანგირაძემ 15 მეტრიდან არეკნით დარტყმა სცადა და, ბოლო წამს დაუფარეს. მოვლენათა ასეთი განვითარება, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონს ხელს არ აძლევდა და ძალისმიერი თამაში უმალ ტემპიანში გადაიყვანა. აქ კი აშკარად გამოიკვეთა სტუმართა უპირატესობა. ისინი მოედნის მთელ სიგანეზე ხელით სწრაფად ათამაშებდნენ ბურთს და „აიასაც" გაუჭირდა მძლავრი იერიშების მოგერიება.

25-ე წუთზე იყო, ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ლიპარტელიანმა მარდად შემოურბინა 22-მეტრიან ხაზთან გამწკრივებულ აიელებს და თავისიანები დააწინაურა. ხუთ წუთში ყოფილი თანაგუნდელები აღარც სოფრომაძემ დაინდო, მირზამ ეფექტურად გაარღვია ქუთაისელთა დაცვა. ტაიმის მიწურულს „აიამ" იმდენი იძალა, შვანგირაძის ლელოთი ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ სულ ეს იყო. მეორე ტაიმში მოედანზე „ყოჩები" დომინირებდნენ და, სიმართლე თუ გინდათ, კიდევ ოთხმა ლელომაც კი ვერ ასახა სტუმართა დიდი უპირატესობა. რას იზამ, კლასი კლასია. „ყოჩებს" ის ნამდვილად არ აკლია, „აია" კი მისგან შორსაა.

**იუზა ქაციტაძე** ქუთაისიდან



პენი ჰეინსი

# სამხრეთში რეკორდების ეპიდემიაა

ცურვაში წყნარი ოკეანის თამაშების ტრიუმფატორებმა მსოფლიოს რეკორდების დამყარება ეროვნული ჩემპიონატებშიც გააგრძელეს.

22 წლის ავსტრალიელმა მაიკლ კლიმმა კინბერაში ეროვნულ ჩემპიონატზე 25-მეტრიან აუზში 100 მეტრზე ბატერფლაით რომ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი. მერე ამავე სახეობაში 50 მეტრზე ნახევარფინალურ და ფინალურ გაცურვაში სცადა იგივეს გამეორება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა კლიმს ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის აუზში საცდელი გაცურვის უფლება მისცეს, სადაც 1998 წლის დეკემბერში შეფილდში (ინგლისი) ხორვატი მილოშ მილოშევიჩის მსოფლიოს რეკორდი (23, 30) დაამხო — 23, 21.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე იმავე აუზში მან 4X200 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში საცდელ გაცურვაშიც დაამყარა მსოფლიოს რეკორდი.

— მშვენიერი კვირა გამოდგა — ამბობს კლიმი — ვგრძნობდი, რომ შემეძლო ასეთი შედეგების ჩვენება და იქნებ უკეთესიც. ვინ იცის, ასეთ ფორმას ოლიმპიურ თამაშებამდე შევინარჩუნებ, თუ ვერა. ამიტომ მანამ ძალა მერჩის, მსოფლიოს რეკორდებს ვამყარებ.

ავსტრალიის ჩემპიონატის პარალელურად იოჰანესბურგში სამხრეთ აფრიკის ამგვარი პირველობაც მიმდინარეობდა. იქ ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა პენი ჰეინსმა ასევე 25-მეტრიან აუზში 100 მეტრზე ბრასით ავსტრალიელი სამანტა რილეის მიერ 1995 წელს რიო დე ჟანეიროში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (1.05,70) დაამხო — 1.05,57.

აღსანიშნავია, რომ ეს ჰეინსის მეცხრე მსოფლიოს რეკორდია, რომელიც ამ შვიდი კვირის განმავლობაში დაამყარა, მაგრამ ამავე დროს მისი პირველი მსოფლიოს რეკორდი, რომელსაც 25-მეტრიან აუზში მიაღწია. მანამდე მან ჯანეტ ევანსის სახელობის ტურნირზე, მერე კი სიდნეიში წყნარი ოკეანის თამაშებზე 50-მეტრიან აუზებში 50, 100 და 200 მეტრზე ბრასით რვა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

— კმაყოფილი ვარ ჩემი შედეგით, მით უმეტეს, რომ ცივი წყალი იყო, მაგრამ ვფიქრობ, კვლავაც ბევრი მაქვს სასწავლი 25-მეტრიან აუზში ცურვისას — ამბობს ჰეინსი — ვგულისხმობ მობრუნებას, რაც უსათვალოდ ცურვისას ისე ვერ გამომდის, როგორც საჭიროა. არადა, „მოკლე“ წყალში მობრუნება ხომ ორჯერ მეტად გიწევს, ვიდრე „გრძელში“.

**გიგა გურასყმვილი**



# სად პოიშტოვნა, სად ნჰლ?

2-5 სექტემბერს ჩეხეთის ქალაქ ზლინში ტრადიციული „პოიშტოვნას თასი“ გაიმართა. მასში ევროპის ოთხი უძლიერესი ნაკრები მონაწილეობს — ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და რუსეთი. ჩვეულებრივ, ნჰლ-ს მოთამაშეებს იქ ვერასოდეს ნახავდით. თუმც ამჯერად სულ სხვაგვარად მოხდა. გამგზავრებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე რუსების თავკაცმა ალექსანდრ იაკუშევმა სენსაციური განცხადება გააკეთა — თუ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (IIHF) და ნჰლ შეთანხმდებიან, ოტავას ლიდერი ალექსეი იაშინი, რომელმაც თავის კლუბს ომი გამოუცხადა, „პოიშტოვნაზე“ ნაკრების ღირსებას დაიცავსო. საბოლოოდ იაშინი ზლინში არ ჩასულა, მაგრამ „სენატორებთან“ მისი დავა თუ დიდხანს გაგრძელდა, არაა გამორიცხული, იგი „ევროჰოკიტურის“ (ზლინის ტურნირი ამ შეჯიბრების პირველი ეტაპია) მომდევნო ტურნირებზე გამოჩნდეს. ზლინსა კი ლიგელის გარეშე მაინც არ დარჩა — ჩეხეთის ნაკრები ფინიქსის წამყვანმა ცენტრფორვარდმა, რობერტ რაიხელმა გააძლიერა. ეს ჰოკეისტი თავის დროზე თანატოლ იარომირ იაგრზე უფრო მეტად ფასობდა, მაგრამ მან ნჰლ-ში თავისი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა. ზაფხულში მან ფინიქსს ულტიმატუმი წაუყენა, სამ მილიონ დოლარზე ნაკლებს არ დავჯერდებიო (გასულ სეზონში 1,7 მილიონს იღებდა), მაგრამ „კოიოტებმა“ იუარეს. ფინიქსის მესვეურთა თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ რაიხელს გული სამშობლოსკენ მიუწევდა და „კოიოტების“ რიგებში ერთობ გულგრილად ირჯებოდა. რაღა გვეთქმის. რაიხელის ზლინში ასპარეზობაც სწორედ ამაზე მეტყველებს. ბოლოს დავძენთ, რომ ტურნირში შვედი ტყუპი ვუნდერკინდები — სედინებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც სულ ახლახან გადაწყვიტეს, რომ ნჰლ-ში დებიუტი სამომავლოდ გადადონ.

**სამველ ლარიბიანი**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დიდად წუხს გამოჩენილი მთამსვლელისა და სპორტული მოღვაწის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები ვწუხვართ ცნობილი ქართველი მთამსვლელისა და ამაგდარი სპორტული მოღვაწის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარეს ბერდია გუგავას მამის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო



# ფერისცვალება ვუელტაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს ველომრბოლთა სამი უმთავრესი ტურნირიდან ბოლო, „ვუელტა“ დაიწყო. პროლოგის გამარჯვებული ესპანელი იგორ გონსალეს გალდეანო (ვიტალიციო) გახდა. 6,1 კილომეტრიანი გზა მურსიას ქუჩებში მან 6 წუთსა და 58 წამში გაიარა. ტურნირის პირველ ინდივიდუალურ რბოლაში მეორე ადგილზე შეჯიბრის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ესპანელი აბრაამ ოლანო (ონსე) გავიდა. მან მოგებულთან მხოლოდ ერთი წამი დათმო. არადა, წვიმა რომ არა, „ვუელტას“ შარშანდელი გამარჯვებული ნაღდად პირველი იქნებოდა ვინც წლეულს ფერშეცვლილ ლიდერის მაისურას მოირგებდა. შარშან საერთო ჩათვლაში ლიდერი ყვითელ მაისურაში იყო გამოწყობილი, ისევე როგორც ეს „ტურ დე ფრანსზეა“, ახლა კი ყვითელი ოქროსფერმა შეცვალა.

გალდეანომ სტარტი ფავორიტებზე გაცილებით ადრე აიღო და ამიტომაც მშრალ გზაზე მოუწია რბოლამ. წვიმა კი მოგვიანებით წამოვიდა და ტრასაც სახიფათო გახადა. „პირველ ორ მოსახვევში დიდი სიფრთხილით შევედი, რადგან თავიდანვე გარისკვა არ ღირდა. აქ დაკარგული დროის მთლიანად ანაზღაურება კი ექვსკილომეტრიან გზაზე შეუძლებელი იყო“ — განაცხადა „ონსეს“ ლიდერმა ოლანომ.

მურსიაში გალდეანომ მნიშვნელოვან ტურნირზე პირველად მიაღწია წარმატებას. მან პროფესიული კარიერა ბასკურ გუნდ „ესკალტელში“ დაიწყო, ისევე როგორც მისმა ძმამ ალვარომ. დღეს კი ორივენი „ვიტალიციოს“ ღირსებას იცავენ.

ოლანოს გარდა არც ერთ ფავორიტს არ გამოუდვია დიდად თავი და პროლოგი ყველამ მშვიდად ჩაათავა. ლორან ჟალაბერმა (საფრანგეთი, ონსე), რომლისთვისაც ეს პირველი რბოლა იყო ტრავმის გამო ერთვიანი შესვენების შემდეგ, მხოლოდ 10 წამი წააგო, იან ულრიხმა (გერმანია, ტელეკომი) — 11, ალექს ცულემ (შვეიცარია, ბანესტო) — კი 15.

კვირას გამართული პირველი ეტაპი სამხრეთაფრიკელი რობერტ ჰანტერის (ლამპრე) გამარჯვებით დასრულდა. პელოტონმა მურსიადან ბენიდორმამდე 179 კმ გაიარა და ეტაპი ჯგუფური სპრინტით დაასრულა. ოქროსფერ მაისურას კი 32 წლის ფრანგი ჟაკი დიურანი (ლოტო) დაეპატრონა. მას, მართალია, არ მოუგია, ესპანელი სეზარ კალვოსთან (ფუენლაბრადა) ერთად 140 კმ მთავარ ჯგუფს მოწყვეტილმა იქროლა. საშუალედო ფინიშებზე მოპოვებული პრემიალური წამებით კი დიურანი საერთო ჩათვლის სათავეში% მოექცა. „არ მჯერა, რომ ლიდერი გავხდი. „ტურ დე ფრანსის“ დაწყებისას მეგონა მშვენიერ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ძალიან ცუდად გამოვედი; აქ კი პირიქით ხდება — მეგონა, ცუდ ფორმაში ვარ-მეთქი, მარამ ძალები საკმაოდ მქონია“ — თქვა დიურანმა, ვინც წლევანდელი „ტურის“ საბოლოო ჩათვლაში ბოლო ადგილზე იყო.

ორი ლტოლვილი ერთი ხანობა 12 წუთითაც უსწრებდნენ პელოტონს, მაგრამ ბენიდორმის მისადგომებთან მათ დანარჩენები წამოეწივნენ. ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე კი ჯგუფური წაქცევის დროს ჰანტერმა, უშაკოვმა და მაკივენმა სხვებზე მეტი ფხა გამოიჩინეს და გამარჯვებულის ვინაობაც ერთმანეთში გაარკვიეს. ინციდენტს კი იტალიელი დარიო ანდრიოტოს (საეკო) საავადმყოფში გაქანება მოჰყვა. ეს ამ გუნდისთვის უკვე მეორე დანაკლისია — ზედ „ვუელტას“ დაწყების წინ მისი მეორე წევრი, დიდი პეპელა მარიო ჩიპოლინი შინ გაემგზავრა, რადგან მისი მეუღლე ავადმყოფობას გაუწამებია და ქმრის გვერდით ყოფნა უსურვებია. წაქცევისას გერმანელი დანიელო ჰონდოც დაშავდა, თუმცა მას სასწრაფო დახმარება გზაზევე აღმოუჩინეს და მანაც ეტაპი, სახეზე სისხლშემხმარმა, მაგრამ მაინც დაამთავრა.

„დიურანთან ერთად შეტევა სასიამოვნო ყოფილა. იგი ძალიან კარგი ადამიანი და მრბოლია. ბოლო საშუალედო ფინიშზე მთხოვა, პირველობა დამეთმო და მეც დავთანხმდი, რადგან მისთვის უარის თქმა შეუძლებელია“ — თქვა რბოლის დამთავრების შემდეგ სეზარ კალვომ. ამ „ალსარების“ შემდეგ ზოგიერთმა დიურანის დისკვალიფიკაციაც მოითხოვა, მაგრამ ფრანგმა მათი გაჩუმება შეძლო: „გზაზე ყოველთვის ხდება ამ ტიპის შეთანხმებები და ეს ყველამ კარგად იცის. მე არაფერი გამიკეთებია, ისეთი სინდისის ქენჯნას ვგრძნობდე“.




გუშინ კი „ვუელტაზე“ მეორე ეტაპი გაიმართა. გერმანელმა მარსელ ვუსტმა სპრინტერებს „შეახსენა“, რომ ესპანეთი მის მეორე სამშობლოდ ითვლება და ალბასეტეში განლაგებულ ფინიშის ხაზზე იგი პირველი იყო. ალიკანტედან გამოვლილი 206 კილომეტრის მერე „ფესტინას“ მრბოლმა იტალიელებს, სტეფანო ძანინისა და ჯოვანი ლომბარდის აჯობა. საერთო ჩათვლაში ლიდერობა და შესაბამისად ოქროსფერი მაისურაც ფრანგმა ჟაკი დიურანმა შეინარჩუნა.

ბოლო კილომეტრებზე ვუსტის თანაგუნდელებმა თავიანთი სპრინტერისთვის უდიდესი სამუშაო შეასრულეს და გერმანელმაც მათ შრომა წყალში არ გადაყარა. 32 წლის ფესტინელმა მეცხრე გამარჯვება მოიპოვა „ვუელტაზე“ ტაქტიკურად სწორად წარმართული სპრინტის შემდეგ. ამ სეზონში კი ვუსტისთვის ეს მეექვსე წარმატება იყო და ყველა მათგანი ესპანეთის მიწაზე აქვს მოპოვებული.

ეტაპი პეპლებისთვის იყო ზედგამოჭრილი და ამიტომ თითქმის არც არავის უცდია სერიოზული შეტევის განხორციელება. ყველა ფავორიტი პელოტონში იყო და ძალების ტყუილად ხარჯვას არ აპირებდა. მხოლოდ იტალიელმა ფაბიო როსკიოლიმ სცადა იერიში. მას იმდენად უყვარს მთავარი ჯგუფისგან მოწყვეტით რბოლა, რომ ეს არც იყო გასაკვირი. როსკიოლის კომპანიონობა ესპანელმა ინიგო ჩორომ გაუწია. ისინი ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე გაექცნენ პელოტონს და წუთნახევრიან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ „ფესტინასა“ და ტვმის მრბოლების აქტიურობის გამო 44 კილომეტრის შემდეგ დათმეს პოზიციები. მერე კი სპრინტი იყო და ვუსტმაც იმარჯვა.

მესამე ეტაპი, რომელიც „ვუელტაზე“ ყველაზე გრძელია, ლა როდასა და ფუენლაბრადას შორის გაიმართება დღეს. მრბოლებს 229,5 კმ-ის გავლა მოუწევთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

| პროლოგი, მურსია, ინდივიდუალური რბოლა 61 კმ |
| --- |
| 1. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — 6 წთ 58 წმ. |
| 2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — + 1 წმ |
| 3. მიგელ პერდიგერო (ესპანეთი, ონსე) — + 3 |
| 4. ფრანკ ჰოი (დანია, პოსტალი) — + 4 |
| 5. გრიშა ნიერმანი (გერმანია, რაბობანკი) — + 4 |
| **I ეტაპი, მურსია — ბენიდორმი, 179 კმ** |
| 1. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, ლამპრე) — 41 სთ 38 წთ 13 წმ |
| 2. სერგეი უშაკოვი (უკრაინა, ტვმ) |
| 3. რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობანკი) |
| 4. მარიო ტრავერსონი (იტალია, საეკო) |
| 5. დანიელე გალი (იტალია, ამიკა) — ყველას იგივე დრო |
| **II ეტაპი, ალიკანტე — ალბასეტე, 206 კმ** |
| 1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — 4 სთ 46 წთ 04 წმ |
| 2. სტეფანო ძანინი (იტალია, მაპეი) |
| 3. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი) |
| 4. რობი მაკივენი |
| 5. ჯერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, ტვმ) — ყველას იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი, ლოტო) — 9 სთ 31 წთ 14 წმ |
| 2. იგორ გონსალეს გალდეანო — +2 წმ |
| 3. აბრაამ ოლანო — +3 |
| 4. რობერტ ჰანტერი — +3 |
| 5. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +4 |



AFP ბენიდორმიდან

უხაროდ ესპანეთი რა ესპანეთია... ხარი-ძეგლი პელოტონს დასცქერის

# US OPEN

**მერვედფინალი**

### ქალები

მონიკა სელეში (4, აშშ) — ჯენიფერ კაპირიატი (აშშ) 6:4, 6:3
სერენა უილიამსი (7, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:2

### გოგონები

მელისა დოუესი (ავსტრალია) — კატარინა ბასტერნაკოვა (16, სლოვაკეთი) — 6:1, 3:6, 6:1
ტუნდე ნემეტი (უნგრეთი) — ბარბარა ჰელვიგი (ავსტრალია) — 7:6 (7:2), 7:5

### კაცები

ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (10, ჩილე) 6:2, 6:3, 7:5
ანდრე აგასი (2, აშშ) — არნო კლემენტი (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 6:3



REUTERS ნიუ იორკიდან

მონიკა სელეში

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh3 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1

REUTERS ბრიუსელიდან



# უფლისწულნი

რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ რაც ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა (მარცხნივ) 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა? სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არც დასრულებულა, ბრიუსელში კი, მეფე ბოდუენის სტადიონზე მძლეოსნური „ოქროს ლიგის" ტურნირი მოეწყო. ჰოდა, მაიკლიც იქაა და იქაურ უფლისწულ ფილიპთან ერთად უღიმის ფოტოგრაფებს.

# მამა ნახე...

*აი, მსოფლიოს ყველაზე მაგარი მამა. დებ უილიამსების გიჟმაჟი მამა რიჩარდი შვილების წარმატებით დიახაც რომ ხარობს. ამ ჯერზე მამის გული სერენას დაუტკბია, რომელსაც ფლაშინგ მიდოუსის კორტზე ბელგიელი კიმ კლაისტერსი დაუმარცხებია.*

REUTERS ნიუ იორკიდან



# სალამი, დიეგო

ამხანაგურ შეხვედრაში ბუენოს აირესის „რივერ პლეიტის" სტადიონზე რომ გაიმართა, არგენტინის ნაკრებმა 2:0 მოუგო ბრაზილიისას. ძალიან მნიშვნელოვან პირთა ლოჟაში იმ დღეს დიეგო მარადონაც იჯდა. დიეგოს არ დაზარებია და ხშირხშირად ესალმებოდა იქ თავშეყრილ გულშემატკივრებს. „როიტერის" ბაირესელმა რეპორტიორმა, ენრიკე მარქარიანმაც სწორედ ამ დროს გადაუღო სურათი.

REUTERS ბუენოს აირესიდან



REUTERS კოლომბოდან



# ამინდი არ არის

ამინდი არ არისო, იტყვიან ხოლმე და შინ შეიკეტებიან. საქმე კი დგას. შრი ლანკის დედაქალაქ კოლომბოში თითქოს მუსონთან წილნაყარი ხანგრძლივი თქეში ასველებს მინდვრებს. ამიტომ თუა, რომ მოკრიკეტეთ შინ ყოფნა უწევთ. არადა, კოლომბოს ჩასული მსოფლიოს თასის მფლობელი ავსტრალიის ნაკრები ოთხდღიან მატჩში უნდა შეეჯიბროს ლანკელებს. მაგრამ ამინდი არ არის და საქმე დგას. ავსტრალიელთა მთავარ კაცს, შეინ ვორნს ისღა დარჩენია, ბანქოს თამაშში მოკლას დრო.

# ედგარი პირველად

რა ქნას ფეხბურთელმა, თუ თვალები სტკივა? სათვალე გაიკეთოს და ისე ითამაშოს. გლაუკომის დაავადებით შეწუხებული ჰოლანდიელი ედგარ დავიდსიც ასე მოიქცა ბელგიელებთან შეხვედრისას. ეს პირველად იყო, რომ ედგარმა მოედანზე მოირგო დამცავი სათვალე.

REUTERS როტერდამიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli